პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეექვსე წელიწადი

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49

ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსა[illegible] 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშა"-ს და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.

სამშაბათი, 30 მარტი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 70 (1525)

დღიური

- რუმინეთის ახალი მთავრობის შედგენა მიენდო ნაციონალური პარტიის მემარცხენე ფრთის ლიდერს მანიუს.
- ოსმალეთის გაზეთები სწერენ რომ აჯანყებულ ქურთებს ინგლისელები ეხმარებიან.
- სირიის აჯანყებულები მოითხოვენ სირიის სრულ დამოუკიდებლობას.
- შვეიცარიის მუშები დელეგაციას გზავნიან საბჭოთა კავშირში.

„კომუნისტი"
მიიღება ხელისმოწერა
აპრილისათვის
მთავარი კანტორა რუსთაველის პროს. № 34.

დღევანდელ ნომერთან ერთად თბილისის ხელის მომწერლებს ურიგდებათ უფასო დამატება
ჟურნალი „დროშა" № 6-7

მნიშვნელოვანი ნაბიჯი

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მკითხველი გაეცნობოდა საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებას ადგილობრივი ენების ხმარების შესახებ იმ საერთო საკავშირო დაწესებულებებში, რომლებიც იმყოფებიან მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე. ეს გადაწყვეტილება გამომდინარეობს ჩვენი პარტიის და ხელისუფლების ნაციონალურ პოლიტიკიდან და მისი კონკრეტიული გამოხატულებაა ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგში.

ჩვენს ნაციონალურ პოლიტიკას საფუძვლად უდევს ყველა ერის სრული სწორ-უფლებიანობა და მათი ეკონომიურ და კულტურულ ინტერესების უზრუნველყოფა. საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა სამეურნეო და კულტურულ აღორძინების საქმეში საბჭოთა ხელისუფლებას აქვს უდიდესი მიღწევები. მაგრამ დღეს ჩვენ მხოლოდ ენის საკითხზე გვინდა შევჩერდეთ.

ვის არ ახსოვს, თუ როგორი განკაში ასტეხეს საბჭოთა ხელისუფლების მტრებმა დაწესებულებათა გაეროვნების საკითხის გარშემო. ჩვენში ისინი ბოროტ ჭორებს ავრცელებდნენ, რომ თითქო კომუნისტები დევნიდენ ქართულ ენას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან. სინამდვილე, რა თქმა უნდა, სულ სხვას გვეუბნება. მშობლიური ენა ყველა სკოლაში, დაწყებული დაბლიდან და უმაღლესით გათავებული, ესევე ექნა რესპუბლიკის დაწესებულებებში—აი უტყუარი ფაქტი, რომელიც კარგათ შეამჩნიეს ევროპის მუშათა დელეგაციებმა და სხვ. უცხოელმა ობიექტიურმა მეთვალყურეებმაც.

ამის მიღწევა ადვილი საქმე არ იყო. ქართული ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში განზე გაუდგა და საბოტაჟს აწარმოებდა. ეს ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იყო გაერთიანების შეფერხების. შემდეგ: ახალი წყობილებისთვის გამოსადეგი, გამოცდილი და მცოდნე პირები ნაკლებად მოგვეპოვებოდა ჩვენში, ამიტომ აუცილებელი ისეთი ელემენტების მოწვევაც დაწესებულებებში, რომელთაც თუმცა ადგილობრივი ენა არ იცოდნენ, მაგრამ სათანადო პრაქტიკა გააჩნდათ საქმის წარსამართავად. ამავე დროს იმის უარყოფაც არ შეიძლება, რომ აქა იქ პირველ ხანებში შეძვრენ მუშურ-გლეხურ რეჟიმისათვის უცხო, თვითმპყრობელური გრძნობით გამსჭვალული პირები, რომელნიც ფარულად აბრკოლებდენ გაერთიანების პროცესს. აგრეთვე მისაღებია მხედველობაში, რომ სწრაფად და ყველგან ნაციონალიზაციის გატარება ტეხნიკურად შეუძლებელი იყო და მხოლოდ ზიანს მოუტანდა აღმშენებლობას.

საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა ეს სიძნელე გადალახა. ჩვენი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი დადგა საბჭოთა პლატფორმაზე და ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურვილი განაცხადა. ადგილობრივ შეიქმნა მომზადებულ მუშაკების კადრი. შედგენილ იქნა ტერმინოლოგია სხვადასხვა დარგებისათვის, რომ პრაქტიკულად გაგვეტარებია გაეროვნება. რკინის ცოცხით გამოხვეტილ იქნენ დაწესებულებებიდან თვითმპყრობლური ელემენტები. მაგრამ ბევრს კიდევ ახსოვს ეხლაც ამიერკავკასიის საზღვრებიდან განდევნა ჩვენი რკინისგზების სამმართველოში მოკალათებულ რამოდენიმე ათეულ მეფის დროის მოხელისა, რომელნიც ვერ შეურიგდენ ჩვენი ნაციონალურ პოლიტიკას, კერძოდ ეროვნულ ენების შემოღებას რკინის გზებზე.

ყველა ამ ღონისძიებებით პარტიის და ხელისუფლების მტკიცე ნებისყოფით, ვიმეორებთ, გადალახულ იქნა ნაციონალიზაციის დარგში ჩვენს წინაშე აღმართული დაბრკოლებანი, და ჩვენი მუშაობის ნაყოფი ამ მხრივ ყველასათვის თვალსაჩინოა. თვით რკინისგზაზე, სხვაზე რომ არ ვილაპარაკოთ, მიუხედავად დიდი ტეხნიკური სიძნელეებისა, სავსებით განხორციელებულია გაეროვნება.

შეიძლება ეხლაც სადმე, ჩვენი დაწესებულებათა რომელიმე ბნელ კუნჭულში, მოიპოვება თითო-ოროლა ხავსმოკიდებული „ჩინოვნიკი" რომელსაც ძველ ჰანგზე სურს „სიმღერა", მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მჭრელი თვალი იქაც შეანათებს აუცილებლად და მათაც უჩვენებს იმ ადგილს, სადაც უნდა იყვნენ გაუსწორებელი „კუზიანები".

მუშურ-გლეხური მთავრობა არ დაკმაყოფილდა მიღწეული შედეგებით. საკავშირო ცაკის ხსენებული დადგენილება დაგვირგვინებაა იმ მუშაობის, რომელიც სწარმოებდა ნაციონალიზაციის გატარების საქმეში. „კავშირის ყველა დაწესებულებათა და სახ. კომისარიატების ადგილობრივ განყოფილებათა მიწერ-მოწერა საკავშირო რესპუბლიკების დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან უნდა სწარმოებდეს უკანასკნელთა ენაზე", ასეთია საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის სპეციალური კომისიის აზრი. ამასთან ერთად კომისიამ „საჭიროდ სცნო წინადადება მისცეს საკავშირო რესპუბლიკების ცაკებს მიიღონ საჭირო ზომები ამა თუ იმ საკავშირო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფ საკავშირო დაწესებულებათა ფილიალების შიგნით საქმის წარმოების ეროვნულ ენაზე გადასაყვანად". საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა მიიღოს საფუძვლად კომისიის მიერ გამომუშავებული ძირითადი პრინციპები და წინადადება მისცეს სახ. კომ. საბჭოს შეიმუშაოს მთავრობის სათანადო დეკრეტი.

როგორც ვხედავთ, ნაციონალიზაცია ვრცელდება საკავშირო დაწესებულებათა და ორგანიზაციების იმ განყოფილებებზე, რომელნიც მოკავშირე რესპუბლიკებში არსებობენ. ამას აქვს დიდი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა, აქ ცხადი გამოხატულება ჰპოვა ჩვენი პარტიის ნაციონალურმა პოლიტიკამ, პატივისცემამ ეროვნულ ენებისადმი. ამასთან ამით საკავშირო დაწესებულებათა ფილიალები უფრო მჭიდროდ უკავშირდებიან ადგილობრივ დაწესებულებებს და მოსახლეობას, რაც საგრძნობ სარგებლობას მოუტანს ჩვენს აღმშენებლობას. რა თქმა უნდა, ამ მხრივ საჭირო ღონისძიებათა გატარება ერთგვარ დამატებით ხარჯებს მოითხოვს, მაგრამ ეს ხარჯები ასჯერ იქნება დაფარული იმ საზოგადოებრივ - პოლიტიკური შედეგებით, რომელიც ამას მოყვება. ეს ნაბიჯი ერთი ზედმეტი ლახვარია, ჩვენი ბოროტი მტრების ზურგში ჩაცემული.

სანარდო და დამხმარე მუშების ხელფასის განსხვავების შესახებ

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სანარდო მუშაობამ თითქმის ყველგან მოიკიდა ფეხი. მას დადებითი შედეგები მოყვა როგორც წარმოებისათვის (აიწია შრომის ნაყოფიერებამ), ისე მუშებისათვისაც (გაიზარდა ხელფასი). საერთოდ სანარდო მუშაობა ჩვენში სწორ საფუძველზე არის აგებული, მაგრამ ყველგან ის ვერ არის რიგზე მოგვარებული. ამ მხრივ საჭიროა გაძლიერდეს როგორც კავშირების, ისე სამეურნეო ორგანოების მუშაობა და ბოლო მოეღოს იმ გაუგებრობას, რომელსაც იწვევს ზოგიერთ წარმოებაში ნარდი მუშაობის ცუდი სისტემით დაყენება. ყოველმხრივათ უნდა იქნეს შესწავლილი ნარდი მუშაობის პრაქტიკა ცალკე წარმოებებში — სათანადო კორექტივების შესატანათ.

დადებითი მხარეების გარდა, სანარდო მუშაობამ ერთი უარყოფითი შედეგი მოგვიტანა. ნარდ სამუშაოს უმთავრესათ ეწევიან კვალიფიციური მუშები. დამხმარე მუშები კი მუშაობენ ვადით. მათ ეძლევათ განსაზღვრული თვიური ან დღიური სატარიფო განაკვეთი, რომლის რაოდენობა სრულებით არ არის დამოკიდებული მუშაობის რიცხვობრივ შედეგზე. ამას აქვს ორი უარყოფითი მხარე. მუშა, ნაკლებათ დაინტერესებული მუშაობის შედეგებით, არ იჩენს საკმაო ინტენსივობას. ამას გარდა, ნარდათ და ვადით მომუშავეთა ფაქტიურ ხელფას შორის განსხვავება ჩვეულებრივ საზღვრებს სცილდება.

დასაშვებია თუ არა განსხვავება ხელფასში ერთ და იმავე წარმოების მუშების სხვადასხვა კატეგორიებ შორის? დასაშვებია და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან კვალიფიციურ და არა კვალიფიციურ მუშების ხელფასის გათანასწორება ახლანდელ პირობებში ჩვენი წარმოებისათვის დამღუპველი იქნებოდა. განსხვავება დასაშვებია, მაგრამ მხოლოთ განსაზღვრულ ფარგლებში და განსაზღვრული რაოდენობით. თუ რა ფარგლებში და და რა რაოდენობით, ეს დაწესებული არის ყველა წარმოებისათვის და ყველა კავშირებისათვის ერთნირათ. ჩვენ გვაქვს სატარიფო ცხრილი ყველასათვის საერთო. იქ არის 17 ხარისხი. ხარისხთა შორის არის აღებული ერთგვარი შეფარდება. მაგალითად, მეცხრე და პირველ ხარისხს შორის არის შეფარდება, როგორც ოთხი ერთთან; ესე იგი მეცხრეს ეკუთვნის ოთხჯერ მეტი, ვიდრე პირველს, ან ორჯერ მეტი ვიდრე მეოთხეს. ეს შეფარდება არ არის გამოგონილი და ზეპირად აღებული. მისი დაწესების დროს მიღებულია მხედველობაში ფაქტიური დამოკიდებულება სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშებს შორის.

რათ დაგვჭირდა ამ სატარიფო ანბანის აქ მოყვანა? დაგვჭირდა მიტომ, რომ თუმცა ის ყველამ იცის, მაგრამ მას ხშირათ ივიწყებენ და არ იღებენ მხედველობაში. ნარდი მუშაობის შემოღებამ ბევრგან კვალიფიკაციათა შორის ეს სწორი დამოკიდებულება დაარღვია. შავ (დამხმარე) მუშის და კვალიფიციურ მუშის ფაქტიურ ხელფასში განსხვავება მეტია, ვიდრე უნდა იყოს. მაგალითად, შავი მუშა იღებს მეოთხე ხარისხით 30 მანეთს, ნარდათ მომუშავე კვალიფიციური მუშა ამავე წარმოებაში მეშვიდე ხარისხით აკეთებს თვეში 60 მანეთს.

ეს არ არის სწორი, ვინაიდან განსხვავება მეოთხე და მეშვიდე ხარისხს შორის უნდა იყოს ისეთი, როგორც 2 და 3 ციფრს შორის არის განსხვავება თუ მეშვიდე ხარისხი აკეთებს თვეში 60 მანეთს, მეოთხე უნდა აკეთებდეს 40 მანეთს; თუ მეშვიდე აკეთებს 75 მანეთს, მეოთხე უნდა აკეთებდეს 50 მანეთს. სწორი შეფარდება ხარისხთა შორის უნდა იქნეს დაცული არა მარტო სატარიფო განაკვეთში, არამედ ფაქტიურ ხელფასშიაც. ეს კი ბევრგან ასე არ ხდება.

ამ გარემოებას საქართველოს პროფესიონალური კავშირების მეხუთე ყრილობამ მიაქცია ყურადღება და მიიღო ასეთი დადგენილება:

„ყრილობა აღნიშნავს, რომ შეუზღუდველ ნარდი სამუშაოს გატარების გამო კვალიფიციურ და არა კვალიფიციურ მუშების ხელფასში დიდი განსხვავება მოხდა და ამიტომ მიუთითებს კავშირებს ამ განსხვავების შესუსტების აუცილებლობაზე..."

როგორ უნდა იქნეს შესუსტებული ეს განსხვავება? არ შეიძლება ამ საკითხს მიუდგეთ მარტივათ. მაგალითად, რომ ავიღოთ და დავადგინოთ: „ვინაიდან დაბალ ხარისხის მუშებს, რომელნიც არ მუშაობენ ნარდათ, ხელფასი მცირე აქვთ, მოემატოთ ამდენი და ამდენი". ეს არ იქნებოდა სწორათ საკითხის გადაჭრა, რადგანაც ასე საკითხის გადაჭრა ნიშნავს ხელფასის გათანასწორების შემოღებას.

განსხვავების შესუსტება სანარდო და არა სანარდო მუშებს შორის შეიძლება პრემიალური სისტემის დაწესებით. ან და ნარდი მუშების გამომუშავების რაოდენობის მიხედვით დამხმარე მუშების დაჯილდოვებით. მაგალითად, წარმოებაში ან მის ნაწილში არიან ნარდათ მომუშავეები და არა ნარდათ მომუშავეები როგორც დამხმარე ძალა. დამხმარე მუშებისათვის შეიძლება დაწესდეს მათ დღიურ ან თვიურ ხელფასზე დამატება, რომლის რაოდენობა იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენს გამოიმუშავებენ ნარდი მუშები. ეს დამატება უნდა განისაზღვროს პროცენტებით.

დამხმარე მუშებისათვის პრემიალური ჯილდო არ უნდა წესდებოდეს მექანიკურათ. პრემიის მიმღებ მუშას უნდა აინტერესებდეს ნარდი მუშების ინტენსივობა და მათი გამომუშავების გაზრდა. პრემიის რაოდენობა ისე უნდა იქნეს განსაზღვრული, რომ არ დაირღვეს ხარისხთა შორის არსებული შეფარდება. მაგალითად, მეოთხე და მეცხრე ხარისხის მუშის ფაქტიურ ხელფასში უნდა იყოს დაცული შეფარდება როგორც ორი—ოთხთან; მეოთხე ხარისხის—მეშვიდესთან, როგორც ორი-სამთან; მეოთხე ხარისხის მერვესთან, როგორც ორი სამნახევართან. საერთოთ შეფარდება ფაქტიურ ხელფასში უნდა იყო ისეთი, როგორიც აღნიშნულია სატარიფო ცხრილში.

სამუშაო ხელფასის მოწესრიგებაში ამ კორექტივების შეტანას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამით გაუმჯობესდება დაბალ ხარისხების მუშების მდგომარეობა, რომელნიც შედარებით ახლა ცუდ პირობებში არიან. მეორე მხრივ ის ხელს შეუწყობს ნაყოფიერების გაზრდასაც, რამდენადაც დამხმარე მუშების ხელფასი დაინტერესების პრინციპზე იქნება აგებული. კავშირების ყრილობის ეს გადაწყვეტილება უნდა დაჩქარებით გატარდეს ცხოვრებაში.

ს. გოდაბრელიძე

ჩინეთის რეაქციონური ჯარები პეკინის კარებთან
ჩან-ძო-ლინი და უ-პეი-ფუ იერიშით მიდიან პეკინზე
ჩან-ძო-ლინის ჯარი სავსეა რუს თეთრგვარდიელებით
სახალხო არმიამ დიდი ზარალი მიაყენა რეაქციის ჯარებს
პეკინში პანიკაა გამეფებული

პეკინისაკენ

პარიზი, 27 მარტი. ჩან-ძო-ლინი და უ-პეი-ფუ იერიშით მიდიან პეკინზე.

ბრძოლა პეკინისათვის

ტოკიო, 28 მარტი. **იაპონიის საზოგადოებრივ წრეებში აუცილებლათ სთვლიან სახალხო არმიებისა და მათ მოწინაალმდეგეთა შეტაკებას პეკინის ხელში ჩაგდებისათვის.**

იაპონია ყოველგვარ ზომებს იღებს შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რადგან ფიქრობს, რომ ბრძოლა მთელ ჩინეთში გავრცელდება.

რეაქციის პირობები

პეკინი, 28 მარტი. ჩან-ძო-ლინმა ჯან-ში-ძიანს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც ზავის ჩამოგდების პირობათ აყენებს მისთვის ქეხოლის და ჯილის პროვინციის გადაცემას. ჩან-ძო-ლინი აღნიშნავს, რომ ქეხოლი და ჯილი ფინ-იუი-სიანმა მოტყუებით ჩაიგდო ხელში, მაგრამ უკანასკნელმა კალგანში გამართულ მოლაპარაკების დროს ჩან-ძო-ლინს, აღუთქვა ამ პროვინციების დაბრუნება.

გაფრთხილება

ტოკიო, 28 მარტი. გაზეთები **„ხოჩი" და „ჯაპან ტაიმსი"** აფრთხილებენ ჩან-ძო-ლინს, ნუ გამოიჩენს ზედმეტ პატივმოყვარეობას და ახსოვდეს, რომ მისი ადგილია მუკდენში, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება გაჩნდეს ახალი **გო-სუნ-ლინი**, რომელიც წარმატებით წაიყვანს საქმეს.

ვისი ხელია?

პეკინი, 28 მარტი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს სახალხო არმიის გენერლებმა განაცხადეს, რომ ხმებია თითქო, სახალხო არმიები უკან იხევდენ დამარცხების გამო, არ შეეფერება სინამდვილეს. **ლუან-ჩჟოუსთან პოზიციების დაკავების შემდეგ, სახალხო არმიას არაფერი არ დაუკარგავს, ხოლო ტიან-ძინის სამხრეთის მან სერიოზული ზარალი მიაყენა ჯილიის და განდუნის ჯარებს, რომლებსაც ძან-ჩჟანისაკენ დაიხიეს.**

გენერლების სიტყვით, უკან დახევა მოხდა ბრძოლის გაჭიანურების გამო; სახალხო არმიების მოწინააღმდეგენი უსინდისოთ ხარჯავენ სახალხო ქონებას და ამიტომ მათ შეუძლიათ დიდ ხანს გაძლება.

გარდა ამისა, ეხლანდელი ბრძოლა მხოლოდ სიტყვით წარმოადგენს ბრძოლას ჩან-ძუნ-ჩანის და ლი-ჩინლინის წინააღმდეგ. ნამდვილათ კი იგი სწარმოებს რუსეთის თეთრ გვარდიელთა და ერთ-ერთ უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ.

როდესაც გამოჩენილმა მოღვაწეებმა მოუწოდეს მშვიდობიანობისაკენ, სახალხო არმიამ გამოიჩინა გულწრფელი სურვილი დაეწყო საზავო მოლაპარაკება, შეეწყვიტა სამხედრო მოქმედება და გაეყვანა ჯარები.

დასასრულ გენერლებმა აღნიშნეს, რომ სახალხო არმიის თავისმოყრა ერთ პატარა ტერიტორიაზე, მოლაპარაკების დაწყების წინ, აძლიერებს მის პოზიციებს.

გენერლების მიერ რუსეთის თეთრგვარდიელების და ერთ-ერთ უცხო სახელმწიფოს აღნიშვნა იპყრობს საზოგადოებრივ წრეების ყურადღებას.

პეკინის ფრონტზე

პეკინი, 28 მარტი. როგორც სჩანს მებრძოლ მხარეების კონფერენცია, რომელიც მოწვეული იყო ტიან-ძინში იმ მიზნით, რომ არც ერთ მხარეს არ დაეკავებია პეკინი, უშედეგოთ დამთავრდა.

ორივე არმია სცდილობს პეკინში შესვლას. მუკდენელების სამხედრო ძალები სწრაფად მიდიან წინ და, ხმების თანახმად, დღეს მიაღწიეს ანკინ-ჩჟის, პეკინიდან 30 ვერსის მანძილზე სამხრეთ-აღმოსავლეთით, პეკინ-ტიან-ძინის რკინის-გზის ხაზზე. ლი-ჩინ-ლინის განკარგულებაშია ჯავშნიანი მატარებელი.

უფრო გვიან მიღებულ ცნობების თანახმად, ლან-ფანიას რაიონში, 20 ვერსის მანძილზე ანკინ-ჩჟიდან, იმავე რკინის-გზის ხაზზე, გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს. სახალხო არმიამ შეაჩერა მოწინააღმდეგის წინსვლა, მაგრამ იგი იძულებული იყო უკან დაეხია ლან-ფანიდან სენენისაკენ.

უ-პეი-ფუს ჯარები სწრაფათ მიდიან წინ და ხმების თანახმათ, ბალტან-ფუს უახლოვდებიან.

შესაძლებლად სთვლიან, რომ შექმნილ პირობების გამო, სახალხო არმია უკან დაიხევს პეკინიდან.

პეკინში პანიკაა

პეკინი, 28 მარტი. **სახალხო არმიის პეკინიდან უკან დახევა აურ-ზაურს იწვევს სატახტო ქალაქის მოქალაქეთა შორის, რადგან მუკდენელების შესვლას პეკინში შედეგათ მოჰყვება უწესრიგობა. ასეთნაირათვე არიან განწყობილნი უცხო სახელმწიფოების საელჩოები, რომლებმაც გამოაქვეყნეს ინსტრუქციები თავიანთ მოქალაქეების მიმართ. საელჩოები წინადადებას აძლევენ თავიანთ მოქალაქეებს, არეულობის დროს თავი შეაფარონ საელჩოების უბანს. ზოგიერთი გაზეთები წინადადებას იძლევიან, რომ სახალხო არმიის ჯარების სარდალმა ლი-ჩანლინმა შეადგინოს სპეციალური რაზმები სატახტო ქალაქის დასაცავად.**

დემონსტრაცია

ნიუ-იორკი, 28 მარტი. „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი მილარდი იუწყება, რომ გაიმართა სტუდენტების და მუშების დემონსტრაცია პეკინის მთავრობის წინააღმდეგ. **დემონსტრანტები მოითხოვენ დუან-ძი-ჩჟუის გადაყენებას და ბოქსიორთა ოქმის გაუქმებას.**

ინგლისის პროვოკაცია

ნიუ-იორკი, 28 მარტი. ჰონკონგიდან მიღებულია პროვოკაციული დეპეშები, რომელიც იტყობინება, რომ „კომუნისტები თავს ესხმიან ამერიკელ მისიონერებს"-ო. ამ ცნობების მიზანია უკმაყოფილების გამოწვევა ამერიკაში და წარმოადგენს კონტრ-გამოსვლას გამოჩენილ ამერიკელ მისიონერების წინააღმდეგ, რომელნიც იუწყებოდენ, რომ ამერიკის მოქალაქეებს ჩინეთში არავითარი საფრთხე არ მოელითო. მისიონერები მოითხოვდენ, რომ ამერიკას არ მიეღო მონაწილეობა იმ ულტიმატუმში, რომელიც ჩინეთის მთავრობას წარუდგინეს ტაკუში მომხდარ ინციდენტის გამო.

სახელმწიფო დეპარტამენტში აცხადებენ, რომ ჰონკონგიდან მიღებული ცნობა ამერიკელ მისიონერებზე თავდასხმის შესახებ არ არის დადასტურებული.

ამერიკის პოზიცია

ნიუ-იორკი, 28 მარტი. „ნიუ-იორკ-ტაიმსის" კორესპონდენტი მილადრი იუწყება შანხაიდან, რომ ამერიკის ელჩმა ჩინეთში მაკ-მურრეიმ გაილაშქრა ზოგიერთ საზღვარ-გარეთულ წრეების წინააღმდეგ, რომლებმაც წამოაყენეს პროექტი პეკინის ნეიტრალიზაციის შესახებ უცხო სახელმწიფოების კანტროლის ქვეშ.

სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა მოიწონეს ეს პროექტი, მაგრამ, მაკ - მურრეის წინააღმდეგობის გამო, შეეკითხენ თავიანთ მთავრობებს.

მაკ-მურრეი აფრთხილებს, რომ ასეთ გამოსვლას, რომელიც ინტერვენციას ნიშნავს, სერიოზული შედეგები მოჰყვება. შემდეგ კორესპონდენტი აცხადებს, რომ შანხაის ამერიკელ წრეებში გამოსთქვამენ იმედს, რომ ამერიკის წინააღმდეგობა ხელს შეუშლის ამ პროექტის განხორციელებას.

ვაშინგტონი, 28 მარტი. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი (საგარეო საქმეთა სამინისტრო) უარყოფს ცნობას, თითქოს ამერიკის ელჩი ჩინეთში მაკ-მურრეი ყოფილიყოს ჩინეთისათვის ულტიმატუმის წარდგენის ინიციატორი. **სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს, რომ მაკ-მურრეი მოქმედებდა მხოლოდ სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებით.**

შვეიცარიის მუშათა დელეგაცია

ბერლინი, 28 მარტი. **ბაზელის საინიციატივო კომიტეტმა, რომელიც ნიადაგს უმზადებს დელეგაციების გაგზავნას საბჭოთა კავშირში, შვეიცარიის პროფკავშირთა საბჭოს წინადადება მისცა იკისროს საბჭოთა კავშირში მუშათა დელეგაციის გაგზავნაზე ზრუნვა.** ეს მოთხოვნილება გაიგზავნა, მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიის პროფკავშირთა საბჭო საბჭოთა კავშირში დელეგაციის გაგზავნას ეწინააღმდეგება.

ბაზელის მუშების აზრით, საჭიროა ბოლო მოეღოს ასეთ მდგომარეობას, როცა პროფკავშირების ცენტრალური ორგანოები ხელს უშლიან მუშების საკუთარი ინიციატივის გამოჩენას.

საინიციატივო კომიტეტის მიმართვა უკანასკნელი ცდაა შვეიცარიის პროფკავშირთა ცენტრალურ ორგანოებთან შეთანხმების მისაღწევად.

მუშათა ბრძოლა

კონფლიქტი ნორვეგიაში

ოსლო, 28 მარტი. **ნორვეგიაში მოსალოდნელია კონფლიქტი შრომასა და კაპიტალს შორის.** მოლაპარაკება კოლექტიურ ხელშეკრულებათა განგრძობის შესახებ უშედეგოთ დამთავრდა. კონფლიქტში ჩარეულ მუშათა საერთო რიცხვი უდრის 40.000 კაცს. კოლექტიურ ხელშეკრულებათა მოქმედების ვადა თავდება 1 აპრილს.

პარიზის მელითონეთა შემოტევის წინ

პარიზი, 28 მარტი. პარიზის რაიონის მელითონეთა უნიტარულმა კავშირმა გამოაქვეყნა მიმართვა, **რომელშიაც მოუწოდებს მუშებს 1 აპრილს ნახევარი დღით შესწყვიტონ მუშაობა და შეიკრიბონ მიტინგზე მწარმოებელთათვის მოთხოვნილების წარსადგენად ხელფასის მომატების შესახებ.**

მელითონეთა კავშირის მდივანი „ჰიუმანიტე"-ში აცხადებს, რომ თებერვლის განმავლობაში მუშებმა წარუდგინეს მოთხოვნილებანი ლითონის წარმოებათა 28 ორგანიზაციას. ჯერ-ჯერობით მიღებულია პასუხი მხოლოდ ერთი ორგანიზაციისგან.

პროტესტი მარტინეცის წინააღმდეგ

მექსიკო, 28 მარტი. მექსიკის მთელი პრესა აქვეყნებს საკავშირო დეპეშათა საგენტოს დეპეშას, რომელშიაც გადმოცემულია მექსიკის ელჩის **ვადილოს** განცხადება. უკანასკნელი აბათილებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მექსიკის საელჩოს ყოფილ ატაშეს **მარტინეცის** მიერ წაყენებულ ბრალდებას.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობის მიღებისთანავე მექსიკის შრომის ფედერაციის მდივანმა **რიკარდო ტრევანომ** გადასცა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს მექსიკაში პესტკოვსკის მექსიკის შრომის ფედერაციის ფორმალური პროტესტი მარტინეცის გამოსვლის წინააღმდეგ **(საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობის მიღებამდე პროტესტი ოფიციალურად არ იყო ჩაბარებული).**

კაპიტალისტების ოინები

ბერლინი, 28 მარტი. იმ გარემოებასთან ერთად, რომ გერმანელი მწარმოებლები ცდილობენ შეამცირონ მუშების სამუშაო ხელფასი, ამ უკანასკნელ დროს მათ გადასწყვიტეს უზრუნველყონ თავიანთი თავი მომავალში სამუშაო ხელფასის შესაძლებელ გადიდებისაგან. მრეწველობის ყველა დარგში, კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების დროს, მწარმოებლები მოითხოვენ, რომ ხელშეკრულება ძალაში დარჩეს ერთი წლის განმავლობაში. სააღმშენებლო მრეწველობაში მწარმოებლებმა უკან წაიღეს თავიანთი მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ; სამაგიეროდ მოითხოვეს, რომ მუშებმა თანხმობა განაცხადონ არსებულ სატარიფო განაკვეთების მიმდინარე წლის ბოლომდე დატოვებაზე. მწარმოებლების მთავარი ლოზუნგია სამუშაო ხელფასის სტაბილიზაცია. გარდა ამისა მათ ლოზუნგს წარმოადგენს აგრეთვე ცენტრალიზაცია სამუშაო ხელფასის შემუშავების საქმეში და ხელშეკრულებათა დადება ცალკე წარმოებებში. უკანასკნელი გზით დამქირავებლებმა გაცილებით უფრო მეტ შედეგებს მიაღწიეს, ვიდრე პროფკავშირების ცენტრალურ ორგანოებთან მოლაპარაკების დროს.

გერმანიის ბიუჯეტი

ბიუჯეტი მიღებულია რეიხსტაგის მიერ

ბერლინი, 29 მარტი. **რეიხსტაგმა მიიღო კანონპროექტი ბიუჯეტის შესახებ. რეიხსტაგის სესია შეწყვეტილია 27 აპრილამდე.**

1911 წლის შემდეგ ეს პირველია, როცა საბიუჯეტო ფონდები ფინანსიურ წლის დასაწყისში აღმოჩნდა ნამდვილი და არა ნომინალური.

ავსტრიის კანცლერი ბერლინში

ბერლინი, 29 მარტი. ბერლინში ჩამოვიდა ავსტრიის კანცლერი **რაბეკი**. ეს პირველია გერმანიის ისტორიაში, როდესაც ავსტრიის კანცლერი ჩავიდა გერმანიაში. გაზეთების სიტყვით, რაბეკის ჩასვლა გამოწვეულია ორივე ქვეყნის შორის ეკონომიურ შეთანხმების მიღწევით.

ჟენევის კომედიის შემდეგ

სკშინსკის ჟენევის პოლიტიკა მოწონებულია.

ვარშავა, 29 მარტი. სეიმის საგარეო საქმეთა კომისიამ 19 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 5-ისა მოიწონა სკშინსკის მოხსენება ჟენევაში წარმოებულ მოლაპარაკების შესახებ. შემდეგ კომისიამ 25 ხმის უმრავლესობით უკრაინელ დეპუტატის—კომუნისტის ბრუცკის ხმის წინააღმდეგ **მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ პოლონეთმა უნდა მოითხოვოს მუდმივი ადგილი ერთა ლიგის საბჭოში.**

საბჭოთა პრესა

მომჭირნეობა და შემნახველი სალაროები

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა ამთავრებს აღორძინების პროცესს. ჩვენ ვიწყებთ ქვეყნის მთელი ეკონომიკის გარდაქმნას და ფართოდ გაშლას. მაგრამ აქ ჩვენ ვაწყდებით კაპიტალების ნაკლებობას. ეს კაპიტალები ჩვენ უნდა გამოვძებნოთ თვით საბჭოთა კავშირში. ამიტომაა, რომ სოციალისტურ დაგროვებას და ეკონომიის რეჟიმს დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. წარმოების რაციონალიზაცია, შრომის ნაყოფიერების აწევა, არასაწარმოო ხარჯების მაქსიმალური შემცირება,—აი საითკენაა ჩვენი საქმიანობა მიმართული. ამ გზით ჩვენ შეგვიძლია არა ერთი ათეული მილიონი მან. შემოვინახოთ და მოვახმაროთ მეურნეობის აღორძინების საქმეს. სახელმწიფოს და სამეურნეო ორგანოებს აქ გვერდში უნდა ამოუდგენ ყველა მშრომელები, და ეს არა მარტო ხსენებულ ამოცანების წარმატებით გადაჭრაში. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მათ მიერ თავისუფალ ფულების მიბარებას შემნახველ სალაროებში. ჩვენ ვიცით, რომ მუშა-მოსამსახურენი და გლეხები თავის ხელფასს და მეურნეობის შემოსავალს ხშირად ხარჯავენ არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით; არა იშვიათად ისინი ინახავენ ფულს „შავი დღისათვის", ან რაიმე დიდი ღირებულების ნივთის შესაძენად.

„თვითეული ცალკე ოჯახის, ან ცალკე პირის მიერ მოგროვილი ფული,—სწერს „რაბოჩაია მოსკვა", — შეიძლება ცოტა იყოს, მაგრამ საერთო ჯამით მივიღებთ დიდ თანხას, რომლითაც ბევრი რამის გაკეთება შეიძლებოდა, თუ მას მიზანშეწონილად გამოვიყენებდით მრეწველობისა ან ქვეყნის მეურნეობის სხვა დარგებისათვის კრედიტების მისაცემად.

მაშასადამე, საქმე ის არის, თუ როგორ და სად შევინახავთ თავისუფალ ფულებს, რომ მათ ჩვენს მეურნეობაზე სასარგებლო გავლენა მოახდინონ, და არ ეწყონ ისინი მკვდარ „კაპიტალად" ჯიბეებში და გლეხთა ზანდუკებში.

ამისათვის არსებობენ სახელმწიფო შემნახველი სალაროები, რომელნიც ღებულობენ ყოველგვარ ანაბარებს მათი ოდენობის მიუხედავად და უკან აბრუნებენ მათ შემტანის პირველ მოთხოვნისთანავე.

თავისუფალ ფულების შემნახველ სალაროში მიბარების უპირატესობანი შინ შენახვის წინაშე სრულიად ცხადია: აქ არ გვექნება არც დაკარგვის, არც მოპარვის შიში. გარდა ამისა, შემნახველი სალარო ანაბარის პატრონს აძლევს განსაზღვრულ პროცენტს. ამგვარად, ანაბარი მატულობს შემნახველ სალაროს ხარჯზე".

უეჭველია, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი თავისუფალი თანხები გამოუყენებლად, უმოქმედოთაა გაჩერებული. ჩვენ უნდა გავსწიოთ ფართე მუშაობა, რათა თვითეული მუშა, გლეხი, მოსამსახურე შეეჩვიოს თავის ფულის შენახვას შემნახველ სალაროში. ამით ისინიც მოიგებენ და სახელმწიფოსაც გაუჩნდება დამატებითი წყარო სახალხო მეურნეობის განსავითარებლად.

უკანასკნელი ცნობები

საგარანტიო ხელშეკრულება

ვარშავა, 28 მარტი. პოლონეთის პრესის ცნობით 26 მარტს პოლონეთის ელჩმა ველვეიხკიმ და რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა დუკამ ხელი მოაწერეს პოლონეთ-რუმინეთის საგარანტიო ხელშეკრულებას.

ახალ ხელშეკრულებას საფუძვლად დაედო ლოკარნოს შეთანხმება.

კომუნისტების გამარჯვება

პარიზი, 28 მარტი. პარლამენტის ნაწილობრივ არჩევნებში გაიმარჯვეს კომუნისტებმა.

მატეოტის მკვლელების შესახებ

რომი, 28 მარტი. როგორც ირკვევა მატეოტის მკვლელებს ამნისტიის ძალით სასჯელი ოთხი წლით შეუმცირეს, ამასთანავე მათ ჩაუთვალეს წინასწარი დატუსაღება.

ამიტომ სამივე ბრალდებული: დუმინი, ვოლპი და პოვერამი განთავისუფლებული იქნებიან ამ წლის ივნისში.

ვიდან მუნოცის მკვლელობა

მექსიკო, 28 მარტი. ვესაკრუციდან იტყობინებიან, რომ მილიტარისტებმა, რომლებსაც მეთაურობდა გენერალი გომეცი, მოკლეს შრომის ფედერაციის მემარცხენე ფრთის ბელადი **ვიდან მუნოცი**.

მუნოცი თავს ესხმოდა გომეცსა და მილიტარისტებს მუშების წინააღმდეგ რეპრესიებისთვის მექსიკის შრომის ფედერაციის ყრილობის დროს.

მუსოლინის ტრაბახობა

ბერლინი, 29 მარტი. ზეიმზე ფაშიზმის 7 წლის თავის გამო, მუსოლინიმ განაცხადა: „სხვა ერები ჩვენი გზით წავლენ, ბოლოს მოუღებენ პარლამენტარიზმს და ძლიერ აღმასრულებელ ხელისუფლებას შექმნიან. მე შევასისხლხორცებ იტალიის დისციპლინას. ჩვენ ყოველთვის ფხიზლად უნდა ვიყოთ და გვახსოვდეს, რომ ცხოვრება ბრძოლაა".

დიდი ხანძარი

პარიზი, 29 მარტი. პინსკში (პოლონეთი) ხანძარმა გაანადგურა სამხედრო ფლოტის საყუდი.

ზარალი 500,000 ზლოტს უდრის.

ხალხთა ლიგის რეორგანიზაცია

ბერლინი, 29 მარტი. ხალხთა ლიგის გენერალურმა მდივანმა სთხოვა გერმანიის მთავრობას დანიშნოს თავისი დელეგატები ექსპერტების კომისიაში ხალხთა ლიგის რეორგანიზაციის საკითხების მოსაგვარებლად.

კომუნისტებმა გაიმარჯვეს

პარიზი, 29 მარტი. პარიზის მეორე სექციაში არჩეულია ორი კომუნისტი დეპუტატი 1500 ხმის უმრავლესობით.

მუსოლინის დღესასწაული

ლონდონი, 29 მარტი. იტალიიდან იტყობინებიან, რომ ფაშიზმის მე-7 წელი ყველგან სამხედრო აღლუმებით იქნა აღნიშნული. მუსოლინიმ დაათვალიერა ფაშისტური ლეგიონები აეროპლანებიდან და შემდეგ იპოდრომზე წარმოსთქვა სიტყვა.

ახალი კომედიისათვის ემზადებიან

პარიზი, 28 მარტი. „ტანი" სწერს: „საფრანგეთი და მცირე ანტანტა წინააღმდეგობას უწევენ გერმანიის ჰეგემონიის აღდგენას ცენტრ. ევროპაში და „აღმოსავლეთისაკენ ცქერას" განაახლებენ, რაც საფრთხეში ჩააყენებდა ჩეხო-სლოვაკიის, სამხრეთ სლავიის და რუმინეთის დამოუკიდებლობას.

საფრანგეთი სცდილობს, რომ დასავლეთის საგარანტიო ხელშეკრულება (ე. ი. ლოკარნოს ხელშეკრულება) შევსებული იქნას ისეთი შეთანხმებებით, რომელიც ევროპას მისცემს უშიშროების ისეთსავე გარანტიას, როგორსაც მას ჟენევის ოქმი მისცემდა, თუ რომ უკანასკნელი განხორციელდებოდა.

როგორც ცნობილია ჟენევის ოქმი, რომელიც სავალდებულო არბიტრაჟის განიარაღების და საერთო სანქციების პრინციპებზეა დამყარებული, წამოყენებული იყო ერიოს და მაკდონალდის მიერ მათი პრემიერობის დროს საფრანგეთსა და ინგლისში. ოქმის მიზანი იყო უშიშროების საკითხის გადაჭრა. ინგლისის ახალმა კონსერვატიულმა მთავრობამ უარი განაცხადა ოქმის ხელისმოწერაზე და ჩაშალა მაკდონალდის და ერიოს ეს „პაციფისტური ზრახვები".

საფრანგეთის ბიუჯეტი

დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიაში

ლონდონი, 29 მარტი. დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიამ ორშაბათამდე გადასდო საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა. საკითხი ღიათ რჩება იმის შესახებ, უარს იტყვის თუ არა **პერე** [illegible] გადასახადის გადიდებაზე.

თავის მეგობრებთან საუბრის დროს პერემ განაცხადა, რომ **მცირეა შეთანხმების მიღწევის იმედი.**

მინისტრთა საბჭოს სხდომის შემდეგ პერემ განაცხადა, რომ ხელს დაიბანს, თუ 31 მარტამდე ბიუჯეტის წონასწორობის დასაცავად არ იქნება მიღებული გადასახადი აღებ-მიცემობაზე და აგრეთვე სხვა გადასახადებიც. საჭიროა სასწრაფო გადაწყვეტილების გამოტანა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში **ყოველ მომენტში მოსალოდნელია კრიზისის დაწყება.**

უფრო გვიან სოციალისტებმა განაცხადეს, რომ ახალ არაპირდაპირ გადასახადებს არ უარყოფენ.

პარიზი, 29 მარტი. **საფინანსო კომისიამ 15 ხმის უმრავლესობით 7-ის წინააღმდეგ (5-მა თავი შეიკავა) მიიღო მარჟენის დამატება ნავთის და შაქრის მონოპოლიის შესახებ.**

პერე უკან იხევს

პარიზი, 29 მარტი. პერე, რომელსაც, როგორც გაზეთები აღნიშნავენ, „ამოქმედებს შერიგების სურვილი", თანახმაა გადასდოს აღებ-მიცემობაზე გადასახადის გადიდების განხილვა და გამოძებნოს სხვა შესაფერი რესურსები.

ფრანკი ეცემა

პარიზი, 28 მარტი. **ფრანკის კურსის კიდევ უფრო დაცემამ დიდი** შთაბეჭდილება მოახდინა ფრანგ რადიკალებზე. ყველანი ლაპარაკობენ, რომ საჭიროა, რაც არ უნდა დაჯდეს, მთავრობის კრიზისის თავიდან აცდენა.

მემარჯვენეები აძლიერებენ გავლენას ბრიანზე და მოითხოვენ, რომ მან მტკიცედ გადახაროს გეზი მარჯვნით და თავი დაანებოს სალი ზომების გატარების ცდას არაბუნებრივ უმრავლესობაზე დამყარების გზით.

დეფიციტი 2½ მილიარდი ფრანკი

პარიზი, 28 მარტი. დეპუტატთა პალატის მიერ მოწონებული სახელმწიფო ბიუჯეტი შედგენილია დეფიციტით, რომელიც უკანასკნელი გამოანგარიშებით 2½ მილიარდ ქაღალდის ფრანკს უდრის.

ფრანგების „ზავი"

პარიზი, 28 მარტი. ჰავასის სააგენტო იტყობინება:

„დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიის სხდომაზე გამოვიდა სამხედრო მინისტრი პენლევე და განაცხადა, რომ ფრანგებმა უკანასკნელ ბრძოლების დროს მაროკოში დიდ გამარჯვებას მიაღწიეს და სულ უმნიშვნელო ზარალი ნახეს".

„მთავრობა—განაცხადა პენლევემ—მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება, მაგრამ მან ანგარიში უნდა გაუწიოს მდგომარეობას. საფრანგეთის მთავრობა მშვიდობიანი გზით მოაგვარებს მაროკოს საკითხს ესპანეთთან სრული შეთანხმებით. მოწინააღმდეგეებმა უნდა აცნობონ საფრანგეთსა და ესპანეთს, რომ მათ მართლა სურთ ზავის ჩამოგდება".

რუმინეთის ახალი მთავრობა

ლონდონი, 29 მარტი. ბრატიანუმ გამოაქვეყნა პარლამენტში ცნობა პარლამენტის სესიის დახურვის შესახებ და შემდეგ გადასცა მეფეს განცხადება კაბინეტის გადადგომის შესახებ.

ახალი კაბინეტის შედგენა მეფემ მიანდო ნაციონალურ პარტიის მემარცხენე ფრთის ლიდერს მანიუს.

ქურთების აჯანყების ჩაქრობა

ინგლისის იმპერიალიზმის ხელი

ანგორა, 28 მარტი. „ჯუმჰურიეტ" აღშფოთებულია ინგლისის მონაწილეობით ოსმალეთის სამხრეთ საზღვარზე უკანასკნელად მომხდარ ამბებში.

„ეჭვს გარეშე, სწერს გაზეთი, რომ ინგლისის იმპერიალიზმი პირდაპირ თავს იჩენს ამ ოლქებში მომხდარ ყოველ ამბოხების დროს".

აღმოსავლეთის ცხოვრება

სირიელ აჯანყებულთა მოთხოვნილება.

ანგორა, 28 მარტი. სოფ. დუმში შეიკრიბნენ სირიელი აჯანყებულნი და შეიმუშავეს შემდეგი მოთხოვნილებანი: **სირიის სრული დამოუკიდებლობა და მისი შესვლა ერთა ლიგაში,** თანასწორუფლებიანი ხელშეკრულება საფრანგეთსა და სირიას შორის, **საფრანგეთის ჯარების გაყვანა სირიიდან,** დემოკრატიული პარლამენტის არჩევნები და საყოველთაო ამნისტია.

საფრანგეთის უმაღლესი კომისარი სირიაში დე-ჟუვენელი გაეცნო ამ მოთხოვნილებებს და განაცხადა, რომ ამას იქით შეუძლებელია ყოველივე მოლაპარაკება აჯანყებულებთან და მოითხოვს მათ სრულ დამორჩილებას.

მხოლოდ დაჩაგვრა და უბედურება.

ლონდონი, 28 მარტი. იერუსალიმის არაბული გაზეთი „მერრატ-ელ-შარკი" ჯამს უკეთებს ერთა ლიგის უკანასკნელ წლების მოღვაწეობას და დაასკვნის, **რომ დასავლეთ სახელმწიფოთა მიერ შედგენილმა ერთა ლიგამ აღმოსავლეთის ერებს მოუტანა მხოლოდ დაჩაგვრა და უბედურება.**

გაზეთი წინადადებას იძლევა, რომ შესდგეს აღმოსავლეთ სახელმწიფოთა ერთა ლიგა, სადაც ოსმალეთის და საბჭოთა კავშირის გარდა უნდა შევიდნენ არაბეთის სხვადასხვა სახელმწიფონიც.

ქურთების აჯანყების ჩაქრობა.

ანგორა, 28 მარტი. **ოსმალეთის ჯარები თანდათან გარს ერტყმიან აჯანყებულებს.** სამხედრო მოქმედება ცოტა შენელდა ავდრების გამო.

შეიხ-სეიდის შარშანდელ აჯანყებასთან შედარებით, წრევანდელი ამბები უმნიშვნელოა.

გაზეთები აცხადებენ, რომ მთავრობა მზად არის უსასტიკესი ზომები მიიღოს ყოველგვარი აჯანყების წინააღმდეგ, სადაც არ უნდა მოხდეს იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, სამშაბათს, 30 მარტს, საღამოს 7 საათზე
შესდგება
საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.
საქ. ცაკის მდივანი **ს. თოდრია**

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სრულუფლებიანი წარმომადგენელი ნორვეგიაში

მოსკოვი, 29 მარტი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა, განთავისუფლებულ იქნეს კოლონტაი, საკუთარი თხოვნის თანახმად, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოვალეობიდან ნორვეგიაში და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად დაინიშნოს მაკარი.

მანუფაქტურა

მოსკოვი, 29 მარტი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატმა გამოსცა ბრძანება ყველა სავაჭრო ორგანიზაციების მიმართ, შესწყვიტონ მანუფაქტურის გაცემა სხვადასხვა ორგანიზაციების სპეციალური სიებით და ორდერებით და არ მიმართონ შემდეგში ასეთ ღონისძიებებს.

ღირსეული სასჯელი

ტომსკი, 29 მარტი. სისრულეში მოყვანილია კოოპერატიული ფულების გამფლანგველ ტატარნიკისათვის გამოტანილი განაჩენი—დახვრეტა.

ყზილ-ორდა, 29 მარტი. სასამართლოს გამსვლელმა სესიამ კაზალინის მუშკოოპის თავმჯდომარეს პენკინს 4.000 მანეთის გაფლანგვისათვის მიუსაჯა დახვრეტა.

ხანძარი ქარხანაში.

ლენინგრადი, 27 მარტი. საღებავების ქარხანაში გაჩნდა ხანძარი, რამაც გაანადგურა მთელი მეორე სართული და მრავალი მასალა. ხანძარს აქრობდა 9 რაზმი და სამი საქარხნო რაზმი. დაშავდა 6 მეხანძრე.

უკრაინა

ამინდი უკრაინაში

ხარკოვი, 29 მარტი. უკრაინაში ამინდი გამოკეთდა. ყინვებს განსაკუთრებული ზიანი არ მოუტანია, თოვლის ნელის ტემპით დნობის გამო. 26 მარტს მთელს უკრაინაში მეტად თბილი ამინდი დაიჭირა, რამაც გამოიწვია თოვლის ინტენსიური დნობა.

უცხოეთის დელეგატები

ხარკოვი, 29 მარტი. ჩამოვიდა კომინტერნის აღმასკომის წევრი და ამერიკის უორკერს პარტიის ბელადი ფოსტერი, რომელიც უკრაინაში მოგზაურობს მელითონეების ყოფა-ცხოვრების გასაცნობად. ფოსტერმა ინახულა უკრაინის პროფკავშირთა საბჭო და დაათვალიერა ხარკოვის ლითონის დამმუშავებელი ქარხნები.

ოდესა, 29 მარტი. ჩამოვიდა საფრანგეთის რევოლიუციონურ რკინისგზელთა ორი წარმომადგენელი.

იჟევსკი, 29/III. იჟევსკის მუშებმა კომინტერნის წევრს, საფრანგეთის კომპარტიის დელეგატს ულდლერს მხურვალე შეხვედრა გაუმართეს.

ცენტრალურ საკონტრ. კომისიის პლენუმი

ხარკოვი, 29/III. გაიხსნა უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მეორე პლენუმი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ მოსკოვიდან ჩამოვიდა საკავშირო კომპარტიის ცენტრ. საკონტროლო კომისიის მდივანი იაროსლავსკი. ამხ. ვლადიმიროვსკიმ წაიკითხა მოხსენება უკრაინის ცეკას მიერ პარტიის საკავშირო და სრულიად უკრაინის ყრილობათა დირექტივების შესრულების შესახებ.

ექიმ კარავაევის მკვლელების გასამართლება

ეკატერინოსლავი, 26 მარტი. 18 წლის წინად ეკატერინოსლავში მოკლეს ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სახელმწიფო სათათბიროს წევრი ექიმი **კარავაევი**. მკვლელობა ჩაიდინეს „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირის წევრებმა. **მეფის სასამართლომ გაამართლა მკვლელები**, რომლებიც ეკატერინოსლავიდან გადასახლდენ და მათი კვალიც დაიკარგა.

შარშან ისინი აღმოჩენილი და დაპატიმრებული იქნენ და ამა წლის მარტში წარსდგენ საბჭოთა სასამართლოს წინაშე. ბრალდებულები **შალდო** და **ჩშეკონენკო** ცნობილ იქნენ კარავაევის მკვლელებად, **რისთვისაც მათ მიესაჯათ დახვრეტა.** შელესტოვს დაუმტკიცდა მკვლელობის მომზადება და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა **ათი წლით. მღვდელ ბალაბანოვს**, როგორც მკვლელობის იდეურ მონაწილეს, მიესაჯა დაპატიმრება 6 წლის ვადით.

ბნელი ძალების მუშაობა

მოსკოვი, 27 მარტი. ებრაელების პასექის დღესასწაულების მოახლოების გამო მინსკის ბნელი ძალები შეეცადენ მოეწყოთ პროვოკაცია და აემხედრებიათ მოსახლეობა ებრაელების წინააღმდეგ. ქალაქის განაპირას პროფესიულმა მათხოვარმა ქალმა **ვიტოლმა** შეკრიბა ბრბო, რომელსაც უჩვენებდა თავის ჭრილობებს და ეუბნებოდა, რომ ის დაიჭირეს ებრაელებმა, შიათრიეს სარდაფში, დასჭრეს და მისი სისხლი შეაგროვეს ბოთლში. **ვიტოლი** წაიყვანეს საავადმყოფოში და ჭრილობის შეხვევის შემდეგ გადაგზავნეს სისხლის სამართლის მილიციაში, სადაც მან დაადასტურა ნათქვამი. გამოწვეულმა ექიმებმა გამოარკვიეს, რომ ჭრილობები ზერელეა და მათ არ შეეძლოთ სისხლისღვრის გამოწვევა. ფსიქიატრმა განაცხადა, რომ ვიტოლი სულით ავადმყოფია და სამი წლის წინად მოთავსებული იყო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. **მეორედ დაკითხვის დროს ვიტოლმა აღიარა, რომ თვითონ დაიჭრა თავი თვითმკვლელობის მიზნით. მას იმედი ჰქონდა** რომ ებრაელების საწინააღმდეგო პროვოკაციის საშუალებით მას ებრაელები თვითგასამართლებას მოუწყობდენ და ამრიგად გამოასალმებდენ სიცოცხლეს. სისხლის სამართლის მილიცია აწარმოებს ენერგულ გამოძიებას, რადგან არსებობს მოსაზრება, რომ საქმეში მონაწილეობას იღებდენ შავი ძალები.

ფონდი ღარიბ გლეხობისათვის

მოსკოვი, 27 მარტი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ სოფლის ღარიბი მოსახლეობისათვის საწარმოო კრედიტის მისაწოდებლად **საჭიროდ სცნო ფონდების დაარსება. საკავშირო რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ბანკების განყოფილებებთან ღარიბ გლეხობისათვის კრედიტის მისაწოდებლად.** ფონდებიდან გლეხობას სესხი მიეცემა 3 და 6 წლის ვადით და ამ სესხის პროცენტები აღებული იქნება სესხის დაფარვის დროს.

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

კამპანია ზედნართ ხარჯების შემცირებისათვის.

ბაქო, 29 მარტი. გაიმართა აზერბეიჯანის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტრესტთა და წარმოებათა გამგეების თათბირი, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენება ზედნართ ხარჯების საწინააღმდეგო ბრძოლის შედეგების შესახებ.

ლენინის სახელობის ფაბრიკაში უმთავრეს ხარჯს შეადგენს მუშაობის შეჩერება. თითო მანქანის შეჩერება იწვევს ყველა სხვა მანქანების გაჩერებას. დეკემბერში გაჩერებისათვის გადახდილი იყო 5.966 მანეთი, იანვარში— 7295 მან., თებერვალში—14.251 მანეთი. 1.950 მუშიდან რეგულიარულად არ ცხადდება 250 მუშა კანონიერ და უკანონო მიზეზებით.

ადგილობრივ სამრეწველო მშენებლობის ტეხნიკურ კავშირებში მუშაობის დროს შეჩერება სავსებით მოსპობილია. მორიგ საკითხს წარმოადგენს წყალის ხარჯების მოწესრიგება.

ტრესტების უმრავლესობამ შეამცირა შტატები, ავტომობილები და სხვა.

„აზპოგრუზ“-მა ორი განყოფილების შეერთებით ხარჯები შეამცირა 5.000 მანეთით.

„აზსოლტრესტ“-მა შეამცირა ზედნართი ხარჯები 10.000 მანეთით.

ბაქოს საბჭოს ხელახალი არჩევნები.

ბაქო, 29 მარტი. ბაქოს საბჭოს არჩევნები დაიწყება 12 აპრილს.

სანიმუშო შინაურ მეურნეობის გამოფენა.

ბაქო, 29 მარტი. საბინაო აღმშენებლობის კომიტეტის თაოსნობით, **ბაქოში მზადდება სანიმუშო საბინაო მეურნეობის დროებით გამოფენის** მოწყობა.

სხვადასხვა

— პალესტინის მთავრობამ საბჭოთა გემების მეზღვაურებს, რომლებიც იაფის ნავთსადგურში ჩადიან, აუკრძალა ნაპირზე გადმოსვლა.

ყველა დანარჩენ გემების მოსამსახურეებს ნაპირზე გადმოსვლის ნებართვა აქვთ.

— **ლეიპციგელ კომუნისტების საქმე.** ლეიპციგში გასამართლეს ერთი ჯგუფი კომუნისტებისა, რომელთაც სახელმწიფო ღალატს აბრალებდენ.

მთავარ ბრალდებულს პოიკას მიუსაჯეს 5 წლის ციხე, რესპუბლიკის დაცვის კანონის დარღვევისთვის.

— **მწარმოებელთა შემოტევა.** ლითონის ქარხნების მეპატრონეთა კავშირებმა საქსონიაში აცნობეს თავის მუშებს, რომ პირველ აპრილიდან შემცირებული იქნება მათი ხელფასი.

— **პალესტინის ელექტროფიკაცია.** იერუსალიმში ხელშეკრულება დასდეს ინჟინერ რუტენბერგთან პალესტინის ელექტროფიკაციის შესახებ.

მიუხედავად არაბ-ნაციონალისტების წინააღმდეგობისა ეს კონცესსია მაინც რუტენბერგს გადასცეს, რადგან მან პირობა მისცა, რომ საჭირო მასალის 50 პროც. შეიძენს ინგლისის ფირმებიდან.

— **პალესტინის მუშა-ქალები.** ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად პალესტინის რამდენიმე ქალაქში მუშა-ქალებმა მიტინგი გამართეს. კომპარტიამ ამ დღისათვის წამოაყენა ლოზუნგი: **ბრძოლა იმპერიალისტურ ძალმომრეობასთან და აღმოსავლეთის ქალთა განთავისუფლება.**

— **მდგომარეობა პალესტინაში.** არაბეთის აღმასკომმა ერთა ლიგას მიმართა შემდეგი მოთხოვნილებით: იმ შემთხვევაში, თუ სირიაში გაიგზავნება იქაურ მდგომარეობის გამომკვლევი კომისია, მაშინ ამავე კომისიას დაევალოს გამოიკვლიოს მდგომარეობა პალესტინაშიც.

— **მოჭადრაკეთა შეჯიბრება.** ზემერინგში მოჭადრაკეთა შეჯიბრების მე-15 რიგის შედეგი ასეთია: **შპილმანმა მოუგო ვაიდს, ალეხინმა რუტის, ტრეიბალმა ტარრაშს, ბრიუნფელდმა—დევიტსონს, ეიტსმამიშელს—იანოვსკიმ, რუბინშტეინს, ნიმცოვიჩ-ტარტაკოვერის, როსსელ-ვიდმარის,** ხოლო კმოხ-გილგის პარტია უშედეგოთ დამთავრდა.

უცხოეთში

მექრთამეობა რუმინეთის არმიაში

რუმინეთის საზოგადოებრივ წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ფოკკერის სავიაციო ფირმის ბუქარესტელი წარმომადგენელის—გიურგეა ნეგრილებტის დაპატიმრებამ. დაპატიმრება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ნეგრილებტიმ მიიღო ფოკკერის ფირმისაგან დაშიფრული დეპეშა, რომლის შინაარსი, მიუხედავათ კატეგორიული მოთხოვნისა, არ გააცნო სამხედრო პროკურატურას. ამავე დროს „დრეზდენერ ბანკის“ ბუქარესტის განყოფილებამ ფოკკერის ქარხნების ჰოლანდიის განყოფილებისაგან მიიღო 12 მილიონი ლეი (ლეი ერთ ფრანგულ ფრანკს უდრის), პროკურატურის ცნობით ეს თანხა ნეგრილებტისათვის იყო გადმოგზავნილი იმ საგამომძიებლო კომისიის მოსასყიდათ.

შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ ფოკკერის ფირმის აეროპლანები უვარგისი მასალიდან არიან დამზადებული. ამის გამო 1925 წ. შემოდგომაზე, დააპატიმრეს რუმინეთის გენერალური შტაბის ზოგიერთი უმაღლესი თანამდებობის პირნი. დააპატიმრეს აგრეთვე სავიაციო კორპუსის რამდენიმე ოფიცერი, რომელთაც ბრალი ედებოდა იმაში, რომ ისინი მატერიალურად იყვენ დაინტერესებული აეროპლანების მიწოდებაში. გამოძიების დროს აღმოჩნდა, რომ ამ აფიორაში წილი უდევს რუმინეთის ტახტის მემკვიდრეს კარლოსს, რომელიც სამხედრო ავიაციის მთავარი ინსპექციის გამგე იყო.

გიურგეა ნეგრილებტი დააპატიმრეს სამხედრო ავიაციის ახალი ინსპექციის გენერალ ფლორესკოს ბრძანებით. მთავრობის ოფიციალური ცნობა იუწყება, თითქო ნეგრილებტი გამოტყდა, რომ მის მიერ მიღებული დეპეშა შეიცავდა ინსტრუქციას „საგამომძიებლო კომისიზე გავლენის მოხდენის“ შესახებ.

ნეგრილებტის დაპატიმრების დროს იპოვეს შიფრის გასაღები. გამოძიების მასალების მიხედვით დააპატიმრეს გენერალი ნეიტცესკუ, რომელმაც თავის დროზე ჩაიბარა აეროპლანები, ობერ-ლეიტენანტი ბერონიადე და ფოკკერის ფირმის საავენტოს გამგე.

მთავრობის ორგანო „ვიტტორულ“ ამტკიცებს, რომ თითქო შიფრის ნაპოვნი გასაღებით სარგებლობდენ არა მარტო მიღებული დეპეშების წასაკითხად, არამედ აგრეთვე ცნობების გასაგზავნად რუმინეთის არმიის მდგომარეობის შესახებ. ამიტომ ნეგრილებტის ჯაშუშობასაც აბრალებენ.

მევენახეთა მღელვარება გერმანიაში

უკანასკნელი თვეების განმავლობაში რეინის რაიონში გლეხ-მევენახეთა მდგომარეობა ძალიან გაუარესდა. საერთო-სამეურნეო კრიზისმა, ბაზრის უქონლობამ, ბანკებისა და სოფლის ჩარჩებისადმი დავალიანებამ, რასაც ხშირათ თან სდევდა გლეხის მთელი ქონების ჩალის ფასად გაყიდვა—ყველაფერმა ამან ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა სოფლის წვრილ მევენახეთა უკმაყოფილებისათვის. ამას კიდევ ზედ დაერთო ის გარემოება, რომ სოფელს შეესიენ ფინინსპექტორები, რომლებიც უმოწყალოდ ბეგრავდენ ყველა გლეხს, რომელიც მათ ქრთამს არ მისცემდა და ასევე შეუბრალებლად ჰყიდდენ იმათ ქონებას, ვინც გადასახადს თავის დროზე არ გადაიხდიდა. უკმაყოფილებამ ბოლოს აშკარა ამბოხების ხასიათი მიიღო.

დაიწყო იქიდან, რომ 25 თებერვალს, ბერნკასტელში გლეხმა მევინეებმა მოაწყვეს კრება, რომელსაც დაესწრო 5.000 კაცი. კრებაზე გამოვიდა ცენტრის პარტიის 4 დეპუტატი, რომლებიც შეეცადენ დაეშოშმინებიათ აღელვებული გლეხები. მათი ცდა ამაო აღმოჩნდა.

კრების შემდეგ გლეხები გაემართენ საგადასახადო განყოფილებისაკენ, რომელიც დაკეტილი აღმოჩნდა. ფინინსპექტორმა წინადღით მიიღო თორმეტი გლეხის მიერ ხელმოწერილი წერილი, რომელშიც მოითხოვდენ მისგან ზედმეტად აღებულ თანხების დაბრუნებას და აცხადებდენ, რომ თუ დემონსტრაციის დღეს კანცელარია დაკეტილი აღმოჩნდა, ისინი პასუხისმგებელი არ იქნებიან წესრიგისათვის.

დემონსტრანტებმა დაარბიეს კანცელარია, ქაღალდები კი გამოიტანეს და დასწვეს.

ადმინისტრაციამ რეპრესიებს მიმართა. ბერნკასტელში გაგზავნეს ჟანდარმთა რაზმი, რომელმაც 15 გლეხი დააპატიმრა. მოსახლეობა შეიარაღდა ცელებით და ნამგლებით, რომ შეეშალა ხელი სხვა გლეხების დაპატიმრებისათვის. როცა პოლიცია გრაახისაკენ (მოზელზეა) გაემართა, გლეხთა შეიარაღებულმა რაზმმა მას გზა გადაუჭრა. პოლიცია იძულებული შეიქნა უკან დაბრუნებულიყო.

მღელვარება გაიზარდა.

ნახტიგში, ერდონში და ლოზნიგში შეიკრიბენ გლეხები და გადასწყვიტეს 15 დაპატიმრებულის განთავისუფლება. რამდენიმე ათასი კაცი გაემართა ბერნკასტელისაკენ.

პროკურორმა, რომელიც ადგილობრივ გამოძიებას აწარმოებდა, დაინახა, რომ მღელვარებამ საშიში ხასიათი მიიღო და გასცა ბრძანება დაპატიმრებულთა განთავისუფლების შესახებ.

გამოსვლების განმეორების შიშით, მევენეთა კავშირმა, რომელსაც ცენტრის პარტია ხელმძღვანელობს, მოხსნა დემონსტრაცია, დანიშნული 7 მარტისათვის. ცენტრის პარტიის გამგეობამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც კიცხავს ბერნკასტელის დემონსტრანტებს.

მღელვარება მევინეთა შორის გრძელდება.

ბულგარელი მკვლელების მუშაობა

(განცდილი ამბავი).

ამბობენ, რომ ამერიკაში დამნაშავეს ელექტრონით ჰკლავენ. ამერიკაში არასოდეს არ ვყოფილვარ, მაგრამ იანკების გამოგონება სრულიად არ მაკვირვებს.

ელექტრონით სიკვდილი? უეჭველია, ეს სასიამოვნო სიკვდილი უნდა იყოს.

ძლიერი ტკაცანი ტვინში, ასოების მწვავე შეკრუნჩხვა, ელექტრონის თითოლეა ძვლებში, შემდეგ გადავარდნა ნათელ და კონცენტრიულ წრეში, ბოლოს დუმილი, ისეთივე ღრმა და გამოუთქმელი, როგორიც პლანეტებს შორის არსებობს სამყაროში.

ეს სასიამოვნო და უცნაური სიკვდილია.

ჩვენ, ბულგარეთში, ადამიანებს უფრო უბრალოდ ვხოცავთ. ეს დღესაც ორპირი დანის, ტომაჰავკის, შეწებობით ხდება, როგორც მამაპაპების დროს ხდებოდა. მსხვერპლს ზურგში დანას სცემენ, ძვლებს ჭახანი გააქვს, ადამიანი ძირს ეცემა მოჭრილ ხესავით. ხანდახან მსხვერპლთა რიცხვი მეტია,—ათი, ოცი, ორმოცი კაცი; ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ოპერაცია უფრო რთულია, მაგრამ, ისე თუ ისე, მაინც კეთდება: როცა ყველას ერთმანეთზე გადააბამენ, ძნელი აღარ არის მთელი ამ ადამიანური მასის გაჟლეტა. ეს არის ნამდვილი სისხლის აბანო, ზღაპრული მსხვერპლთა შეწირვა, უცხო სანახაობა. შემდეგ გვამებს რომელიმე ღრმა ორმოში ჰყრიან, ან ძაღლების ანაბარა სტოვებენ.

მაგრამ რატომ სწორედ ამ წესით უნდა მოიკლას ადამიანი? განა ეს ახირებული წესი არ არის?

ბულგარეთში აკრძალულია დახვრეტა, აი ამაშია საქმე.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ადამიანებს დახვრეტდენ, როგორც სხვაგან ხვრეტენ.

ჩვენ ვიმყოფებით დაპყრობილ ქვეყანაში, აჯანყებულ ქვეყანაში, მაგრამ ისე ვიქცევით, თითქო ყოველგან მშვიდობა სუფევდეს. თოფის გასროლა არ შეიძლება. რათ უნდა შეშფოთდეს მშვიდობიანი მოსახლეობა?

სინამდვილეში კი მშვიდობიანი მოსახლეობა აღარსად არის. ის ან გაქცეულია, ან გაჟლეტილი. სოფლები დანგრეული და გადამწვარია, მცხოვრებლები ტყეში დაძრწიან და შიმშილით იხოცებიან. ისინი კანონს გარეშე არიან გამოცხადებულნი, მათ ხოცავენ, როგორც მგლებს და როგორც მინდვრის კალიას...

ჩვენ ერთად ვსვამთ. კაპიტანი და მე. ღვინის სმა მას ორგანიულ ჩვეულებათ გადაქცევია. ეს დაბალი ტანის კაცია, მას მრგვალი, სავსე, შავგვრემანი სახე აქვს. მკაცრი გამომეტყველება აქვს, შეკრეჭილი ულვაშები და გრძელი ყურები. მისი ღმერთი სამხედრო ტანისამოსია, მისი ტაძარი—ყაზარმაა. თავის უფროსების ბრძანებებს ცრუმორწმუნეობრივი მოკრძალებით ასრულებს. ის ძაღლივით ერთგულია თავის ბატონებისა. ის ერთი იმ ზღაპრული გველეშაპის თავთაგანია, რომელიც მოჯადოვებული ქალაქის ულამაზეს ბავშვებს ყლაპავს. მას ჩაბარებული აქვს ერთი სექტორი, სადაც რამდენიმე სოფელი მიწასთან უნდა გაასწოროს. ის ამ ჰუმანიურ მისიას მტკიცედ და ღირსეულად ასრულებს. დიდათ კმაყოფილია, როცა მე მის გვერდით ვჯდები. შემდეგ ის სცდილობს თავისი უპირატესობა მაგრძნობინოს.

„შეხედეთ, ყმაწვილო, ეს ნამდვილი ძაღლებია. ისინი როდი უნდა დაინდოთ: ეს ნამდვილი ავაზაკების ბრბოა! დალიე! ყოველივე დაგავიწყდება...“

* * *

ღამდება.

გზაზე დედაბერი გვხვდება, რომელსაც იღლიაში პარკი აქვს ამოდებული.

„ეს რა მოგაქვს?“—ვეკითხები მე ხუმრობით.

დედაკაცი შეშფოთდა და ორი კაცის თავი გვანახვა,—მისი დახოცილი შვილების თავები.

„როგორ იცანი, შენ უბედურო?“

„განა შეიძლება, რომ დედამ შვილი ვერ იცნოს, რა რიგ დამახინჯებულიც არ უნდა იყოს მისი სახე?“

მე ხელი ჩავიქნიე სასოწარკვეთილების ნიშნათ და ჩქარი ნაბიჯით გავსწიე დანიშნულ ადგილისაკენ.

ჯარისკაცების რაზმი სიკვდილით დასასჯელთ გზაზე მიერეკება. მარჯვნივ გადაუხვიეს და ვიწრო ხრამთან შეჩერდენ, შემოდგომაა. ბალახი უკვე დამჭკნარია.

ღრმა თხრილის ნაპირას ვდგევართ. მე მგონია, რომ თითქო თვითონ მე უნდა ჩავწვე ამ თხრილში და მთელი ეს ცერემონია ჩემთვის არის მოგონილი. ექვსი დასასჯელი ადამიანი ერთმანეთზეა გადაბმული: ეს ნამდვილი ცოცხალი კედელია, ადამიანური სულების ღობე, რომლის სასოწარკვეთილი და მინელებული კვნესა თითქო დედამიწის გულს გაარღვევდა.

მათი სახეები უსისხლო და გამომშრალია ხის კანივით. იმედის ნაპერწკალი!.. ...არა, მათი მოშვებული კუნთები და უძლურად ჩამოკიდებული ხელები სრულ უიმედობას მოწმობენ. მათ იციან, რაც ელის, მათ იციან, რაც აუცილებელია.

ისინი თავდახრილნი სდგანან თხრილის პირთან, მათი საფლავის პირთან. მე მათ ვეუბნები ათრთოლებული ხმით:

„იცოდეთ, რომ ვინც მართალს იტყვის, დაჯილდოვებული იქნება, სიცოცხლე ეჩუქება“.

როცა ამ ტყუილს ვლაპარაკობ, თვალები დახრილი მაქვს, ვერ ვბედავ მათ შეხედვა. ერთი მათგანი, მასწავლებელი, ყრუ და მისუსტებული ხმით მიპასუხებს:

— რისთვის დაგჭირდათ ჩვენი დაცინვა?

მე მას ვაშტერდები, მისი თვალის ქუთუთოები ხამხამობენ, მისი ტუჩები თრთიან. მისი თვალები ენთებიან, თითქო მას უნდოდეს მითხრას: „გახსოვს თუ არა ის საღამო, ჩემს ოჯახში რომ გაატარე? წაბლის წვენი, რომელიც ჩემმა თავმდაბალმა, მოკრძალებულმა ცოლმა მოგიმზადა? ჩემი პაწია, ქერათმიანი და ალერსიანი ბავშვები, რომელიც შენ ბიძიას გეძახოდენ? გახსოვს თუ არა ეს ყოველივე? დილით ჩემმა ცოლმა რომ პირის დასაბანი წყალი მოგიტანა?“

„კმარა, ჩვენ მეტი დრო აღარ გვაქვს“,—გაიძახის მკვახედ უფროსი ოფიცერი.

შემდეგი თვალებს უხვევს მსხვერპლთ, რომლებიც თრთიან და კბილებს კბილებზე აცემინებენ.

მე კიდევ ვუახლოვდები მასწავლებელს და ყურში ჩავჩურჩულებ:

„სთქვი, რომ ბანდიტების ბუნაგი იცი და გადარჩები“.

ის სასოწარკვეთილი და გაოცებული შემომცქერის, ყურზე ხელს იდებს და მეუბნება:

„გამიმეორე, მე არ მესმის!“

მე უფრო ხმამაღლა ვიმეორებ.

„ღმერთო ჩემო, არაფერი მესმის“.

ჩემი ხელები ძირს ეშვებიან სასოწარკვეთილების გამო. მას თვალებს უხვევენ. შემდეგ ყველას პირს აბრუნებენ თხრილისაკენ.

უფროსი იძახის:

„ხიშტებით!“

პირზე ხელები აიფარა და შემოვტრიალდი.

გაისმის ყრუ შეძახება, შემდეგ სუსტი ბრძოლის ხმა და დუმილი მყარდება. რა მოხდა? ნუ თუ ასე ჩქარა გათავდა?

ხელახლა რაზმისაკენ მივბრუნდი. ოფიცრებისა და ჯარისკაცების სახეები შეშფოთებულია. უბედურები ჯერ კიდევ ნახევრად ცოცხალნი არიან და თხრილში ჰყრიან. ადამიანური მასა სისხლის მორევში სცურავს, კვნესა მოისმის. შეუძლებელია იქ მეორეჯერ ჩახედვა: ან გული წაგივა და თვით ჩავარდები.

დაიწყო თათბირი. სხვა შემთხვევაში საქმე უფრო ადვილი მოსაგვარებელი იქნებოდა: რამდენიმე ტყვია და ყოველივე გათავდებოდა. მაგრამ...

...აქ თოფის სროლა აკრძალულია. ჩვენ დაპყრობილ, აჯანყებულ ქვეყანაში ვიმყოფებით, მაგრამ მშვიდობიანობის ნიღაბი უნდა შევინარჩუნოთ. მეტი არაფერი.

და აი ერთი ჯარისკაცი ჩადის თხრილში. ისმის ხიშტის ყრუ დარტყმა ქვაზე—ერთი, ორი, სამი. შემდეგ ჯარისკაცი უცებ ზევით ამოდის ცრუმორწმუნოებრივი შიშით ძრწოლით გამსჭვალული. ხიშტი გადამტვრევია, თვალები გიჟივით ენთება. სახეზე ოფლი [illegible]. მას არაქათი გამოლევია, ის თრთის ფოთოლივით. ქვემოდან ყრუ კვნესა ისმის, მინელებული, შორეული, როგორც ჯოჯოხეთის [illegible].

მეორე ჯარისკაცი ჩადის. რაღაც აუწერელი საშინელება ხდება. თითქო ის ჯოჯოხეთში ჩავიდა. სხვა ჯარისკაცები ზემოდან დასცქერიან მოჯადოვებულებივით. თვითონ ოფიცერიც აღელვებულია ამ არაჩვეულებრივი სანახაობით. ის მიდის და მოდის, შემდეგ თხრილში იცქირება და კითხულობს:

„ვერ გაათავე?“

ბოლოს ჯარისკაცი ამოდის; ის სრულიად ამოსვრილია სისხლში, სცდილობს ტანისამოსი შეიწმინდოს, ხელები უცახცახებს. მისი ხიშტი გალუნულია, სიცოცხლე უფრო ძლიერი აღმოჩენილა, ვიდრე ფოლადი. კვნესა ნელდება, მოისმის მხოლოდ ხრიალი, რომელიც თანდათან სუსტდება, დრო მიდის, ბოლო უნდა მოეღოს ამ უსიამოვნო ამბავს: ჯარისკაცებსაც ნერვები აქვთ.

„დრო აღარ გვაქვს,—ამბობს ოფიცერი,—მიწა მიაყარეთ...“

ლიუდმილ სტოჟანოვი.

(„ჰიუმანიტე“)

პარტიული ცხოვრება

ქალთა დღის ჩატარების შედეგები

დღეს ჩვენ შეგვიძლია ერთნაირი ჯამი გაუკეთოთ ქალთა საერთაშორისო დღის, 8 მარტის ჩატარებას. იმ აუარება კორესპონდენციებიდან, რომლებიც ჩვენ მოგვდის ამ დღის ჩატარების შესახებ, თამამად შეიძლება ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ 8 მარტმა მთელს საქართველოში ნამდვილი მასიური ხასიათი მიიღო. მშრომელთა ფართო მასები აქტიურ მონაწილეობას იღებდენ ამ დღესასწაულის როგორც მოსამზადებელ მუშაობაში, აგრეთვე თვით ჩატარებაშიც.

წინად ქალაქშიც ძლივს ხერხდება დღესასწაულის მოწყობა, წელს მიყრუებულ თემებშიც კი აღინიშნა ეს დღე. არა მარტო მშრომელი ქალები იყვენ დაინტერესებული ამ დღის შესაფერისად ჩატარებაში, მუშებისა და გლეხების ფართო წრეებიც კი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ. ჩამორჩენილ და მივარდნილ თემებიდან პარტკორები დაწვრილებით აგვიწერენ, თუ როგორ ემზადებოდენ გლეხი-ქალები 8 მარტის დღესასწაულისთვის, როგორ ინტერესს იჩენდენ ფართო უპარტიო გლეხები ამ დღესასწაულისადმი და ყოველ ღონეს ხმარობდენ მის სათანადო ჩასატარებლად, როგორი ზეიმით და შინაარსიანათ ჩატარდა ის.

ყველაფერი ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ უკანასკნელ დროს ქალთა შორის მუშაობა უფრო გაფართოვდა და ამასთანავე სწორ გზაზე დადგა. ქალთა შორის მუშაობა გაშორდა ქალაქის ფარგლებს და სოფელში შეიჭრა. გლეხის ქალმა შეიგნო თავისი უფლებები. შეიტყო, რომ საბჭოთა რესპუბლიკაში ის ისეთივე სწორუფლებოვანი მოქალაქეა, როგორც მამაკაცი. გლეხებმაც გაიგეს, რომ საბჭოთა კანონის წინაშე ყველა თანასწორია, მამაკაცია ის თუ დედაკაცი.

თემკომები და უჯრედები ამ მუშაობას დღეს უსათუოდ მეტ ყურადღებას აქცევენ. უკვე ძლეულია ის გულცივობა, რომელსაც იჩენდენ ბევრი ჩვენი ამხანაგები ქალთა შორის მუშაობისადმი.

წინად დელეგატ-ქალთა ორგანიზაციები მხოლოდ ქალაქებსა და მსხვილ რაიონულ ცენტრებში არსებობდენ. ამ უკანასკნელ დროს კი ეს ორგანიზაციები თემებშიც ჩამოყალიბდენ. მათში სათანადო მუშაობა სწარმოებს. აქა-იქ სოფლებში ამ ორგანიზაციებიდან გამოდიან აქტიური მომუშავე გლეხი-ქალები, რომლებიც მონაწილეობენ საბჭოებში, კოოპერაციაში და სხვ. საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. უსათუოდ ამით აიხსნება, რომ წელს შედარებით ქალთა დღეს მასიური ხასიათი ჰქონდა.

ამ დღეს ჩვენ დავათვალიერეთ, თუ რა გაკეთდა ქალთა შორის მუშობის მხრით და დადებითი შედეგიც მივიღეთ.

საჭიროა რომ ეს წარმატებითი მუშაობა შუა გზაზე არ შევაჩეროთ და თანდათან განვავითაროთ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილებებმა მთელი ენერგია უნდა დასჭიმონ და ეს მუშაობა კიდევ უფრო გააძლიერონ. თემკომებმა და უჯრედებმა თავის მხრით რაც შეიძლება ხელი უნდა შეუწყონ ქალთა შორის მუშაობას.

8 მარტის ჩატარებამ ჩვენ დაგვანახვა, რომ ქალთა შორის მუშაობა მკვიდრ გზაზე დგას. ეს მუშაობა კიდევ უფრო გავაღრმავოთ და გავაფართოვოთ, რომ მშრომელ ქალთა მთელი ფენები ავამოძრაოთ და ჩავაბათ მშრომელთა რესპუბლიკის აღმშენებლობაში.

ლ.

ადგილობრივ ორგანიზაციებში

ცაგერის თემკომი

(ლეჩხუმი)

თემკომის სისტემაზე გადასვლამ ჩვენს თემში ძლიერ გააცხოველა პარტიული მუშაობა. წინად დისციპლინაც სუსტი იყო. პარტიის წევრმა არ იცოდა რა უნდა ეკეთებია ან როგორ უყურებდა ამა თუ იმ საკითხს პარტია. დღეს ამ მხრით საქმე გაუმჯობესებულია. პარტიის წევრები მჭიდროდ არიან დაკავშირებული გლეხებთან. საბჭოთა არჩევნებში სრულიად იქნა დაცული პარტიის ხაზი. არჩევნებში გლეხების უმრავლესობა იღებდა მონაწილეობას. უჯრედების მუშაობა გაცხოველებულია. თემკომის მდივანი და წევრები ესწრებიან უჯრედების სხდომებს და უხსნიან, თუ როგორ უნდა იმუშაონ, ეწყობა ღია კრებები.

თემკომი სულ აერთიანებს 7 უჯრედს 75 წევრი და 46 კანდიდატი, ქალი ამათში არის ოთხი.

ლ. მურცხვალაძე.

სტაციონალური სკოლა

(ს. სორი, რაჭა)

ამ სოფელში არსებობს სტაციონალური სკოლა, რომელშიაც მეცადინეობა დაიწყო 6 თებერვალს. სკოლას ძლიერ ეტანებიან როგორც პარტიულები და უპარტიოები, ისე უპარტიო ახალგაზრდობაც. ამან გვაიძულა სკოლაში სამეცადინოთ 33 მსმენელი დაგვეშვა. სკოლაში შედარებით ქალების რიცხვიც საკმაოა.

პირველ ხანებში მეცადინეობა კვირაში ორი-სამი დღე სწარმოებდა. შემდეგ კი, როდესაც პურეულის თესვის დრო მოვიდა, ბევრმა მსმენელმა თავი დაანება სკოლას, რადგან მეცადინეობა დილაობით ხდებოდა. გარდა ამისა საბჭოთა არჩევნებმაც ხელი შეგვიშალა. ახლა მეცადინეობა საღამოობით ხდება და ამიტომ საქმესაც გამოკეთება ეტყობა.

გვაკლია სახელმძღვანელოები.

დ. მ—ძე.

ხელმძღვანელს დრო არ აქვს

(ასურეთის რაიონი, თბილისის მაზ.)

ჩვენს რაიონში არსებობს პოლიტ-სკოლა მეცადინეობა კვირაში ორი დღე უნდა სწარმოებდეს. მაგრამ მეცადინეობა არ სწარმოებს სისტემატიურათ. ეს ხელმძღვანელის ბრალია. ის სხვა საქმეებითაა დატვირთული და ჩვენთვის არ სცალია. მას რომ ბევრი საქმე ქონდეს ჩვენი რა ბრალია, ჩვენ სწავლა გვინდა და ის ვალდებულია, როგორც ხელმძღვანელი გვამეცადინოს. თუ დრო არ აქვს განაცხადოს სადაც ჯერ არს და სხვას დაგვინიშნავენ.

მნახველი.

ქალთა შორის

დელეგატ-ქალთა მუშაობა

(სოფ. სამიქაო)

სიმართლე უნდა ითქვას, რომ რამდენიმე თვის უკან ქალთა შორის მუშაობა მოისუსტებდა. მაგრამ, ეხლა უკვე დაეტყო გამოცოცხლება და მუშაობა ქალთა შორის დადგა თავის დონეზე. დელეგატი-ქალების კრებები იმართება კვირაში ერთხელ. ხშირად იმართება კომპარტიასთან და კომკავშირთან გაერთიანებული კრება. დაარსებულია წრე სადაც ქალები მეცადინეობენ და არჩევენ სხვადასხვა საკითხებს. სადელეგატო კრებებზე კითხულობენ მოხსენებებს სხვადასხვა თემაზე. წაკითხულ იქნა შემდეგი მოხსენებები; „ქალის როლი საბჭოთა არჩევნებში“, „დელეგატ-ქალთა მონაწილეობა კოოპერატიულ აღმშენებლობაში“, „ქალის როლი მეურნეობაში“, და სხ. აღსანიშნავია, რომ არც ერთი დელეგატი-ქალი კრებას არ აკლდება. რაოდენობა დელეგატი ქალებისა უდრის 40. კომუჯრედს ერთი წარმომადგენელი ჰყავს გამოყოფილი, რომელიც ესწრება დელეგატი ქალების კრებებს და უწევს დახმარებას ამა თუ იმ საქმის მოგვარებაში.

ქალკორი—ავ.

ქალთა დღესასწაული

(თერჯოლის თემში, შორ., მ.)

საუცხოვოთ ჩატარდა ქალთა დღესასწაული ს. თერჯოლაში. დილას ადრე, 8 მარტს, 7-წლედის მოწაფეები და ქალები შეიკრიბენ თერჯოლის სამკითხველოში და ყვავილებით მორთეს ლენინის სურათი. წითელი დროშებით დაამშვენეს 7-წლედის და აღმასკომის შენობები. გააკრეს ლამაზად დაწერილი პლაკატები და აფიშები. ხალხი შეგროვდა. თავი მოიყარეს გლეხის ქალებმა. პირველ საათზე იხსნება მიტინგი. მისასალმებელ სიტყვით გამოდიან დელეგატ-ქალები აღმასკომის, განათლების მუშაკთა ადგილკომის, გლეხკომის, კომკავშირის, პიონერების და სხვა წარმომადგენლები. შემდეგ მოხსენებას აკეთებს ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი და უმარტავს საზოგადოებას რვა მარტის დღესასწაულის მნიშვნელობას. მოწაფეები კითხულობენ რევოლიუციონურ ლექსებს. შემდეგ დაიდგა წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნა „პროლეტარი ქალი“ რევოლიუციონური პიესა და „ხათაბალა“ კომ. I მოქმედებათ. პიესები კარგათ ჩატარდა.

ხედავ ყოველივე ამას და გული მხიარულობს. ქალებსაც ეღირსათ მონობიდან განთავისუფლება.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

უჯრედების გაერთიანებული კრება

(საგარეჯო, გარე კახეთი)

14 მარტს შესდგა საგარეჯოს თემის ახ. ლ. კ. კ. ყველა უჯრედების გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) საერთაშორისო მდგომარეობა, 2) თემკომის ა.გ. მდივნის სამი თვის მუშაობის ანგარიში და 3) კომკავშირის მორიგი ამოცანების შესახებ.

პირველი მოხსენება გააკეთა გ. გაბილაშვილმა. მოხსენების გარშემო შემოვიდა შეკითხვები და გაიმართა კამათი. შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია.

მეორე მოხსენებას აკეთებს ახ. ლ. კ. კ. თემკომის მდივანი ვაშაკიძე თავის მუშაობის შესახებ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში. მოხსენებიდან ირკვევა, რომ ამ სამ თვეში თემკომს ჰქონია 12 სხდომა, სადაც გარჩეულა 68 სხვადასხვა ხასიათის საკითხი როგორიც არის ორგანიზაციული, სააგიტაციო და პოლიტიკური. ამასთანავე მან აღნიშნა, რომ თბილისში კონფერენციების და ყრილობის დროს თემში მუშაობა შეფერხდა, მაგრამ თუ რაიმე ნაკლი იყო თითქმის გამოსწორებულია. აგრეთვე აღნიშნავს დისციპლინის შესახებ რომ კომკავშირში ლოთობას ქონია ადგილი, რის წინააღმდეგ მიღებულ იქნა სათანადო ზომები და გარიცხული იქნენ კავშირიდან ეს ამხანაგები. მოხსენებიდან გამოირკვა აგრეთვე, რომ მოჯამაგირეთა შორის კავშირის მუშაობა გაძლიერდა და მათი კომკავშირისკენ ლტოლვა დიდია; მხოლოდ ქალთა შორის მუშაობა მოისუსტებს. ამის გამოსასწორებლად მიღებულია ზომები. იყო მრავალი შეკითხვები, რომლებზედაც მომხსენებელმა გასცა სათანადო პასუხი. თემკომის მდივნის მუშაობა ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად.

შემდეგ ამისა მოხსენება გააკეთა საშა ბედიაშვილმა კომკავშირის მორიგი ამოცანების შესახებ, რის შესახებ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია.

დამსწრე.

სნოს უჯრედი

(ს. სნო, დუშეთის მაზრა)

ზემოხსენებული უჯრედი არსებობს ყაზბეგის თემში; ის დაარსდა 1924 წელს. უჯრედში ირიცხება 32 წევრამდის. კვირაში ორჯელ იმართება პოლიტიკური მეცადინეობა, რასაც ამხანაგები თითქმის უკლებლივ ესწრებიან. უჯრედთან დაარსებულია სამკითხველო და კლუბი. უპარტიო ახალგაზრდობასთან მჭიდრო კავშირია.

კორინთელი გიგო.

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოკვლევა

ცენტრში სასოფლო - სამეურნეო გადასახადის მოსალოდნელი რეფორმის გამო, გამოკვლევის მასალებს, რომლებიც მიღებული იქნა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში სასოფლო სამეურნეო გადასახადის აკრეფის საქმის გამოკვლევისაგან, აქტუალური და ღრმა პრაქტიკული მნიშვნელობა ეძლევა.

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ მიუხედავათ დაბეგვრის სისტემის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებისა, გადასახადის სიმძიმის განაწილება მაინც არ არის თანაბარი და არ შეეფერება გადამხდელთა სამეურნეო სიძლიერეს. გამოკვლევამ დაამტკიცა აგრეთვე, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის შენელება გამოწვეულია მისი სიმძიმით და გასული წლის ნარჩენებით და საურავით. ამასთანავე გადასახადის აკრეფის შენელება აიხსნება საგადასახადო დისციპლინის შესუსტებით, რაც შედეგია ნარჩენების გაუქმების და იძულებითი ზომების მიუღებლობისა.

ყველა შემჩნეული დეფექტების გამოსასწორებლად ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ შეიმუშავა კონკრეტიული ღონისძიებანი რომლებიც შეთანხმებულია ა.კ. ფინსახკომთან.

თამბაქოს ფაბრიკა „ლომი“

თამბაქოს ფაბრიკა „ლომი“ ეკუთვნოდა კერძო პირებს, რომლებიც გაერთიანებული იყვენ შრომის არტელში და შედიოდენ წარმოკავშირში, სარგებლობდენ რა ყველა იმ შეღავათებით, რომლებიც მინიჭებული აქვს თამბაქოს სახელმწიფო ქარხნებს. ერთერთი ასეთი შეღავათი იყო სააქციზო გადასახადის ვადის 4 თვით გაგრძელება.

გამოკვლევის დაწყებისას ფაბრიკა უკვე აღარ მუშაობდა და მისი ქონება აქციზის არგადახდისათვის აწერილი იყო სააქციზო უწყების მიერ; ფაბრიკას სააქციზო სამმართველოს ვალი დაედო 48.000 მანეთი, აწერილი ქარხანა კი საქონელთაერთად შეფასებულია 5.000 მანეთად.

ასეთი დიდი დავალიანება აიხსნება იმით, რომ ფაბრიკა სისტემატიურად არ იხდიდა სააქციზო გადასახადს და ფინსახკომიც დროზე არ იღებდა სათანადო ზომებს.

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის დადგენილების თანახმად, ეს საკითხი განსახილველად გადაეცა ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს.

ეკონომიური ცხოვრება

შინა-მრეწველობა

(სენაკის მაზრა)

სენაკის მაზრაში შინა-მრეწველობა თანდათან ვითარდება და მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასოფლო მეურნეობის აღორძინების საქმეში.

მაზრაში არსებობს შინა-მრეწველობის შემდეგი დარგები: თიხის, კირის, აგურ-კრამიტის, და წნული კალათების წარმოებანი.

თიხის წარმოება ყველაზე მეტად განვითარებულია თამაკონის რაიონში, სადაც ამ ხელობით მოსაქმეობს 60 მეურნეობა. თვითეული მეურნეობის წმინდა მოგება ამ დარგში უდრის წლიურად 60 მანეთიდან 100 მანეთამდე.

თავის მნიშვნელობის მხრივ მეორე ადგილი მაზრაში უჭირავს აგურ-კრამიტის წარმოებას, შინა-მრეწველობის ამ დარგს მისდევს დაახლოებით 40 მეურნეობა, აბაშის, მარტვილის, სალხინოს და სენაკის რაიონებში.

საამშენებლო მუშაობის გაძლიერების გამო, გლეხების მხრივ მოთხოვნილება აგურ-კრამიტზე დღითი-დღე მატულობს და შინა-მრეწველნიც თანდათან აფართოებენ თავიანთ საქმიანობას და აძლიერებენ ნაყოფიერებას.

[illegible] ადგილი უჭირავს კირის წარმოება-დამზადებას. ერთად-ერთი ქარხანა, რომელიც ამზადებს კირს დიდი რაოდენობით, ეკუთვნის სენაკის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებას, გარდა ამ ქარხნისა 15 საგლეხო-მეურნეობას მაზრის სხვადასხვა რაიონებში აქვთ კირის პატარ-პატარა საწარმოო სახელოსნოები. მშენებლობითი დაწყების გამო კირის პროდუქტმაც საგრძნობლად იმატა.

წნულ კალათების წარმოება გავრცელებულია სენაკის მაზრის მაღლობ რაიონებში. შინა - მრეწველთა ამ დარგში ამზადებენ მაღალ ღირსების კალათებს და გიდლებს და სავსებით აკმაყოფილებენ მაზრის გლეხობის საჭიროებას. მოთხოვნილება წნულ კალათებზე დიდია, განსაკუთრებით შემოდგომაზე — მოსავალის და ჰირნახულის მოწევის პერიოდში.

დღემდე მაზრაში შინა-მრეწველობის არც ერთი დარგი გაერთიანებული არ არის და არ სარგებლობს საარტელო მუშაობისათვის მინიჭებული შეღავათებით. შინა-მრეწველნი საჭიროებენ გაერთიანებას და საკრედიტო დახმარებას სათანადო ორგანიზაციებისაგან.

საკრედიტო ამხანაგობები

საკრედიტო ამხანაგობათა მუშაკების მომზადება

ამ ორი დღის წინად თბილისსა და ქუთაისში დასრულდა მეცადინეობა კურსებზე, რომელიც მოწყობილი იყო საქართველოს სასოფლო - სამეურნეო ბანკის მიერ („წარმოკავშირის“ მონაწილეობით) საკრედიტო ამხანაგობებისათვის თანამშრომლების მოსამზადებლად. კურსებზე გავლილი იქნა ანგარიშწარმოება, ბუხჰალტერია, საკრედიტო საქმე, კოოპერაცია და სხვა. კურსები დაასრულა დაახლოებით 90 კაცმა. კურსდამთავრებულნი დაიგზავნენ სამუშაოთ პროვინციის საკრედიტო ამხანაგობებში.

საკრედიტო ამხანაგობათა მუშაობა სოფლად

საკრედიტო ამხანაგობა ნაქალაქევში (სენაკის მაზრა) მოეწყო ერთი წლის წინად —1925 წლის 29 მარტს. პირველ ხანებში ამხანაგობას ჰყავდა 31 წევრი. მიმდინარე წლის მარტამდე წევრთა რიცხვი 230-მდე გადიდდა. საკრედიტო ამხანაგობის საერთო თანხები ამ ჟამად უდრის — 11.707 მანეთ. აქედან საწევრო ანაბარები უდრის — 277 მანეთს, საპაიო — 1.108 მანეთს, ხოლო ბანკიდან მიღებული კრედიტი—9.407 მანეთს. ამ თანხებიდან მუშა საქონლის და სასოფლო - სამეურნეო იარაღების შესაძენად გლეხებს დაურიგდათ სესხად 9.407 მანეთი. სესხად დარიგებული თანხები მოხმარდა დანიშნულებას, რაც დადასტურებულია ამ საქმისათვის საგანგებოდ დანიშნული კანტროლის მიერ.

ამხანაგობის საზოგადო კრება შესდგა ორჯერ, უკანასკნელ კრებაზე მოსმენილ იქნა გამგეობის მუშაობის წლიური ანგარიში და განხილულ იქნა საკითხი მეთამბაქოე გლეხებისათვის ამხანაგობის თანხებიდან სესხის გაცემის შესახებ ამ მეურნეობის ხელის შეწყობის და განვითარების მიზნით.

ამჟამად გლეხობა განიცდის სასოფლო-სამეურნეო იარაღების დიდ ნაკლებობას. მაგრამ საკრედიტო ამხანაგობას საშუალება არა აქვს დააკმაყოფილოს მოთხოვნილება. გლეხობა საჭიროებს უმთავრესად გუთნებს, ფარცხებს, ვერმორელის სარწყავ მანქანებს და სხვა.

ლითონის წარმოება

თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა ბათომში

თუჯის — ჩამომსხმელი ქარხანა, რომელიც ამჟამად აჭარისტ. ვაჭრობა მრეწველობის სამმართველოს ექვემდებარება, შესდგება შემდეგი საამქროებისაგან: სამოდელო, ჩამომსხმელი, სახარატო — მექანიკური, სამჭედლო, საქვაბე, შემკრებ — საზეინკლო საამქროებისა და ერთი გარაჟისაგან.

ქარხნის ნაყოფიერება მიმდინარე წლის იანვარში ასეთი იყო: ჩამოსხმული იქნა 7.857 კილო თუჯი, 167 კილო სპილენძი, რომელიც გადაამუშავეს დანარჩენმა საამქროებმა. ერთი თვის განმავლობაში შესრულებულ იქნა სულ 16.137 მანეთის სხვადასხვა მექანიკური და სარემონტო სამუშაოები. ერთ თვეში გაკეთებულა 1700 ცალი კოლოფი კნოპკა.

ამჟამად ქარხანას შეკვეთილი აქვს ჭიათურის კონცესიონერებისაგან 150 ვაგონეტის და რამდენიმე ახალი მანქანის გაკეთება და ძველის შეკეთება, აჭარისტ. ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველოს ტყავეულობის ქარხნებისაგან ქარხანას შეკვეთილი აქვს ახალი სისტემის ამერიკული დაზგები. ქარხანას აქვს აგრეთვე სხვა შეკვეთებიც.

საქვაბე და სამჭედლო საამქროები უზრუნველყოფილი არიან შეკვეთილი სამუშაოებით მაისამდე, მთელი 100%-ით დატვირთული არიან აგრეთვე სახარატო მექანიკური და შემკრეფი საამქროებიც.

საამქროების დაზგები დაძველებულია და ამჟამად სწარმოებს მათი რიგრიგობით განახლება - შეკეთება. ქარხანა მუშაობს მოტორით და წყლის ტურბინით. თუჯის ჩამომსხმელ ქარხანაში მუშაობს სულ 88 კაცი. ყველა საამქროებში სამუშაოების 50%—ნარდათ არის გაცემული, მხოლოდ ერთი ჩამომსხმელი საამქრო მუშაობს სავსებით ნარდათ. ყველა მუშებს სისტემატიურად ურიგდებათ სპეც-ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

მუშებს აწუხებს მხოლოდ უბინაობა. მუშათა მეტ ნაწილს ხეირიანი ბინა არ მოეპოვება, თუმც ქარხანას აქვს 2 მუშათა სახლი, რომელიც ამჟამად გარეშე პირებს უჭირავს.

საქართველოს მარგანეცი

ჭიათურის ხაზის გაფართოება

საქციო საზ-ბა „საქართველოს მარგანეცი“ ახლო ხანში შეუდგება წინასწარ მუშაობას ჭიათურის რკინის გზის ხაზის გადასაკეთებლად.

ფართო ლიანდაგის დაგებას უხელმძღვანელებს საზოგადოების ინჟინერი **უერი**, რომელიც ამერიკიდან ჭიათურაში ჩავა მაისის პირველ რიცხვებში.

შავი ქვის კონცესია

ჭიათურის შავი ქვის კონცესიათ გაცემის დღიდან დღევანდლამდე საქციო საზ-ბა „საქართველოს მარგანეცმა“ საზღვარ-გარეთ გაიტანა (ამერიკაში და ევროპაში) 225.000 ტონა შავი-ქვა. მიმდინარე მარტში გატანილია 23.000 ტონი. ჭიათურიდან ფოთში გაგზავნილია 250.000 ტონი.

მოლაპარაკება გერმანიის ფირმებთან

საზ-ბა „საქართველოს მარგანეცი“-ს თავმჯდომარის მოადგილე ინჟ. რასკოვიჩი ამ ჟამად ევროპაშია, სადაც ის მოლაპარაკებას აწარმოებს ინგლისის და გერმანიის ფირმებთან შავი-ქვის გაყიდვის შესახებ. გერმანიის ფირმებისაგან უკვე მიღებულია შეკვეთა 10.000 ტონა შავ-ქვაზე, რომელიც ახლო ხანში გაიგზავნება ანტვერპენში.

ინჟ. რასკოვიჩი ჭიათურაში დაბრუნდება მაისის პირველ რიცხვებში.

საზოგადოების მთავარი კანტორის ცნობებით, საერთაშორისო ბაზარზე ამ ჟამად მოთხოვნილება შავ-ქვაზე შემცირებულია. ბაზრის გაცხოველება მოსალოდნელია რამდენიმე თვის შემდეგ. ამის გამო საზოგადოება შავი-ქვა ექსპორტს აპრილში შეამცირებს 30.000 ტონამდე.

ფოთის ელევატორი

საზოგადოება „საქართველოს მარგანეცმა“ შეიმუშავა ფოთის ელევატორის მოწყობის გეგმა. ელევატორის მოწყობას ხელმძღვანელობას გაუწევს ინჟ. რუსსი, რომელიც ახლო ხანში ჩამოვა ნიუ-იორკიდან.

გეგმა შეთანხმებულია ამიერ-კავკასიის ნავთსადგურების სამმართველოსთან.

ჩვენი ტრანსპორტი

რამდენი ავტომობილი იქნება შემოტანილი ამიერ-კავკასიაში

ადგილობრივ ტრანსპორტის ამიერ-კავკასიის საოლქო სამმართველომ შეიმუშავა მიმდინარე წელში ამიერ-კავკასიაში მანქანების შემოტანის გეგმა, ამ გეგმის მიხედვით 1925—26 წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში შემოტანილი იქნება 150 მსუბუქი ავტომობილი, 233 საბარგო, 50 ავტობუსი, 10 ტაქსომოტორი, 3 ხანძარის და 5 სანიტარული ავტომობილი, 27 მოტოციკლეტი, 200 ველოსიპედი და სხვა, სულ 2.154.000 მანეთის მანქანები.

ვინაიდან მანქანების ადგილობრივ შეკეთება ძვირი ჯდება სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო, ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს განზრახული აქვს შემოიტანოს თვითეულ 5 მანქანაზე ერთი სრული კომპლექტი ყველაზე უფრო საჭირო ნაწილებისა. სულ შემოტანილი იქნება 538.000 მანეთის სათადარიგო ნაწილები.

ავტომობილების შემოტანას აწარმოებს ამიერ-კავკასიის ავტო-სამრეწველო-სავაჭრო სააქციო საზოგადოება („ზაკავტოპრომტორ“-ი); ამ უკანასკნელმა, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის დადგენილების თანახმად, უნდა შემოიტანოს 1.556.000 მანეთის მანქანები, ე. ი. მთელი რაოდენობის 63 პროც., დანარჩენ ნაწილს შემოიტანენ სხვა ორგანიზაციები.

ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველო თავის გეგმაში აღნიშნავს, რომ საჭიროა დიდი სიფრთხილე იქნეს დაცული „მერსედეს“-ის სისტემის მსუბუქი ავტომობილების გამოწერის დროს, რადგან ეს ავტომობილები ძვირია და, ამას გარდა, რთული კონსტრუქციისაა.

სრულიად საკავშირო ავტო - გადარბენამ დაამტკიცა, რომ ჩვენს პირობებში გამოსადეგი არ არის „პაკკარდ“-ის და „ფორდ“-ის ავტომობილები, ამიტომ მათი გამოწერის დროსაც საჭიროა დიდი სიფრთხილე.

ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს გეგმა დამტკიცებულია ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის მიერ და მისი შესრულება დაიწყება ახლო ხანში.

ქიმიური მრეწველობის განსავითარებლად

საქართველოს ს. მ. უ. საბჭომ ჩვენში ქიმიური მრეწველობის განვითარების მიზნით დაამუშავა ნედლი მცენარეულობის გამოყენების პროექტი.

პროექტში შედის ყველა იმ საკითხების განხილვა-დამუშავება, რომელიც დაკავშირებულია ქაღალდის წარმოების ორგანიზაციასთან.

პროექტით გათვალისწინებულია აგრეთვე (სოიას მცენარის ნაყოფისაგან) ზეთის სახდელი ქარხნის აგება. განზრახულია აგრეთვე მატყლის სარეცხი ქარხნის მოწყობა და ისეთი იარაღებით აღჭურვა, რომელიც აუცილებელია მატყლის სხვა პროდუქციების მისაღებად.

გარდა ამისა ღვინო მარილის სიმჟავის შესაღებად განზრახულია მოეწყოს ღვინის ნარჩენების ანალიზი. ღვინის მარილის მისაღებად და დასამზადებლად პროექტი ითვალისწინებს—ნედლი მასალის იმ მარაგის გამორკვევას, რომელიც საქართველოში მოიპოვება.

პროექტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შაქრის წარმოების ორგანიზაციის საკითხს. ამ მიზნით პროექტი ითვალისწინებს ყველა იმ ცნობების შეკრებას და განხილვას, რომლებიც ჭარხლის მოსავლიანობის შესახებ მოიპოვება. ამავე დროს განზრახულია შემოწმებულ იქნეს ჭარხლის რაოდენობა ჩვენებურ ჭარხლით. ამ საკითხის დამუშავების შემდეგ, გამორკვეული იქნება, თუ რამდენად ხელსაყრელ საქმეს წარმოადგენს ჩვენში შაქრის წარმოების ორგანიზაცია.

კოოპერაცია

წარმოკავშირის ფინანსიური მდგომარეობის გამოსარკვევად

თბილისში ჩამოვიდა შრომის და თავდაცვის საბჭოს სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს საქართველოს სამეურნეო კოოპერაციის ცენტრის — **წარმოკავშირის საფინანსო გამოკვლევა.** კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **გრიგორიევმა** ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა:

— კომისიის მიზანია გამოარკვიოს წარმოკავშირის საფინანსო სამეურნეო მდგომარეობა და გამონახოს კონკრეტიული შესაძლებლობანი მისი ფინანსიური ძლიერების განსამტკიცებლად.

შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილება კომისიის გაგზავნის შესახებ გამოწვეული იყო შრომისა და თავდაცვის საბჭოს ადმინისტრატიულ - ფინანსიურ კომისიის წევრის ამხ. **პეტერსის** მოხსენებით. კომისიის გაგზავნა საჭირო შეიქნა საქართველოს სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის შესახებ სრული ცნობების უქონლობის გამო.

შრომის და თავდაცვის საბჭომ დაადგინა ჩაბმულ იქნეს კომისიის მუშაობაში ადგილობრივ დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

წარმოკავშირის მუშაობის გაგრძელების შესაძლებლად შრომის და თავდაცვის საბჭომ დაადგინა არ გადაახდევინოს ვალები წარმოკავშირს სათანადო გადაწყვეტილების მიღებამდე.

შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით წარმოკავშირში საფინანსო საშუალებათა გაძლიერება უნდა ხდებოდეს იმ თანხებიდან, რომელიც მიღებული აქვს ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს კოოპერაციისათვის ფინანსების მოსაწოდებლად. ამასთანავე ერთად შრ. და თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა საკავშირო ფინ. სახ. კომისარიატს გადაგზავნოს ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებაში კოოპერაციის საერთო ფონდიდან საჭირო თანხები წარმოკავშირის ფინანსიურ საშუალებათა გასაძლიერებლად.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში წარმოკავშირის გამგეობის წევრმა ამხ. **ბუაჩიძემ** განაცხადა:

— შრომისა და თავდაცვის საბჭოს კომისია უნდა ჩამოსულიყო ჯერ კიდევ 20 თებერვალს, ჩამოვიდა კი 25 მარტს. კომისიაში შედიან: თავმჯდომარე — ამხ. **გრიგორიევი** და წევრები: **საბჭოთა კავშირის ფინ. სახ. კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. ზუბგლერი,** სასოფლო მეურნეობის კავშირის წარმომადგენელი ამხ. **კოვალიოვი და საბჭ. კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. ვარჟანსკი.** მოსალოდნელია კიდევ სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენლის ჩამოსვლა.

შრომის და თავდაცვის საბჭოს მიერ კომისიის დანიშვნა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ წარმოკავშირმა შუამდგომლობა აღძრა ზოგიერთი თანხების მისი ანგარიშიდან ჩამოწერის და აგრეთვე ჩვენი ვალების გადახდის ვადის 5 წლით გაგრძელების შესახებ.

კომისიამ უნდა გამოარკვიოს ჩვენი ფინანსიური შესაძლებლობანი ადგილობრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

საბჭოთა ყრილობა

ახალციხე, 29 მარტი. 28 მარტს, საღამოს 7 საათზე გაიხსნა საბჭოთა სამაზრო ყრილობა. ყრილობას მთავრობის სახელით მიესალმა ამხ. ვარძიელი, რომელმაც აღნიშნა მიღწეული წარმატებები ერთი წლის განმავლობაში და უსურვა ყრილობას საქმიანი მუშაობა.

ყრილობას მიესალმენ აგრეთვე: სამაზრო კომიტეტის სახელით—კომიტეტის მდივანი შუშანია, ცეკას სახელით—შაბანოვი და სხვები, რომლებიც აღნიშნავდენ ძმური სოლიდარობის და თანამშრომლობის აუცილებლობას მაზრაში მცხოვრებ ყველა ეროვნებათა კულტურულ დონის ასამაღლებლად.

ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა დაღუპულ ამხანაგების: ნარიმანოვის, ფრუნზეს, მიასნიკოვის, ათარბეკოვის, მოგილევსკის და სხვ. ხსოვნას.

არჩეულ იქნა 15 კაცისგან შემდგარი პრეზიდიუმი, რომელშიაც შედიან: ამხ. ვარძიელი, შუშანია, ღვამიჩავა, შაბანოვი და სხვ..

ყრილობის პრეზიდიუმის საპატიო წევრებად არჩეული იქნენ: ამხ. ალამალი-ოღლი, ორჯონიკიძე, ხანოიანი, მახარაძე, ნაზარეტიანი, ორახელაშვილი, ელიავა, ლევანდოვსკი, ყრილობის პირველი სხდომა დაიხურა ღამის 11 საათზე.

კოოპერაცია

ქუთაისი, 29 მარტი. **ამჟამად ქუთაისის მაზრაში არსებობს 18 კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელთაც აქვთ 117 სავაჭრო პუნქტები და 45-მდე სხვადასხვა წარმოება.**

ა. წ. 1 მარტისათვის კოოპერაციის წევრთა რიცხვი მაზრაში უდრიდა 26,465 კაცს.

საპაიო კაპიტალი 52,541 მან. და 44 კაპეიკს უდრიდა. საქონლის ბრუნვა იანვრის განმავლობაში უდრიდა 409,164 მან., ხოლო თებერვალში—360,184 მან. 38 კაპეიკს.

1926 წლის 1 მარტისათვის ახალ საანგარიშო წლიდან წევრთა რიცხვი 8,2 პროცენტით გაიზარდა.

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის რემონტი

ქუთაისი, 29 მარტი. საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მაუდის ფაბრიკა ქუთაისში დაიხურება ორი კვირით, რომლის განმავლობაში უნდა მოხდეს ფაბრიკის შეკეთება და განახლება.

ამ ხნის განმავლობაში ფაბრიკაში დაიდგმება 20 ახალი შენგერის დაზგა, შეკეთებული იქნება საორთქლე ქვაბი, დაიდგმება ორი ახალი საორთქლე ქვაბი, მეორე საჩეჩი მანქანა და 2 ახალი სელფაქტორი.

თემალმასკომებს გადარჩევა

ქუთაისი, 29 მარტი. ჯიხაიშის თემში არჩევნები დამთავრდა. თემი დაყოფილი იყო 9 რაიონად. არჩევნებში მონაწილეობას იღებდა ამომრჩეველთა 45,55 პროცენტი. თემის საბჭოში არჩეულია 76 წევრი; აქედან—7 ქალი. სამაზრო ყრილობაზე არჩეულია 8 დელეგატი.

არჩევნები დამთავრდა ღანირ-ჭაგანის თემში. თემი დაყოფილი იყო 5 საარჩევნო რაიონად. არჩევნებში მონაწილეობას იღებდა მოსახლეობის 42,1 პროცენტი. სამაზრო ყრილობაზე გაიგზავნა 4 დელეგატი, მათ შორის—ერთი ქალი.

დამთავრდა არჩევნები სამტრედიის თემში. თემი დაყოფილი იყო 10 საარჩევნო უბნად. არჩევნებში მონაწილეობას იღებდა მოსახლეობის 44,56 პროცენტი. საბჭოში არჩეულია 134 წევრი, მათ შორის 11 ქალი. სამაზრო ყრილობაზე არჩეულია 13 დელეგატი, მათ შორის ერთი ქალი.

დამთავრდა არჩევნები ხონის თემში. თემი დაყოფილი იყო 5 საარჩევნო რაინად. არჩევნებში მონაწილეობას იღებდა მოსახლეობის 52,88 პროცენტი. საბჭოში არჩეულია 100 პროცენტი, მათ შორის 16 ქალი. სამაზრო ყრილობაზე არჩეულია 10 დელეგატი, მათ შორის ერთი ქალი.

არჩევნები დამთავრდა ქვიტირის თემში. თემი დაყოფილ იქნა 4 რაიონად. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 47,49 პროცენტმა. საბჭოში არჩეულია 46 კაცი, მათ შორის 5 ქალი. სამაზრო ყრილობაზე გაიგზავნა 5 დელეგატი, აქედან 2 ქალი.

კონტრაბანდა

ოზურგეთი, 29 მარტი. 25 მარტს, ღამით, სამაზრო მილიციის თანამშრომლებსა და კონტრაბანდისტებს შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროს შეპყრობილ იქნა 2 კონდრაბანდისტი, ერთი მათ შორის დაჭრილია. დანარჩენებმა მოახერხეს გაქცევა. დაპატიმრებულ კონდრაბანდისტებს აღმოაჩნდათ კონდრაბანდის ნაწილი —100 მეტრო შევიოტი.

შრომის ფონდი

ოზურგეთი, 29 მარტი. სამაზრო გლეხკომი გურიის ყველა 176 სასოფლო გლეხკომებში შეუდგა ადგილობრივი მოსახლეობის შრომის ფონდის შექმნას.

საბჭოთა სამაზრო ყრილობა
(წერილი სენაკიდან)

21 მარტს, საღამოს 7 საათზე, სენაკის მუშათა კლუბის დარბაზში გაიხსნა სენაკის მაზრის საბჭოთა მეოთხე ყრილობა.

ყრილობას ხსნის მოკლე მისასალმებელი სიტყვით ამხ. მამულია.

ყრილობამ აირჩია საქმიან პრეზიდიუმში 29 კაცი, სამდივნოში 3, სამანდატო კომისიაში 3, სარედაქციო კოლეგიაში 3, ხოლო თავმჯდომარეებათ ამხანაგები: **სტალინი, კალინინი, რიკოვი, ორჯონიკიძე, მახარაძე, ცხაკაია, ორახელაშვილი და ელიავა.**

რეგლამენტისა და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ საქართველოს მთავრობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა **ამხ. ს. გეგეჭკორმა.**

ამხ. გეგეჭკორი ეხება სასოფლო-მეურნეობის საკითხებს და აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლების განმავლობაში სახალხო მეურნეობა საერთოდ, ხოლო სასოფლო-მეურნეობა კერძოდ, სწრაფი აღორძინების გზაზე შესდგა.

სახალხო განათლების დარგში, მომხსენებლის სიტყვით, მთავრობა ხარჯავს ბიუჯეტის 31 პროცენტს. მთავარი ყურადღება მიქცეული არის მშრომელი ხალხის სწავლა-განათლების საქმის თავის სიმაღლეზე დაყენებისაკენ. მომხსენებელი აღნიშნავს აგრეთვე მიღწევებს სახალხო ჯანმრთელობის დარგშიაც.

სამაზრო აღმასკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ვ. ჩაკვეტაძემ.** მოხსენებიდან ირკვევა, რომ არის მთელი რიგი მიღწევები მაზრის კულტურულ და ეკონომიურ დარგში.

მომხსენებელს ასამდე შეკითხვა მისცეს, რომელზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. კამათში, რომელიც გაიმართა ამხ. ჩაკვეტაძის მოხსენების გარშემო მონაწილეობა მიიღო 9 ამხანაგმა.

სამაზრო საარჩევნო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. **ვარლამ ლომიამ;** სულ მაზრაში 68 ათასი სრულწლოვანი მოქალაქეა, მათ შორის ხმის უფლებას მოკლებულია 1.330 კაცი. ხმის უფლება ჰქონდა 66.670 მოქალაქეს, მათგან მონაწილეობა მიიღო არჩევნებში 29.357 მოქალაქემ. მათ შორის 20.479 მამაკ. და 8.878 დედაკ.

მაზრა დაყოფილი იყო 96 საარჩევნო უბნად. არჩეულ იქნა 1.289 საბჭოს წევრი. მათ შორის მამაკ.—1.224, დედაკ.—65; კომუნისტი—424, კომკავშირელი—69, უპარტიო—796; გლეხი —892; მუშა—27; მოსამსახურე —379.

განათლების მიხედვით: წერა-კითხვის უცოდ.—111; შინაური—607; დაბალი—39-; საშუალო—156; უმაღლესი—28.

ყრილობამ მოისმინა აგრეთვე მოხსენებები თემსაბჭოების მუშაობის და სამაზრო ბიუჯეტის შესახებ.

მოხსენებების ირგვლივ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

სამანდატო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მაზრის საბჭოთა მეოთხე ყრილობას დაესწრო 138 დელეგატი; მათ შორის 134 გადამწყვეტი ხმით და 4 სათათბირო ხმით.

უმაღლესი განათლებით—4; საშუალოთი 21; დაბალი—73; შინაური—33 და უცოდინარი—3; მამრობითი სქესის—128, დედრობითი—6; პარტიული მიმართულებით: კომუნისტი—85, კომკავშირელი—3, უპარტიო—46. სოციალური მდგომარეობის მიხედვით მუშა—1; მიწის მუშა—53; მოსამსახურე—80.

დასასრულ მოხდა სამაზრო აღმასკომის არჩევნები. სამაღმასკომში ერთხმად არჩეულ იქნა 35 წევრი და 15 კანდიდატი. მათ შორის ამხ. ს. ორჯონიკიძე და ს. გეგეჭკორი.

სამაზრო აღმასკომის პირველი პლენუმი

ყრილობის დამთავრების შემდეგ შესდგა სამაღმასკომის პირველი პლენუმი. აირჩიეს 11 კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი: თავმჯდომარეთ—**ს. მამულია** მის მოადგილეთ **ვ. ჩაკვეტაძე,** მდივნათ **ვ. ლომია,** განათლების ინსპექტორად **ვ. ქობულია,** ჯანმრთელობის ინსპექტორად **ივ. ჩხეტია,** ადგილობრივ მეურნეობის განყოფილების გამგედ **მ. მინოშვილი,** საფინანსო განყოფილების გამგედ **ნ. ტიურინი.** წევრებად: **არ. გიორგაძე, კაპ. მელიქაძე, მ. კაჭარავა და ის. გულორდავა.**

ბ. უჩანეიშვილი.

ბორჯომის ამბები

დაიწყო გაზაფხული და ბორჯომს დაეტყო გამოცოცხლება. ადგილობრივი აღმასკომი ეწევა დიდ საამშენებლო მუშაობას. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბორჯომის აღმასკომის ნაყოფიერი საქმიანობა ბორჯომის და რაიონულ სკოლების კეთილმოწყობა აღმშენებლობის საქმეში.

აღმასკომთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობს საკურორტო სამმართველო. უკვე დაწყებულია რკინისგზის ფართო ლიანდაგის დაგება ბორჯომის დიდ სადგურიდან ბორჯომ-ბაღის მიმართულებით. გზა შუაზე სჭრის ბორჯომის ბაღს და შიგ გაივლის. ეს გარემოება აფიქრებს ბორჯომელ მოქალაქეებს, მაგრამ იმედია აღმასკომი ცენტრის დახმარებით ბაღს სხვაგან მოაწყობს. ამ საქმეში იმედია რკ. გზ. სამმართველოც დაეხმარება.

მეორე თვე გადის ადგილობრივ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საქმე შეფერხებულია და არ მოდის ჟურნალ-გაზეთები. აქ არსებულ კულტ-კომისიას დასჭირდება ყურადღების მიქცევა ამ გარემოებაზე. მოისუსტებს მუშაობა აქაურ განათლების მუშაკთა კავშირშიც. აღმასკომის კოოპერატივი დიდ სამსახურს უწევს ხალხს და ნდობითაც სარგებლობს მცხოვრებთა შორის.

სტ. ნიკოლაიშვილი.

არც ახალია, აღარც ძველი
(სოფ. ზანათი, სენაკის მ.)

ზანათ-ნოსირს შორის ადგილობრივი გლეხობის მოთხოვნილებით და სამაზრო საგზაო კომისიის დასტურით, გასულ წელს გაჭრილი იქნა ახალი, პირდაპირი და სწორი გზა. სამწუხაროდ შარშან გზის კეთება ვერ დასრულდა. ძველი გზა კი დაიკეტა. დღეს ეს გზა ხშირი წვიმებისაგან ისეა წამხდარი, რომ კაცი მასზე ვერ გაივლის. თუ დროზე არ მიექცა ყურადღება, მისი შეკეთება ბოლოს შეუძლებელი გახდება.

აღნიშნული გზის მნიშვნელობა განუსაზღვრელია არა მარტო ამ სოფლისათვის, არამედ მთელი რაიონის სამხრეთი ნაწილისა და გურიისათვისაც, რადგან ის ყველა ამ მხარეებს აკავშირებს მაზრას ცენტრთან—სენაკთან. ასეთივე მდგომარეობაშია ამ სოფლის სხვა გზებიც. ჯერ - ჯერობით სუჯუნის თემის აღმასკომი, რომლის ფარგლებშიაც არის ეს გზები, არავითარ ყურადღებას არ აქცევს მათ შეკეთებას.

ადგილობრივი გლეხობა მზად არის ყოველგვარი შრომა გაიღოს გზების შეკეთებისათვის, მხოლოდ საჭიროა აღმასკომის თაოსნობა და ხელმძღვანელობა. თორემ ეხლა ჩვენს თემს არც ახალი გზა აქვს და აღარც ძველი.

ადგილობრივი გლეხი

საბანაო სეზონი კარზე მგადგია.
(ცაიში, ზუგდ. მ.)

ცაიშის გოგირდის აბანო მოუვლელობის გამო გაპარტახებულია. თავის სამკურნალო თვისებებით ეს აბანო სხვა და სხვა სოფლებიდან და ქალაქებიდან აუარებელ ხალხს იზიდავს.

გასულ წლების განმავლობაში ცაიშის აბანო საექსპლოატაციოდ ეძლეოდა კერძო მოიჯარადრეებს, რომელნიც სრულიად არ ზრუნავდენ მის კეთილ-მოწყობაზე. დღესაც, აბანოს მშვენიერი ეზო, საქონლის სასეირნო ადგილადაა გადაქცეული და სავსეა ნეხვითა და სიბინძურით. აბანოს საქაჩავიც ისეა წამხდარი, რომ ერთი დღის განმავლობაში ათეული მუშა საბანაო აუზს ვაი-ვაგლახით ავსებს.

სეზონი მალე გაიხსნება. საჭიროა მაზრაღმასკომმა თავიდანვე მიიღოს სათანადო ზომები აბანოს შესაკეთებლად.

ღიმი.

სოფ. გოდოგანი
(სენაკის მაზრა)

სოფელი გოდოგანი კურზუს თემს ეკუთვნის. გლეხობა ძალიან ჩამორჩენილია სწავლა განათლების მხრივ. აქ არის ოთხწლედი, მაგრამ ხალხი არ ეხმარება მას. არსებობს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, მაგრამ სკოლას ნაკლებად ეტანება გლეხობა. შრომის სკოლა ძალიან ღარიბი არის. აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ სკოლას კარგი მასწავლებლები უდგია სათავეში. გასულ წლის დეკემბრიდან მასწავლებლის თაოსნობით შეკეთებულია სკოლის ბუხარი, გახსნილია სამკითხველო, მოწყობილია „ლენინის კუთხე", დაარსებულია პოლიტწრე, მოწყობილია სამასწავლებლო, გაკეთდა სკოლაში ასასვლელი კიბე, დამზადებულია საბოსტნე ადგილი, შემოკავებულია სკოლის ეზო, გამოდის ყოველკვირეული კედლის გაზეთი და სხვა. სკოლაში თავის სიმაღლეზე სდგას მოსწავლეთა თვითმოქმედება. მასწავლებლების მეთაურობით სკოლაში ტარდება ყველა პროლეტარული დღესასწაულები და საბავშვო დილები. ხშირად იმართება სკოლაში მასწავლებლების მიერ სხვა და სხვა თემებზე მოხსენებები ლიკსკოლის მსმენელებისათვის და მოსწავლეთათვის. სკოლის ეზოში განზრახულია სხვა და სხვა ხეხილების დარგვა და სხ.

სკოლაში არ არის ლიტერატურა, გაზეთები ხან მოდის გვიან და ხან სულ იკარგება.

მასწ. პანტელიმონ ქიქავა.

წერილებიდან

სოფ. კიცხი (შორაპ. მაზრა)

თემში ძალიან გავრცელებულია სხვადასხვა ავადმყოფობა. აქ არსებობს საექიმო პუნქტი, მაგრამ მუდმივი ექიმი მას არასდროს ღირსებია. ამასწინათ სოფელს ეწვია ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ გამოგზავნილი ექიმი მამალაძე, რომელმაც გამოიკვლია, რომ სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა დაავადებულია ერთგვარი ჭიით.

დაავადებას ეპიდემიური ხასიათი აქვს და თუ დროზე არ იქნა მიღებული შესაფერისი ზომები მოსახლეობას გადეგვარება მოელის.

მომსვლელი.

ონკევი (რაჭის მაზრა)

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენს სოფელში ძალიან გახშირდა მიწის ყიდვა-გაყიდვა. გლეხები ერთი-მეორესგან ყიდულობენ როგორც ვენახს, ისე სახნავ-სათეს მიწებსაც.

რასაკვირველია ღარიბ გლეხს არა აქვს ყიდვის საშუალება და მიწები ისევ მდიდრებს უვარდებათ ხელში.

ამას უნდა მიექცეს ყურადღება.

მახვილი.

შუხუთი, (გურია)

სამაგალითო მასწავლებელი. ჩვენს თემის სკოლაში მასწავლებლათ არის ამხ. თ. გოგობერიძე, რომელიც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. ის გარდა ამისა მხურვალე მონაწილეობას იღებს სოფლის ყოველგვარ კულტურულ წამოწყებაში. გლეხები ძალიან მადლიერი არიან. ამხ. მასწავლებლის .

ადგილობრივი გლეხი.

უმართებულო ბრალდება
(თიანეთი)

„კომუნისტი"-ს №59-ში მოთავსებული იყო ვინმე „ივრისპირელის" წერილი, რომელშიაც თიანეთის გლეხკომის თავმჯდომარეს უმართებულო ბრალდება ჰქონდა წაყენებული. ბრალდება არ შეეფერება სინამდვილეს. გლეხკომის თავმჯდომარე ამხ. **დოლიაშვილი** სამაგალითო მუშაკი არის და დიდი ნდობით სარგებლობს მთელის თემში.

ხ. ბადურაშვილი

საგარეჯო (გარე-კახეთი)

ადგილობრივ არის სასამართლო, მაგრამ სხდომის დარბაზი სრულიად უვარგისია: ჩამტვრეულია მინები, სახურავში წვიმა ჩადის და სხვა.

დარბაზში გარდა ამისა არ არის სკამები და არც ასავალი კიბე ვარგა.

სტუმარი.

წითელ ჯარში

წითელი არმიის უფშემადგენლობის ხელახალი აღრიცხვის შედეგები

მოსკოვი, 29 მარტი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტიკურ სამმართველოს უფროსმა **ლევიჩმა** უფშემადგენლობის ხელახალი აღრიცხვის შედეგების შესახებ განაცხადა:

„სათადარიგო უფშემადგენლობის ხელახალი აღრიცხვა, რომელიც პირველ აპრილისთვის დამთავრდება, მთელს საბჭოთა კავშირში წარმატებით მიმდინარეობს. გამოუცხადებლობის პროცენტი მცირეა და ისიც აიხსნება საალრიცხვო სისტემის ნაკლით. საერთოდ სათადარიგო უფშემადგენლობამ თავისი მოვალეობა კარგათ შეასრულა.

უნდა აღინიშნოს ადგილობრივი გაზეთების ენერგიული კამპანია, რაიც ხელ უწყობს ხელახალი აღრიცხვის წარმატებით ჩატარებას.

ხელახალი აღრიცხვის შედეგები სათანადოთ დამუშავებულ იქნება და ეს ცნობები საფუძვლად დაედება მომავალ სამობილიზაციო გეგმას მთელ რიგ წლეების განმავლობაში. სათადარიგო უფშემადგენლობამ თავის მხრივ კეთილ სინდისიერად უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა და იმავე დროს არ უნდა დაივიწყოს წითელი არმიის მეთაურის სახელწოდება.

ხელახალი აღრიცხვით გამოირკვა, რომ უფშემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამორჩა სამხედრო საქმეს და საჭიროებს სერიოზულ მომზადებას. ეს არის ჩვენი მორიგი ამოცანა".

როგორ მიმდინარეობდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია
(ქართული გაერთიანებული სკოლა)

სკოლასთან არსებობს სამნეო გუნდი და სამწყობრო ასეულები. აქ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის მუშაობა მიმდინარეობს სისტემატიურად. თვით წითელ არმიელები დიდ ხალისს იჩენენ მუშაობაში. 80 წითელარმიელებმა, რომლებმაც სრულიად არ იცოდენ წერა-კითხვა, ებლა საუკეთესოდ შეისწავლეს ანბანი და ერკვევიან ცხოვრების ყველა საჭირბოროტო საკითხებში. მათი სკოლებიდან გამოშვება მოხდა ქართული ჯარის ხუთი წლის თავზე.

გამოცდების დროს მიიღო ჯილდო 6 წითელ არმიელმა,

გ. დ.

კულტურული მუშაობა სოფლად

ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რომელიც საქართველოს წითელი ჯარის წინაშე სდგას არის კულტურული მუშაობის გაძლიერება სოფლად.

ამ დარგში წინადაც მიმდინარეობდა მუშაობა, მართალია, ეს მუშაობა არ იყო სისტემატიური, მაგრამ მაინც გვაქვს ცოტაოდენი მიღწევები.

დღემდის წითელმა ჯარმა შეასწავლა წერა-კითხვა ხუთი ათას ახალგაზრდას. შეფობის საშუალებით სოფლებზე ჯარის ნაწილები უახლოვდებოდენ გლეხობას, უწევდენ როგორც მატერიალურ, ისე კულტურულ დახმარებას, იგზავნებოდა სოფელში ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები, კომპანიების ჩატარების დროს ნაწილი გზავნიდა მომხსენებლებს.

ბევრ სოფელში ჯარის ნაწილებმა დააარსეს ქოხ-სამკითხველოები, რომლებსაც ინახავენ ისინი თავისი საშუალებებით.

მრავალ სოფელში ჩაეყარა საძირკველი, ჯარის დახმარებით კედლის გაზეთებს.

კულტურულ მუშაობის გაძლიერებას ძალიან შეუწყობს ხელს ტერ-სისტემაზე გადასვლა, ვინაიდან ამ სისტემით წითელი ჯარი უახლოვდება სოფელს.

ის მრავალი სამხედრო კუთხეები, რომლებითაც მოფენილია საქართველოს ყველა კუთხეები, უნდა გადაიქცენ კულტურის ცენტრად სოფელში.

გაძლიერება ამ მუშაობის, ჩათრევა გლეხობის ახალგაზრდა ნაწილის, აი მთავარი ამოცანა, რომელიც ამ ჟამად წითელი ჯარის ნაწილში სდგას სოფლად მუშაობის საქმეში.

ე. ხუციშვილი.

თბილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ, საღამოს, 6 საათზე, წითელ თეატრში შესდგა თბილისის საბჭოს მორიგი პლენუმი.

მოხსენება გააკეთა ზაჰესის სამუშაოთა უფროსმა ინჟ. ზ. ქიქინაძემ.

„ზაჰეს"-ში წარმოებულ სამუშაოთა შესახებ

მომხსენებელის გადმოცემით, „ზაჰეს"-ის სამუშაოთა მდგომარეობა ამ ჟამად ასეთია: მთავარი საგუბარი, რომელიც უძნელეს და ურთულეს სამუშაოს წარმოადგენდა, ამჟამად უკვე დამთავრებულია.

დაარსებულია აგრეთვე მთავარი საგენერატორო შენობის კედლების აგება და ახლა იწყება მისი გადახურვა, რომელიც პირველ მაისისათვის დასრულდება. 22 თებერვალს დამთავრდა ვიადუკის (რკინის-გზის ხიდის) აგება და ამავე დღიდანვე სწარმოებს საწნეე აუზის შენება, რომელიც ამჟამად სასწრაფოდ მიმდინარეობს და დამთავრებულ იქნება ა. წ. 1 ივლისისთვის. ქალაქის საამშენებლო უბანში უკვე მზად არის სატრანსფორმატორო ბუდკები, გაყვანილია კაბელი, დადგმულია ანძები, აგებულია ქვესადგურების შენობები ქალაქის ცენტრში, ნაძალადევსა და ავლაბარში და ამ მოკლე ხანში შეუდგებიან ელექტრო-მანქანათა აწყობას. დარჩა გასაბმელი 1 სპილენძის მავთული, რომელიც გაბმული იქნება სადგურის ამუშავების წინა კვირეებში.

პირველი ტურბინის აწყობა დამთავრდება აგვისტოს დამლევს და დაახლოებით 15 სექტემბრისათვის დაიწყება მისი მუდმივი ექსპლოატაცია. პირველი ტურბინის ამუშავებისთანავე ქალაქი მიიღებს „ზაჰესი"-დან 4—5 ათასს ცხენის ძალას, რომელიც შესცვლის ამჟამად მოქმედ ქალაქის ყველა ელექტრო-სადგურებს. 15 ოქტომბრისათვის დაიდგმება მეორე ტურბინიც და სადგურის ძალოვნება მიაღწევს—9 ათასს ცხენის ძალას. ნომბრის შუა რიცხვებისათვის დამთავრდება ტურბინის დადგმა, ხოლო მეოთხისა კი შუა დეკემბერში. ამგვარად, ზაჰესი"-ს ძალოვნება მიაღწევს 18 ათასს ცხენის ძალას.

საკითხი „ზაჰესი-"ს დატვირთვის შესახებ დაწვრილებით შესწავლილ იქნა აღმასკომის საგეგმო კომისიის მიერ, რომელმაც გამოიმუშავა აგრეთვე ტარიფები „ზაჰესი"-ს ენერგიაზე. პირველი ორი ტურბინის ამუშავებისთანავე „ზაჰესი"-ს ენერგიაზე გადაყვანილი იქნება თბილისი ყველა კომუნალური წარმოებანი (ტრამვაი, წყალსადენი, სასაკლაო და სხვ.), რკინის-გზის მთავარი სახელოსნოები, თბილისის ელსადგურების ენერგიის ყველა მომხმარებელნი.

„ზაჰესი"-ს ენერგიის თვითღირებულება განსაზღვრულია 3—5 კაპიკით. კილოუატ საათზე რამდენადაც თანაბარი და მუდმივი იქნება ენერგიის მოხმარება ამა თუ იმ წარმოების მხრივ, იმდენათ ნაკლები იქნება ფასი მიწოდებულ ენერგიაზე, ვარაუდით, კერძო აბონენტთათვის კილოუატ საათი ეღირება 10 კაპიკი. ხოლო წარმოებისათვის 3 კაპიკიდან დაწყებული 7 კაპიკამდე.

შემდეგ მომხსენებელი ზოგადათ ეხება „ზაჰესი"-ს დატვირთვის უახლოეს პერსპექტივებს,

დასასრულ საბჭოს წევრებს უჩვენეს სურათი „სამუშაოების წარმოება „ზაჰეს"-ზე უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში—იანვრიდან მარტის დამლევამდე.

ავიაქიმში

27 მარტს, საღამოს 6 საათზე თბილისში მოწვეული იყო ყველა რაიავიაქიმის პრეზიდიუმების თათბირი, რომელზედაც გამოცხადდა ყველა ოთხივე რაიავიაქიმის პრეზიდიუმების თავმჯდომარეები და მდივნები.

თათბირს თავმჯდომარეობდა ამხ. აბაშიძე. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1 საანგარიშო მოხსენება რაიავიაქიმის პრეზიდიუმების და 3. თბილისის ავიაქიმის საბჭოს მუშაობის შესახებ. პირველ საკითხზე საანგარიშო მოხსენება გააკეთეს პირველმა და მეოთხე რაიავიაქიმის პრეზიდიუმების თავმჯდომარეებმა. ორივე რაიონის საანგარიშო მოხსენებიდან გამოირკვა, რომ განსაკუთრებით უჯრედებში მუშაობა მოისუსტებდა ამ დარგში აქტიურ ამხანაგების ნაკლებობის გამო; გამოირკვა რომ რაიონებში უსახსრობის გამო მრავალი მუშაობა ფერხდებოდა და რაიონის მოთხოვნილებებს მარტო საწევრო შემოს. ანარიცხი ვერ ფარავდა. კამათში ამხანაგებს შორის წამოიჭრა საკითხი რაიავიაქიმების გაუქმების და საქ. ავიაქიმთან აქტიურ ამხანაგების შემოერთების შესახებ. ხანგრძლივი კამათის და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირის დადგენილებით გამოყოფილი იქნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა 4 დღის განმავლობაში შეიმუშაოს მომავალი მუშაობის გეგმა, რომელიც უნდა წარედგინოს თბილისის ავიაქიმის საბჭოს დასამტკიცებლად.

მე-2 და მე-3 რაიონების საანგარიშო მოხსენება გადაიდო მომავალ შაბათისათვის.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა თბილისის ავიაქიმის საბჭ. პ. მ. ამხ. **ალექსეევმა,** რომელმაც ფართოდ გააცნო დამსწრეთ თბილისის საბჭ. მუშაობა; მოხსენების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები. საბჭ. მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა.

ი. ღლონტი.

საკურორტო სეზონისათვის

აფხაზეთის კურორტები

ამ ჟამად აფხაზეთის მთავარი საკურორტო სამმართველო აერთიანებს გულრიპშის, სოხუმის და ათონის რაიონებს. ამას წინად გაგრის საკურორტო სამმართველოს გადაეცა რამოდენიმე აგარაკი (ყოფ. ბოგუშევსკის, სილინის, პუკალოვასი, ვოზნესენსკის და სხვების), სადაც მოწყობილი იქნება 100-დე საწოლი. გაგრის საკურორტო სამმართველოსვე გადაეცა საექსპლოატაციოთ გაგრის პარკი და ორი საბჭოთა მეურნეობა.

აფხაზეთის საკურორტო სამმართველოს განზრახული აქვს დასასვენებელი სახლები მოაწყოს გუდაუთში, მუსერში და წებელდას რაიონში, წებელდაში მოწყობილი იქნება აგრეთვე საზაფხულო კლიმატიური სადგური.

იმ მიზნით, რომ აფხაზეთის კურორტებზე მიმავალ ავადმყოფებს გაუადვილდეს მოგზაურობა, აფხაზეთის საკურორტო სამმართველოს ბათომში მოწყობილი აქვს საკურორტო სასტუმრო, სადაც ბათომით მიმავალ მგზავრებს შეუძლიათ ღამე გაათიონ და მიიღონ ყველა საჭირო ცნობები.

ქრონიკა

მისალოცი დეპეშები

ა.-კ. ცაკმა მისალოცი დეპეშა მიიღო აჭარისტანის საბჭოთა მეექვსე ყრილობისაგან.

საქ. ცაკმა და სახ. კომისართა საბჭომ მისალოცი დეპეშები მიიღეს შორაპნის სამაზრო საბჭოთა მეექვსე ყრილობისაგან და აგრეთვე კავკავის ქართველ უპარტიოთა მეორე კონფერენციისაგან.

თბ. აღმასკომში

◆ **ტრამვაის მუშათა სახლი.** თბ. აღმასკომის საგეგმო კომისიამ დაამტკიცა პლეხ. და მუშტაიდის ქუჩების კუთხეში ტრამვაის მუშათა სახლის ასაგები გეგმა. სახლი აგებული იქნება ქართულ სამოქალაქო ხუროთმოძღვრების სტილზე.

◆ **ახალი შენობების აგება ქართულ სტილზე.** თბ. აღმასკომის საგეგმო კომისიამ აღძრა შუამდგომლობა აღმასკომის წინაშე, სავალდებულო დადგენილების გამოცემის შესახებ, რომ ქალაქის ტერიტორიაზე ყოველი ახალი შენობის გეგმა განხილული იქნას აღმასკომის მიერ, სახლების აგების დროს ქართული სტილის დაცვის მიზნით.

◆ **კეთილმოწყობა.** აღმასკომმა გადასწყვიტა ნადიროვკაში შეაკეთოს ყველა ქუჩები და მოაწყოს განათება.

◆ **ტრაქტორების გამოყენება განათების საქმეში.** განზრახულია მაზრაში მოტორიანი ტრაქტორები გამოყენებული იქნან განათების საქმეში. მაგალითად ამ ტრაქტორების საშუალებით უპირველესად მოეწყობა სოფლის კლუბებისა და წ.-კ. სალიკვიდაციო სკოლების განათება, აგრეთვე ტრაქტორების ენერგია გამოყენებული იქნება კინოების მოსაწყობათ და სხ.

◆ **საბინაო კავშირი.** აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველო იმუშავებს წესდებას საბინაო-საიჯარო ამხანაგობებისათვის.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **სესხი.** აჭარისტანის სავაჭრო-სამრეწველო საზ-ბას თავის მუშაობის გასაძლიერებლათ სესხათ მიეცა 70 ათასი მან.

◆ **კაკლის ხე.** ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობამ საზღვარგარეთ გასასაღებლათ დაამზადა 10.000 ფუთი კაკლის ხე.

◆ **საქონლის შემოტანა.** ა.-კ. კოოპ. კავშირმა ამიერ-კავკასიაში ოქტომბრიდან—მარტამდე შემოიტანა ნახევარი მილიონი მანეთის საქონელი.

◆ **ქიმიური მრეწველობის გაფართოება.** ბათომის ქიმიური მრეწველობის გასაფართოებლად გადადებულია 200 ათასი მან.

◆ **წყალის გაწმენდა.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი საზღვარგარეთ იძენს წყალის გასაწმენდ ნივთიერებას-ქლორატორს.

მიწათ-მოქმედ. კომისარიატში

◆ **ცხენთა საკავშირო გამოცდაზე,** რომელიც გაიხსნება მოსკოვში, ცხენსაშენის განყოფილება გზავნის 10 ცხენს.

◆ **ჯიშიან ცხენების მოშენება.** კომისარიატის ცხენსაშენის განყოფილებამ მთელ საქართველოში ცხენთა ჯიშის გაუმჯობესების მიზნით მოაწყო 21 საგრილობელი სადგური.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **თვალის ექიმთა ყრილობა.** საქ. ჯანმრთელობის კომისარიატმა მიიღო მოწვევა თვალის ექიმების საკავშირო ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებათ.

◆ **კვების გაუმჯობესება.** ჯანმრთელობის კომისარიატმა საავადმყოფოების ხორცით მომარაგების საქმე გადასცა ხორცით სავაჭრო სააქციო საზოგადოებას.

◆ **მალარიის დღე** 2 მაისიდან გადატანილია 9 მაისისთვის.

◆ **ხარჯთ-აღრიცხვა.** ჯანმრთელობის კომისარიატი შეუდგა მომავალი 1926—27 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია სამკურნალო საქმის გაფართოება.

დამზღვევ სალაროში

◆ **აგარაკებზე გაგზავნა.** თბ. დამზღვევი სალარო 15 აპრილიდან შეუდგება მუშაობას დაზღვეულთა საზაფხულო აგარაკებზე გასაგზავნათ.

◆ **საანგარიშო წიგნაკები,** მოკლე ხანში გამოშვებული იქნება ახალი საანგარიშო წიგნაკები, რომელთაც დაზღვეულები მიიღებენ საექიმო და სხვა დახმარებას. დასაზღვევი წიგნაკები უქმდება.

კრებები და მოხსენებები

◆ **„პიონერთა მოძრაობა".** ოთხშაბათს, 31 მარტს საღამოს 6 საათზე **განათლების კომისარიატის კომუჯრედი** მართავს საგანგებო სხდომას, რომელზედაც წაკითხულ იქნება „პიონერთა მოძრაობა", მისი ორგანიზაციული ფორმები და პრაქტიკა". ყველა კომუნისტ-პედაგოგს ევალებათ დასწრება.

(განათლების კომისარიატის შენობა ოთახი № 1).

ჩაუბარებელი დეპეშები

ზესტაფონიდან—ქიქინაძეს, მარიუპოლიდან—რაფაელოვს,, ბაქოდან—ბორომენსკის. ბათომიდან—გვინტაძეს, წითელი-წყაროდან —დარმონდოტოვას, სარატოვიდან—სანტროსოვს, ჩოხატაურიდან—ძნელაძეს, სუფსიდან—მირზაიანს.

ახალი წიგნები

◆ **„ბუნების მეტყველება".** გამოვიდა საბავშო წიგნაკი „ბუნების მეტყველება ანუ მიწის ქვეშეთის პაწია ხალხი" **ილია სიხარულიძისა,** წიგნების გამომცემელი და გამავრცელებელი—ქართველთა საზოგადოების გამოცემა.

— იმავე საზოგადოებამ გამოსცა **ნ. ლომოურის** მოთხრობა „ყოველის მხრიდან".

შემთხვევები

◆ **დაჭრა.** 27 მარტს კარუსელის დაღმართზე ჩხუბის დროს დანით დასჭრეს ანდრო გრიგორიევი.

◆ **თავის მოწამვლა.** 27 მარტს ვერცხლის ქუჩა № 41 ილია ჯავახოვმა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქალიშვილის სიკვდილის გამო მოიწამლა თავი.

◆ **გვამის პოვნა.** 26 მარტს თივის მოედანთან მდინარე მტკვარში მებადურების მიერ აღმოჩენილი იქნა უცნობ მამა-კაცის გვამი 23—25 წლის.

◆ **სასტუმრო „ადესა"-ში** 27 მარტს გაძარცვეს პანტელეიმონ ტუსკია, რომელსაც წაართვეს 455 მან.

◆ **შეპყრობა.** 27 მარტს რესპუბლიკის მთავარ საბაჟოს გაქურდვის განზრახვისათვის შეიპყრეს ვინმე ჩაჩიბაია.

◆ 28 მარტს ქურდობისათვის შეიპყრეს გრიგოლ არჯევანიძე.

◆ **ქურდობა.** 28 მარტს გაქურდეს კოოპერატივი „მდელო". წაღებულია 200 მან. ნივთები.

— 27 მარტს რკინის რიგი №6 გაქურდეს მოქ. ტატიშვილის ბინა.

—28 მარტს პავლოვის ქ. № 6 გაქურდეს პლეხანოვის სახელობის კლუბი.

— 27 მარტს მუშტაიდის შესახვ. № 17 გაქურდეს სერგო ვეთუბოვის ბინა.

— 20 მარტს დილით დიდუბის ქ. № 18 გაქურდეს ლევ. მკირტიჩიანცის ბინა.

— **ცეცხლი.** 17 მარტს სოფ. საგარეჯოს მახლობლად ტყეს გაუჩნდა ცეცხლი. დაიწვა დაახლოები 2 დესეტინა ტყ. ძიება სწარმოებს.

სხვადასხვა ამბები

— ლტოლვილ სომეხთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტის მიმართვის საპასუხოთ აფხაზეთის გლეხ-პლანტატორებმა შეაგროვეს ლტოლვილთათვის 2½ ათასი ფუთი თამბაქო—50.000 მანეთად ღირებული.

— მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის მიერ მოწყობილი 5 თვიანი სატრაქტორო კურსები დაასრულა 60 გლეხმა—საქართველოს ყველა მაზრების წარმომადგენლებმა. კურსდამთავრებულებმა მიიღეს სასოფლო-სამეურნეო მონტიორთა, ტრაქტორისტების და მემუხრუჭეთა წოდება.

— მიმდინარე თესვის კამპანიის დროს ყარაიაზის და აჯამეთის საცდელ მინდვრებზე დათესილი იქნება ბამბა, ხორბალი, სიმინდი და საკვებავი ბალახები. სულ დათესილი იქნება 8 დესეტინა მიწა.

— საქარას ვენახების სანერგეში წელს მიღებული იქნება 180.000 ნამყენი ამერიკული ვაზი. საქ. მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის კოლეგიის ხვალინდელ სხდომაზე დასმული იქნება საკითხი საქართველოს მთელი სანერგეების საქმეთა კონცენტრაციის შესახებ.

— საქ. მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატი საბჭოთა კავშირის მთავრობის გენერალურ საკონსულოს თხოვნით [illegible] უკანასკნელ ფოთლოვან, წიწვიან მცენარეთა, პალმების და სხვა ნერგებს.

— საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა გამოიმუშავა საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიასთან სასოფლო სამეურნეო მეტეოროლოგიის განყოფილების მოწყობის პროექტი.

მუშათა ცხოვრება

ტრამვაის მუშათა კლუბის მუშაობა მისაბაძია.

1925 წ. ნოემბერში ჩატარებულ იქნა კლუბის გამგეობის გადარჩევა, რომლის შემდეგ კლუბის მუშაობას გაცხოველება დაეტყო. დაარსებულ იქნა მთელი რიგი კომისიებისა: სამეურნეო, ფინანსიური, სალექციო, სამხატვრო და სხვ. შემდეგ შესდგა გამგეობის და აღნიშნულ კომისიების წარმომადგენელთა პლენუმი, რომელმაც გამოიტანა დადგენილება კლუბის მეგობრობის წრის შექმნის შესახებ. თუ წინათ კლუბის წევრებად 40 კაცი ითვლებოდა, ამჟამად იგი აერთიანებს 1000 წევრს.

კლუბთან დაარსდა ახალგაზრდათა სექცია. სექცია შეუდგა მუშათა ახალგაზრდობის შორის კულტმუშაობის წარმოებას და გამოსცა კედლის გაზეთი.

მოწყობილ იქნა წიგნთსაცავ-სამკითხველო, სამკითხველოს გამოწერილი აქვს ყოველგვარი ჟურნალ-გაზეთები. მკითხველთა რიცხვი თანდათან იზრდება და მუშები თავისუფალ დროს გონებრივ გათვითცნობიერების საქმეს ანდომებენ.

შეძენილია პოლიტიკურ, ლიტერატურულ და პროფესიონალურ ხასიათის წიგნები. ბიბლიოთეკაში ამჟამად მოიპოვება 5000 წიგნი.

დრამწრემ გააცხოველა მუშაობა. სისტემატიურად იდგმება წარმოდგენები. ტრამვაის მუშები მრავლად ესწრებიან წარმოდგენებს. სწარმოებს აგრეთვე კინო-სურათების ჩვენება.

კლუბთან მოეწყო აგრეთვე შემდეგი წრეები: მუსიკალური, პოლიტცოდნის, პროფმოძრაობის, მომღერალთა გუნდი და მუშკორების წრე (რუსული). აღნიშნულ წრეებში ირიცხება 536 წევრი, მათ შორის მუშებია 572, მოსამსახურეები—71. კლუბის მეგობართა წრე აერთიანებს 72 კაცს.

წინათ არსებული ვარჯიშობის კლუბი სავსებით იქნა გადახალისებული და დაარსდა ფიზკულტურის წრე, სადაც სატანთვარჯიშო მუშაობის წარმოებას მუშა-ახალგაზრდობათა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიექცა.

ყველა საკალინდარო კამპანიები ჩატარდა საკავშირო ორგანოების დირექტივების მიხედვით და მუშების აქტიური მონაწილეობით.

კლუბი საშეფო სოფელს დიდ დახმარებას უწევს ლიტერატურის მიწოდებით.

ქალთა შორის მუშაობა ტარდება „ქალთა კუთხეში", სადაც მოწყობილია პოლიტცოდნის, ხელსაქმის და ჭრა-კერვის სკოლები.

ნორმალურ მუშაობას საერთოდ ხელს უშლის სათანადო შენობის უქონლობა და საჭიროა ამ საქმის დროულად მოგვარება.

ი. კ.

ასეთ მკლავაძეებს ჭკუა ასწავლეთ

ამ რამოდენიმე დღის წინეთ კირკის ქუჩაზე მიმავალ ტრამვაის რონოდაზე შეახტა მოქ. გრიგორი ხაინდრავა, რომელსაც შენიშვნა მისცა კანტრალიორმა ამხ. ხაჩატუროვმა და თანახმად სავალდებულო დადგენილებისა მოსთხოვა ხაინდრავას გადაეხადა 50 კაპ. ჯარიმა. ხაინდრავამ იუკადრისა ეს და მუქარით დაუწყო მას ყვირილი: „იცი, მე ვინა ვარ, მე შენ გიჩვენებო" და სხ.

კანტრალიორმა შეაჩერებინა რონოდა და დაუძახა მილიციელს, რათა კანონიერი ჯარიმა გადაეხდევინებინა ხაინდრავასათვის ვინაიდან, ის მას ნებით არ იხდიდა. ხაინდრავა გაწიწმატდა, როგორ თუ მილიციელს დაუძახეო და კანტრალიორს ერთი მაგრად მიარტყა სახეში, ერთს მეორეც მოაყოლა და ზედაც რევოლვერი იძრო და ვინ იცის, რით გათავდებოდა საქმე, რომ მილიციელს არ მიესწრო და ეს „გმირი" კომისარიატში არ მიებრძანებინა. ხაინდრავა მაინც გაიძახოდა: „მე არავისი არ მეშინია და ვერც ვერაფერს მიზამთო".

მოსთხოვეთ პასუხი!

მუშკორი მილიციელი.

როდის მოგვეცემა ჩვენი ნამუშევარი?

სოფ. შუა-ხორგაში არსებობს ხე-ტყის ტრესტის განყოფილება. აქვე არის მისივე სახერხი ქარხანა. ახლო მდებარე სოფლების გლეხები, რათა გაიუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა ეწევიან მუშაობას: ჭრიან შეშას, ეზიდებიან მას სად. ჭალადიდამდე და სხვა. გლეხები იმისათვის მუშაობენ, რომ თავის დროზე მიიღონ ხელფასი.

მაგრამ რას ვხედავთ? ზოგიერთები კერძოობით ღებულობენ ნამუშევარს და მეტი ნაწილი მუშებისას კი აგერ მეორე თვეა და ნამუშევარი ვერ მიუღიათ.

რაშია საქმე? რას უნდა მივაწეროთ ეს? სანამდი უნდა უცადოთ ჩვენს კუთვნილ გასამრჯელოს? გვეუბნებიან: დღეს, ხვალ იქნებაო. „დღეს, ხვალ" კი არ თავდება დროა მოგვეცეს სათანადო ყურადღება.

გ. ახირებული.

როდის გაიგებენ ჩვენ ჭირვარამს?

რკ. გზ. თბ. ელექტრო-სადგურის მანქანების—სიძველის და უვარგისობის შესახებ, ბევრჯელ დაწერილა გაზეთებში და ახლაც ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან ეს მანქანები.

თუ კი ისინი დღემდე მუშაობენ, ეს ხდება მოსამსახურეთა ბეჯითობით, მუყაითობით, ინიციატივით და ცოდნით.

ელ-სადგურში თითქმის ორი წელია, რაც 120 ძალ. მანქანა ჩამოიტანეს დასადგმელად, მაგრამ ვერაფრის გზით ვერ ეღირსა მის დადგმა, ზოგიერთი ნაწილების უქონლობის გამო.

ამჟამად კი მანქანის ნაწილები უკვე მოტანილია „მახოვიკის" გარდა.

„შ. ე." გაიძახის: „მახოვიკიც" მზათ არის და ამ მოკლე ხანში მივიღებო, მაგრამ გადის ხანი და დრო, „მახოვიკი" არ ჩანს.

„შ. ჩ. ვ." გაიძახოდა მანტიორიც უკვე მოდისო ამ მანქანის დასადგმელადო, მაგრამ მასაც გზა აბნევია და დაკარგულა.

რაშია საქმე? წევის დარგმა თუ 400 მანქანების გამოწერა და მიღებაც შესძლო, ნუ თუ თქვენ ამ ერთი მანქანის დადგმა ასე უნდა გაგიჭირდეთ?

რას უნდა მივაწეროთ ადმინისტრაციის ასეთი „გამრჯელობა", გულგრილობა. თუ საქმის უცოდინარობას.

„შ. ჩ. ვ.—შ. ე-სვის ალბად სულ ერთია მანქანები კი ტრიალობდნენ და რიხინებდნენ!.. მათ რა აკლდებათ. თბილად ხომ არიან მოკალათებულნი კაბინეტებში. მაგრამ როგორ პირობებში უხდებათ მორიგე მუშებს მუშაობა და მექანიკს ეს კი არ იციან „შ. ჩ. ვ. და უ. ე-მ".

თუ საქმე დაშავდება, დამნაშავენი მუშები არიან, თუ საქმე კარგად მიდის, ეს მხოლოდ მათი საქმეა!

მუშა ია.

მივბაძოთ ცენტრალ. პარტსკოლის მაგალითს

I საფეხურის პარტსკოლაში არსებული წესის თანახმად კურსანტები აბანოში დაიარებიან ორ კვირაში ერთხელ. იმ კურსანტებს კი, რომელიც გადააცილებს ერთ დღეს რაიმე მიზეზის გამო და ვერ წავა აბანოში, მერე უხდება დამატებით ორი კვირის ლოდინი. ამრიგად ერთი დღის გადაცილება უდრის მთელ თვეს უაბანოდ ყოფნას, რაც უნდა ჩაითვალოს არანორმალურ მოვლენად, რადგანაც ამას შეიძლება მოჰყვეს შედეგად კანის სხვადასხვა სნეულება, მით უმეტეს, რომ ეხლა თანდათან დათბა და კურსანტები იმყოფებიან საერთო საცხ. ბინაში.

ამ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა თვითეულ კურსანტს მიეცეს ცალცალკე აბანოს ბილეთი (როგორც ეს ხდება ცენტრ. პარტ-სკოლაში), რომ მან თავისუფალ დროს შეძლოს ამ ბილეთის საშუალებით აბანოთი სარგებლობა.

კურსანტი.

აქ ირღვევა შრომის კანონები

მთავარ სახელოსნოს სარონოდო საამქროში არის ერთი ჯგუფი ხელოსნებისა, რომლებიც სამგზავრო რონოდების შეკეთების შემდეგ აცილებენ რონოდებს გასაშინჯავად. ეს ხდება ნორმალურ სამუშაო დღის რვა საათის მუშაობის შემდეგ. მთელი ღამე მეორე დღემდე ეს მუშები გზაში არიან და მეორე დილითვე იწყებენ სახელოსნოში მუშაობას. ეს ფაქტი ეწინააღმდეგება შრომის დაცვის კანონებს.

ასე ხდებოდა უწინ და დღესაც მეორდება. ხშირი შემთხვევაა, რომ მთელი ღამის უძინარს მუშას ჩამოეძინება ჩუმად რონოდის ქვეშ.

საჭიროა ამას მიაქციოს ყურადღება შრომის დაცვის კომისიამ და ადგილკომმა, რათა არ ირღვეოდეს შრომის კანონები.

საჭიროა ეს მუშები განთავისუფლდნენ მეორე დღეს. სამსახურიდან ზედმეტი ნამუშევარი საათების ანგარიშში.

მუშკორი—ქაური.

გამოასწორეთ ეს ნაკლი
(ჯანსახკომის საყურადღებოდ)

მუშკორებს ხშირად გვისაყვედურებენ: სულ ცუდ რამეებზე სწერთ, უარყოფითი მხარეებს ამჟღავნებთო და კარგ რამეზე კი კრინტსაც არა სძრავთო და სხვა.

საზოგადოთ მუშკორები, რომ კალამ მწვავე... და ენა მწარე... ხალხი ვართ, ამას არც ჩვენ უარვყოფთ. ხოლო, რაც შეეხება ავ-კარგზე წერას, ჩვენ რა თქმა, უნდა ერთნაირად ვსწერთ როგორც ავზე, ისე კარგზე და ჩვენი კალამიც ზოგს ახალისებს და ზოგს კი გვერდებს უწვავს... აი თუნდაც მაგალითისათვის ავიღოთ „გინეკოლოგიური" ინსტიტუტი და ავწეროთ მისი ავ-კარგი: სისუფთავე საავადმყოფოში დაცულია, კარგად არის მოწყობილი საწოლები, ოთახები თბება სისტემატიურად, ნორმალურ პირობებში მიმდინარეობს მკურნალობა. დიდის ყურადღებით და თავაზიანად ეპყრობა ავადმყოფებს ექიმი მგალობლიშვილი, რისთვისაც დიდის პატივისცემით იხსენიებს მას ყველა ავადმყოფი და ჩვენც უძღვნით ამხ. მგალობლიშვილს ჩვენს მუშურ მადლობას მისი დაუღალავი პატიოსანი შრომისათვის.

შევეხოთ ნაკლსაც, მაგალითად: სადილი ეძლევათ ავადმყოფებს სრულიად უვარგისი, ჩაის რაღაც მყრალი სუნი უდის, ეტყობა ძალიან დაბალი ხარისხისაა და გაფუჭებული უნდა იყოს. ხშირი შემთხვევაა აგრეთვე, რომ ავადმყოფები ათი ხუთმეტი წლის განმავლობაში ეძახიან მომვლელებს, მაგრამ ისინი სადღაც „ღლაბუცობენ" (რა თქმა უნდა არა ყველა) და როდის, როდის თუ მოხედავენ

იყო შემთხვევა აგრეთვე ამ რამდენიმე დღის წინად ავადმყოფი სიცხისაგან იწვებოდა ეძახიან მორიგე ექიმს და ექიმი ავადმყოფს ეუბნება: არავინ გყავთ სახლში, რომ დაუძახოთ და ყინული მოიტანოსო.

ამას ჩვენის აზრით, ექიმობა აღარ ჰქვია.

არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება ღარიბ ავადმყოფებს, რაც გამოიხატება მათივე სიტყვით მათდამი ნაკლები ყურადღების მიქცევაში.

მუშკორი მილიციელი.

[illegible]

[illegible] მთავარ წყაროს წარმოადგენს საერთოდ კინო, თეატრი, სახალხო წარმოდგენები და კულტურული სახის საღამოები გამართვა, რომელსაც ყველა შეგნებულმა მოქალაქემ ხელი უნდა შეუწყოს. მაგრამ ისეთი საღამო, როგორიც 28 თებერვალს, გამართეს ტეხნიკუმში, კამოს ქუჩაზე, № 70, თვით ტეხნიკუმის მოწაფეებმა, უმჯობესია არასდროს არ გაიმართოს და პირიქით მიღებული იქნეს სასტიკი ზომები ასეთების წინააღმდეგ. ეს საღამო კი არა, რაღაც გაუგებრობაზე დართული ანარქია იყო. საღამოს მომწყობნი ძალიან მცირე გამონაკლის გარდა, ყველანი ძალზე გალეშილები იყვნენ ღვინით, რის გამოც თვითონ არღვევდნენ ყოველგვარ წესრიგს. დამსწრე მოწაფეებიდანაც უმრავლესობა მთვრალები იყვნენ და ლანძღვა-გინებითა და მუშტებით უმასპინძლდებოდნენ ერთი-მეორეს. ზოგიც თავის „დამოჩკით დაგულაობს" თავმომწონედ, მაგრამ აგერ ვილაცამ ოთაგხედა და მის „დამოჩკას" გვერდი წაჰკრა და ამით შელახა კავალერის თავმოყვარეობა. კავალერი არ ითმენს ამ შეურაცყოფას, იმართება მუშტი-კრივი, ძმა ბიჭები ეხმარებიან ერთმანეთს და თავგამოდებით ურტყამენ მოწინააღმდეგეს ცხვირპირში, რომ თავი მოაწონონ ქალიშვილებს „ვაჟკაცობით".

ბოლოს როგორც იყო მილიციის ენერგიული ზომებით წესრიგი აღდგენილი იქნა, მაგრამ ერთ სასაცილო ამბავს მაინც ჰქონდა ადგილი: „ჩამოდექით, გზა მიეცით, დირექტორი მოდის"—ყვირის ტეხნიკუმის მოწაფე პროკოფი შენგელია და თან ბარბაცით (ეტყობოდა რომ ძალზე იყო გალეშილი ღვინით) მოუძღვება ვიღაც მოქალაქეს, რომელიც ცხვირაწეული მოსდევდა უკან და თავიც ცოტა არ იყოს ამაყად ეჭირა. მე დავინტერესდი და ვიკითხე მართლა დირექტორია მეთქი,—დიახ, დირექტორიაო მითხრეს.

—კაი შენ დაგემართოს. კაი დირექტორი შენა ხარ-მეთქი, გავიფიქრე გუნებაში და გამოველი კარში.

მუშკორი მილიციელი.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **ამ კავშირის მაგალითს უნდა მიბაძონ სხვებმაც.** საქ. პროფკავშ. კულტგანს აქვს გახსნილი საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებათა მუშაკებისათვის სამეცნიერო-საბუღალტერო კურსები, სადაც მსმენელებად ირიცხება ორასამდე მუშა-მოსამსახურე. მეცადინეობა კურსებზე მიმდინარეობს ნორმალურად. ლექტორები გაულმოდგინედ ეპყრობიან თავის მოვალეობას და დიდ თავაზიანობას იჩენენ მსმენელების მიმართ.

მადლობა ასეთ პატიოსან მუშაკებს და პროფსაბჭოს!

ს. ბ.—ძე.

— **ჩვენი კავშირი სასტიკად ებრძვის ჩარჩებს.** თვითმშრომელთა კავშირში გაერთიანებული არიან თბილისის მებაღეებიც, რომელიც ამჟამად კოოპერატიულადაც შეკავშირებული არიან. თვით კავშირმა სხვადასხვა ადგილას გაუხსნა მათ ოთხი გამსაღებელი პუნქტი, სადაც ისინი ასაღებენ თავიანთი შრომის ნაყოფს კერძო ვაჭრებისაგან დამოუკიდებლად, რომელთაც თავის სასარგებლოდ საქონლის გასაღებისათვის მიჰქონდათ საქონლის ღირებულების ერთი მეექვსედი.

შ. ქ—თელაძე.

— **დაამყარეთ წესრიგი.** სად. თბილისში სამგზავრო მატარებელზე დაჯდომა ძალიან უძნელდებათ მგზავრებს. აქ ყოველთვის დგება პირველ ზარამდის ორი რიგი: ერთი პერონზე, მეორეკი დარბაზში და სანამდის დარბაზიდან მგზავრებს გამოუშვებდენ, „პერონის ხალხი" უკვე იჭერს ადგილებს. ეს გარემოება დიდ უკმაყოფილებას იწვევს მგზავრებში და სადგურის მყუდროებასაც არღვევს.

მუშა ადგილობრივი.

— **მოშალეთ როსკიპ ქალთა ეს ბუდე.** დიდუბეში, სასოფლო-სამეურნეო იარაღების საწყობის ეზოში, სადაც არის პატარა ბაღი საღამოობით თავს იყრიან როსკიპი ქალები და ეს ბაღი მათ გარყვნილების ბუდეთ აქვთ გადაქცეული. საჭიროა ამ ბაღის შემოღობვა და უზნეო ქალების აქედან აბარგვა.

მუშკორი—ბაძე.

— **ეს შეუგნებლობაცაა და ბოროტებაც.** ყველამ ვიცით, რომ სათანადო ჰასაკის მუშა-მოსამსახურე დროგამოშვებით და დროებით იწვევენ მოკლევადიან ტერ-შეკრებაზე—სამხედრო სწავლებისათვის. მაგრამ დახეთ უბედურებას! ხშირად დაწესებულების უფროსები შუამდგომლობენ, რომ ესა თუ ის მუშა ან მოსამსახურე განთავისუფლებულ იქნეს ამ სწავლებისაგან, ვინაიდან ისინი „დატვირთული არიან სამუშაოებით".

რას ჰგავს ეს? ამ უწესოებას ბოლო უნდა მოეღოს.

ნ. გარ—ვანიშვილი.

— **სიბინძურის ორმოში.** მილიუტინის ქუჩაზე არის დარაბა № 8995, სადაც ხორცით ვაჭრობს ჩარჩი ჯაფარიძე. ეს „საყასბე" უფრო სიბინძურის ორმოს წარმოადგენს, ვიდრე ხორცის სავაჭროს. ვირთხები თავისუფლად დასეირნობენ ხორცებზე.

ეს სიბინძურის ბუდე უნდა მიუკეტოთ ამ ჩარჩურას.

საყუდის მუშა ბასილაშვილი.

პროფკავშირებში

პროფკავშირების მონაწილეობა საბინაო აღმშენებლობაში

საბინაო კრიზისი დღით-დღე მწვავდება. როგორც ვიცით, საქართველოში ამჟამად ითვლება 23 ქალაქი. ამ ქალაქებში მცხოვრებთა რიცხვი უდრის 457.543 კაცს. მათ, დაახლოვებით, უჭირავთ 183.852 (საშუალოზე ნაკლები საცხოვრებელი მოედანი) ოთახი. ამგვარად, თითოეულ პატარა და ვიწრო ოთახში, დაახლოვებით, სცხოვრობს სამი მდგმური (ე. ი. თითოეულ მცხოვრებზე მოდის დაწესებულ საცხოვრებელ ნორმალურ სივრცის თითქმის ნახევარი).

განსაკუთრებით ამ მხრივ ცუდ პირობებში იმყოფება ქალ. თბილისი. უკანასკნელ ცნობების მიხედვით, თბილისის მოსახლეთა რიცხვი უდრის 280.000 კაცს. მათ საშუალოდ უჭირავთ საცხოვრებელ მოედნის სამი მილ. 810.000 კვადრ. არშინი, ე. ი. თითოეულ მდგმურზე მოდის საცხოვრებელ მოედნის 13,6 კვ. არშ. მაშინ, როდესაც ჰიგიენურ-სანიტარულ მოსაზრებით და მომქმედ საბინაო კანონმდებლობის მიხედვით, თითოეულ მდგმურზე საცხოვრებელ ნორმალურ სივრცეთ დაწესებულია 20 კვ. არშინი.

ამგვარად, არსებულ საბინაო ნორმის მიხედვით, მარტო თბილისის მცხოვრებთ აკლიათ ერთი მილიონი შვიდას სამოცდა ოთხი ათასი კვადრ. არშინი.

სულ მცირედ რომ ვიანგარიშოთ, ამ საბინაო დანაკლისის შესავსებად ჩვენ გვჭირდება არა ნაკლებ ას ოცი მილიონი მანეთისა. თუ ამას ჩვენ დავუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ არსებული ბინების თითქმის ორი მესამედი ნაწილი მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას, რაც გამოიწვევს არა ნაკლებ 40—50 მილიონ მან. ხარჯს, მაშინ ჩვენ აშკარად დავინახავთ, თუ რა კატასტროფიულ მდგომარეობას განიცდის თბილისის მოსახლეობა ბინების მხრივ.

აღნიშნულ კრიზისს ბევრად ვერ შეანელებს ის ზოგადი საბინაო აღმშენებლობა, რომელსაც თავგამოდებით აწარმოებს თბილისის აღმასკომი, მით უმეტეს, რომ ყოველწლიურად თბილისის მცხოვრებთა რიცხვი იზრდება რამოდენიმე ათასობით.

აქედან ცხადია, თუ რა უდიდესი მუშაობის წარმოება გვჭირდება ჩვენ საბინაო აღმშენებლობის დარგში.

ჩვენი პროფორგანოების ერთ უმთავრეს საზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს მუშა - მოსამსახურეთა ბინით უზრუნველყოფა.

ამ უკანასკნელთა რიცხვი, ოჯახებიანად, სტატისტიკურ ცნობების მიხედვით, უდრის 169.960-ს.

მათ უჭირავთ საცხოვრებელი მოედნის 2.370.000 კვ. არშინი, მაშასადამე, მათ აკლიათ ნორმის მიხედვით 1.019.760 კვ. არშინი.

ამ დანაკლისის შევსება მოითხოვს დაახლოვებით 65 მილიონ მანეთის დახარჯვას. ეს თანხა ამ ახლო ხანებში აუცილებლად უნდა გამოინახოს. ამის გაღება კი მარტო აღმასკომისათვის ყოვლად შეუძლებელია. მას უნდა დაეხმარონ პროფკავშირები საკავშირო თანხებიდან განსაკუთრებული საბინაო ფონდის გამოყოფით.

ჩვენი წამოწყება-დაწესებულებებში პროფორგანოებმა უნდა შემოიღონ საბინაო ანარიცხების აკრეფის წესი,—ხელფასის საერთო ჯამის 1—2 პროცენტის სახით.

ამასთან ერთად, საბინაო აღმშენებლობის საქმეში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული კერძო თაოსნობა, კერძო პირები, მათთვის ამ მხრივ შესაძლებელ დახმარების და შეღავათების მიცემით.

გამოყენებულ უნდა იქნენ აგრეთვე აუცილებლად საბინაო სარემონტო საქმეში საბინაო ამხანაგობანი და სხვ.

მხოლოდ ასეთი მუშაობა გამოგვიყვანს ეხლანდელ მდგომარეობიდან.

ხნივი.

პროფმუშაობის ქრონიკა

პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

◆ **საბჭოს განყოფილებათა სამოქმედო გეგმის შესადგენათ.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ცალკე განყოფილებებს შეადგინონ გეგმები მომავალში საქმიანობაზე.

◆ **კამპანიები მეხუთე ყრილობაზე.** პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილება კამპანიას ჩაატარებს პროფკავშირთა მეხუთე ყრილობის შესახებ.

◆ **ცენტრალურ მუშათა კლუბის ხარჯთ აღრიცხვა.** გამოიყო კომისია ცენტრ. მუშათა კლუბის ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენათ.

◆ **სუბსიდიის განაწილება მაზრებზე.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმა. სუბსიდია გაანაწილა მაზრებზე და ავტ. რესპუბლიკებზე—ამ სუბსიდიიდან აფხაზეთს ერგო—400 მან., აჭარისტანს—400 მან., ფოთს—300 მან., ზუგდიდს—150 მან., სენაკს—300 მ., ოზურგეთს—200 მ., ქუთაისს—300 მან., ახალქალაქს—100 მან., ახალციხეს—150 მ., ბორჯომს—100 მან., გორს—100 მან., სამხრეთ-ოსეთს—100 მან., დუშეთს—100 მან., თელავს—200 მან., სიღნაღს—200 მან., ბორჩალოს—100 მან., რაჭას—125 მან., ლეჩხუმს —125 მან., მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ცენტ. გამგ.—150 მან.. სულ 3600 მან. **ეს თანხა ხმოლოდ კულტმუშაობას მოხმარდება.**

◆ **საკავშირო რესპ. კულტ. თათბირზე.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გაანაწილა საკავშირო რესპ. კულტ-თათბირზე დათმობილი 5 ადგილი, ერთი ადგილი დაეთმო აჭარისტანს; 1 აფხაზეთს, 1 პროფსაბჭოს; 1 მუშათა ცენ. კლუბს, 1 კავშირს.

ახალ-სენაკის სამპროფბიუროში

◆ **კინო-სურათებისათვის.** სამპროფბიურომ შუამდგომლობა აღძრა სახ. კინმრეწველობის სამმართველოსთან შეღავათიან ფასებში სურათის დათმობაზე.

◆ **ადგილკომების მუშაობა.** სამპროფბიურომ მიზანშეწონილად სცნო სამაზრო ადგილკომების კრებები მოწვეულ იქნეს თვეში ხუთჯერ.

◆ **ურთიერთ დამხმარე სალაროები.** სამპროფბიურომ გადასწყვიტა ახალ-სენაკის ყველა სამაზრო ადგილკომებთან მოაწყოს ურთიერთ დამხმარე სალაროები, რომლებიც თითოეულად უნდა აერთიანებდენ არა ნაკლებ 60 წევრისა.

სიღნაღის სამპროფბიუროში

◆ **გაზეთების გამოწერა.** სამპროფბიურომ გადასწყვიტა გააფართოვოს ხელის მოწერა თბილისის ჟურნალ-გაზეთებზე და გაავრცელოს იგი კავშირის წევრთა შორის.

◆ **კავშირებში პრეზიდიუმის გამოყოფა.** სიღნაღის სამაზრო კავშირებში პრეზიდიუმის გამოყოფა

ხელოვნება

პიროგოვის გასტროლი
„ფაუსტი"

აუდიტორიის უმთავრეს ყურადღებას იპყრობდა **პიროგოვის** პარტია (მეფისტოფელი). მსახიობს თავისებურად ესმის ეს პარტია. როგორც გრიმით, ისე როლის შესრულებით. მსახიობი გვისახავს კეთილ ბელზებელს და არა ბოროტ სულს. მაგრამ ეს მხოლოდ სცენიური შესრულების ერთი მხარეა, საიდგან უკვე მე-2 აქტის ფინალში, რომელიც დადგმული იყო ძველი ტრადიციით, მეფისტოფელის დემონიურობა აშკარად იჩენს თავს და აქ პიროგოვი იძლევა მკაფიო მიმიკურ სურათს. მე-3 აქტის სცენაში მხატვრული მომენტები გადახლართულია არამხატვრულ მომენტებთან. აქ კარგი მეფისტოფელი იყო ის მომენტი, როდესაც ფაუსტს და მარგარიტას დასდევს აჩრდილივით. კარგია ყვავილების შელოცვის სცენა, მაგრამ მთელი სცენა მართასთან მეტად გაზორებულია. საუკეთესოა სცენა ტაძართან. აქ მეფისტოფელი საშინელია, მართლაც ბოროტი სულია.

სერენადის შესრულების დროსაც მსახიობი აბოროტებს, მსახიობის ხმა მძლავრი იყო, მაგრამ ნაკლად უნდა ჩაეთვალოს მას პარტიტურისაგან გადახრა. (1 აქტის სცენაში მარგარიტას გამოჩენის დროს და მე-2 აქტის სცენაში და სხვ.).

სცენაში ტაძართან და ოპერის ფინალში—ციხეში მღერა არაა ისეთ სიმაღლეზე, როგორც სცენიური მხარე. მსახიობს ხელს უშლის არამკაფიო დიქცია.

დანარჩენ შემსრულებელთაგან უნდა აღინიშნოს **სპრიშევსკაია**, რომელმაც მხატვრულად შეასრულა მარგარიტას პარტია. კარგი იყო **ვენაძე** (ვალენტინის პარტიაში). მსახიობმა რეალურად ჩაატარა სიკვდილის სცენა. მსახიობმა **სინიცკიმ** მკრთალად ჩაატარა პარტია.

საუცხოვოთ ხელმძღვანელობს ორკესტრს ახალგაზრდა დირიჟორი **მელიქ-ფაშაევი**.

პ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

—**საოპერაციო სტუდიის** მიერ ხუთშაბათს 1 აპრილს რუსთაველის თეატრში ქართულ ენაზე წარმოდგენილი იქნება ოპერა „ჯამბაზები". დირიჟორობს ი. ფალიაშვილი.

— **რუსთაველის თეატრში** ხვალ წარმოადგენენ თურქულ ენაზე.

◆ **მოწაფეთა ღია საღამო.** სამშაბათს, 30 მარტს, სახ. კონსერვატორიაში დანიშნულია მოწაფეთა მეშვიდე ღია საღამო.

◆ **დისპუტი დრამის სეზონზე.** 10 აპრილს, რუსთაველის თეატრში გაიმართება დისპუტი ქართული დრამის მიმდინარე სეზონზე. დისპუტში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები, ლიტერატორები, რეჟისორები და სხ. ლიტერატურული სამსჯავროს თავმჯდომარეთ მიწვეულია გიორგი ლასხიშვილი.

◆ **„ნათელა".** დღეიდან „არფასტოსა", „სოლეისა" და „აპოლოში" დაიწყო ახალი სურათის „ნათელას" ჩვენება.

◆ **ცირკში,** ჟანნა დიუკლო, უკანასკნელად გამოვა დღეს და ხვალ.

◆ **გრ. პიროგოვი** დღეს იმღერებს ოპერა „თავად იგორში".

◆ **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „დეზერტირკა".

◆ **ს. ინაშვილი** ხვალ იმღერებს ოპერა „ოტელოში".

დღეს კინოებში.

◆ **არფასტო**—„ნათელა".
◆ **სოლეი**—„ნათელა".
◆ **აპოლო** „ნათელა".
◆ **მინიონი**—„მისი ქმარი".

საბჭოთა სასამართლო

მკვლელობა შურის ძიების ნიადაგზე.

აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს სესიამ ამხ. **ნიკოლაიშვილის** თავმჯდომარეობით, სიღნაღში გაარჩია **ქიტა ლუკიაშვილის, გიორგი, ალექსი და შაქრო კოჭლამაზაშვილის** საქმე.

ყველა ჩამოთვლილ პირებს ბრალად ედებოდა ძმები გიორგი და ვასილ ისირაძეების მოკვლა.

ლუკიაშვილს და გიორგი ისირაძეს უკმაყოფილება მოსვლიათ საქონლის ჯოგის გაყოფვის დროს. უკმაყოფილება მათ შორის თანდათან ძლიერდებოდა. ლუკიაშვილი დამუქრებია ისარიძეს და უთქვამს მისთვის: „მოვა დრო სამაგიეროს გადაგიხდიო".

მუქარის სისრულეში მოსაყვანად ერთ დღეს, ღამით, ლუკიაშვილი თავისი ამხანაგი გიორგი კოჭლამაზაშვილის მონაწილეობით თავს დაესხა ისირაძებს და მოჰკლა ორთავე ძმები.

სასამართლოში მოწმეების ჩვენებიდან გამოირკვა, რომ ბრალდებულებს მკვლელობა ჩაუდენიათ შურისძიების ნიადაგზე.

სასამართლომ ლუკიაშვილს და გიორგი კოჭლამაზაშვილს მიუსაჯა ათ-ათი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო შაქრო და ალექსი კოჭლამაზაშვილი სასამართლომ გაამართლა.

სახაზინო ფულების გაფლანგვა

9 აპრილს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერს დაიწყება საზოგადოებრივ-საჩვენებელი გასამართლება ა.-კ. რკინის გზის მომხმარებელ კოოპერატივის კონტრ-აგენტის **დ. კიკაჩეიშვილისა,** რომელსაც ბრალათ ედება 4.000 მან. სახაზინო ფულების მითვისება და გაფლანგვა.

ქობულოვის საქმე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლომ **ამხ. ბერიშვილის** თავმჯდომარეობით გაარჩია **შაქრო ქობულოვის** საქმე, რომელსაც ბრალათ ედება მოქ. დარბუდაროვის მოკვლის ცდა. ბრალდება გათვალისწინებულია ს. ს. კ. 146 მუხ.

მოწმეების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ქობულოვი და დარბუდაროვი სავაჭრო საქმეებს აწარმოებდენ ერთად და ამ ნიადაგზე მათ შორის წარმოშობილა უთანხმოება.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი სცნო დამნაშავეთ.

სასამართლომ ქობულოვს მიუსაჯა 2 წლით და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა.

ხულიგნობისათვის

სახალხო სასამართლომ გაასამართლა მოქ. პოლის ასლანიანი, რომელსაც ხულიგნობისათვის მიესაჯა ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა.

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთი

„წ. ა. ფ. ს." დამარცხება

კვირას, 28 მარტს, ლენინის სახელობის სტადიონზე მოხდა ფეხბურთის საგაზაფხულო სეზონის გახსნა.

შეჯიბრის დაწყებამდე მოედანზე გაიმართა ალლუმი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სამივე კატეგორიის ფეხბურთელთა გუნდებმა.

გაზაფხულის სეზონის პირველობის გათამაშება დაიწყო თბილისის საუკეთესო გუნდების—„დურუჯი"-ს და „წ. ა. ფ. ს." (წითელი არმიის და ფლოტის სახელობის გუნდი) შეჯიბრებით.

შეჯიბრის მსაჯი იყო ამხ. **გალპერინი.**

უნდა აღინიშნოს, რომ წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდი (წინეთ ს. ორჯონიკიძის სახელობის გუნდი) უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა ყველა სეზონებიდან; გასული წლის შემოდგომის სეზონის პირველობაც მას დარჩა.

წელს კი გუნდის წინანდელ შემადგენლობას გამოაკლდა სამი პირველხარისხოვანი მოთამაშე (პაპკოვი, გუნია და ვაჩნაძე, რომლებიც ეხლა „დურუჯში" თამაშობენ), რამაც საგრძნობლად შეასუსტა გუნდი. ამიტომ გუნდის გამარჯვების შანსებიც რამოდენიმეთ შემცირდა, განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც „წ. ა. ფ. ს." ორჯერ დამარცხდა „დურუჯთან" ამხანაგურ შეჯიბრებაში.

28 მარტის შეჯიბრში ორივე გუნდი გამოვიდა თავისი ძირითადი შემადგენლობით. თამაში მეტად ფრთხილად დაიწყო, სჩანდა, რომ ორივე მხარეს მტკიცეთ ჰქონდა გადაწყვეტილი პირველობა არ დაეთმოთ ერთმანეთისათვის.

შეჯიბრის პირველ განყოფილებაში ორივე გუნდი თითქმის თანასწორად თამაშობდა და; შეტევაზე გადადიოდა როგორც ერთი ისე მეორე მხარე. ძალთა წონასწორობა დაირღვა ხავტაიმის ბოლოს, როდესაც დურუჯელმა **გუნიამ** პირველი ბურთი შეაგდო „პენალტიდან" მოპირდაპირის ბადეში.

მეორე ხავტაიმში წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდი შეეცადა გაექვითებია წაგებული, მაგრამ ჩქარა იძულებული იყო შეტევიდან თავდაცვაზე გადასულიყო; მეორე ხავტაიმს მეორე ნაწილში შეტევაზე გადადიოდენ უმთავრესად „დურუჯელები", მაგრამ მათ იერიშებს რეალური ნაყოფი არ გამოუღია.

შეჯიბრი გათავდა 1:0 „დურუჯის"-ს სასარგებლოდ.

„ჯავშნიანი ნაწილი"—„თბილისის ქვეითა სკოლაში"

პირველი მატჩის შემდეგ იმავე მოედანზე გაიმართა მეორე კატეგორიის გუნდების—„ჯავშნიანი ნაწილი"-ს და „თბილისის ქვეითა სკოლა"-ს შეჯიბრი.

შეჯიბრის მსაჯი იყო ამხ. **ბლანკმანი.**

შეჯიბრი გათავდა 1:0 „ჯავშნიანი ნაწილი"-ს სასარგებლოდ.

სეზონის გახსნას აუარებელი ხალხი დაესწრო.

შემდეგი შეჯიბრი

კვირას, 4 აპრილს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება პირველი კატეგორიის გუნდების ორი შეჯიბრი: „არსრაიონი"—„პოლიტეხნიკუმი" და „ლენრაიონი"—„დინამო".

ღია წერილი

წარმოკავშირისა და ცეკავშირის გამგეობებს

უკვე მოახლოვებულია გლეხებზე აბრეშუმის თესლის დარიგების დრო. თემის ყოველ კუთხიდან გვეკითხებიან, თუ როდის დაურიგებს მათ კოოპერატივები თესლს? ამ შეკითხვების გამო ჩვენ უკვე გვქონდა პირადათ მოლაპარაკება ამხანაგობა აბრეშუმის გამგეობის თავმჯდომარე შალვა სოლომონისძე ჩხეიძესთან, რომელმაც განაცხადა: თესლს ამ დღეებში დაურიგებთ მეაბრეშუმეებს, მაგრამ არა კოოპერატივების, არამედ დაქირავებულ კერძო პირების საშუალებითო.

რის მაქნისია დიდ-ჯიხაიშში არსებული ორივე ტიპის კოოპერატივები? ვსთქვათ სამომხმარებლოს სხვა დანიშნულება აქვს, მაგრამ სამეურნეო ამხანაგობამ რაღა უნდა აკეთოს? ჩამოაცალეთ მას გლეხობის ნაწარმოებიდან: აბრეშუმი, ბამბა, ხილი და სხვა და სამეურნეო ამხანაგობიდან აღარაფერი დაგრჩებათ.

რომ ასეთი სამწუხარო ამბავი არ მოხდეს, გთხოვთ ამ წერილის გამოქვეყნებისთანავე იშუამდგომლოთ ვისთანაც ჯერ არს რათა აბრეშუმის საქმე, როგორც თესლის დარიგება, ისე პარკის შესყიდვა და დამზადება დაევალოს არა კერძო პირებს, არამედ კოოპერატივებს, რომელთაც აქვს მოწყობილი სამისო აპარატი.

დიდი-ჯიხაიშის ეპოს და სამეურნეო ამხანაგობის გამგეობები.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მოეცემა თუ არა პენსია

კითხვა

ჩემი ქმარი მსახურობდა რკინის გზაზე მემუხრუჭედ 1902—1914 წ. და გარდაიცვალა 1914 წ. არ მიმიღია არავითარი დახმარება, მყავს სარჩენი სამი მცირე წლოვანი შვილები და ღრმად მოხუცებული დედა; ვარ უკიდურესი ღარიბი და არ მაქვს საშუალება მცირეწლოვან ობლების აღზრდის.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას ეკუთვნის თუ არა ჩემ ობლებს პენსია, ან ვის მივმართო ამის შესახებ.

ქვრივი **ლიდა ჩხაიძე.**

პასუხი

ვინაიდან თქვენ პენსიის შესახებ დროზე არ აღგიძრავთ შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე, ამიტომ თქვენ ასეთი არ მოგეცემათ საერთო წესით (იხ. ამ.-კავ. შრომის სახკომატის 1924 წ. 17 ივნისიდან ცირკულიარი № 119-ის—მუხ. I-ლი); მაგრამ ამავე ცირკულიარის მუხ. მე-7-ის თანახმად, რესპუბლიკის სოცდაზღვევის სამართველოს და ამიერ-კავკ. დამზღვევ სალაროს აქვთ უფლება გამონაკლის შემთხვევებში არ გამოიყენონ აღნიშნულ ცირკულიარში ნაჩვენები ხანდაზმულობის ვადა და საპატიო შემთხვევებში შეუძლიათ დაგინიშნონ პენსია.

ამიტომ გირჩევთ სათანადო განცხადებით, სიღარიბის მოწმობით თანდართვით მიმართოთ ზემოხსენებულ ორგანოებს პენსიის დანიშვნის შესახებ.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

ვცხოვრობ ს. ველისციხეში, წყალობა სომხიშვილის სახლში და მიჭირავს ერთი ოთახი სივრცით 64 კვადრატიული არშინი. ვარ ადგილობრივი შვიდწლედის მასწავლებელი. ვიღებ 32 მან. ბინის ქირად თვიურად სახლის პატრონი მთხოვს 10 მან. ვარ კავშირის წევრი და დაზღვეული.

გთხოვთ განმიმარტოთ თუ რამდენი მეკუთვნის ბინის ქირა თვეში.

მასწ. **ლ. კასრაძე.**

პასუხი

ბინის ქირად თვიურად გადაიხდით თითოეულ კვად. არშინზე იმ საბინაო ნიხრით, რაც ადგ. აღმასკომის მიერ დაწესებულია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში არა უმეტეს ორი კაპეიკისა თითოეულ კვადრატიულ არშინზე.

მთავრობის მოქ. და განკარგულებანი

დადგენილება № 8.

ა/კ შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

1926 წ. თებერვლის 25.

ქაღალდის მრეწველობის ნაკეთობაზე ზედნართის დაწესების შესახებ

თანახმად ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა/წ. თებერვლის 24-ს დადგენილებისა, № 12/68 და შესაცვლელად ა/კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის ა/წ. თებერვლის 17 დადგენილების № 5/53 მუხ. „დ" და „ე"-სა, ა/კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

1) კოოპერატიული ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოების მიერ იმ ტრესტების ქაღალდის მრეწველობის ნაკეთობათა ბითუმად გაყიდვის დროს, რომელნიც ჩამოთვლილნი არიან რწმუნებულის ზემოხსენებულ დადგენილებაში № 5/53. დაწესებულ იქნეს შემდეგი ზედნართი:

დ) ბითუმად გაყიდვის დროს ისე, რომ თავიანთ საწყობებში არ მიზიდონ,—არა უმეტეს 6%-სა ტრესტების ადგილობრივ საბითუმო ფასებზე.

ე) ბითუმად გაყიდვის დროს თავის საწყობებიდან, — არა უმეტეს 8%-სა ტრესტების ადგილობრივ საბითუმო ფასებზე.

2) ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინა-ვაჭრობის განყოფილებას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

3) ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში ქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

4) დადგენილება ესე ძალაში შედის ა/წ. თებერვლის 25-დან.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში—**გამყრელიძე.**
საქმეთა მმართველი—**აბესაძე.**

დადგენილება № 7.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

1926 წ. თებერვლის 18.

საშენ წითელ აგურზე ფასების დაწესების შესახებ

თანახმად ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა/წ. თებერვლის 13-ს დადგენილებისა, № 11/67, ა/კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

1) დაწესებულ იქნეს საშენ წითელ აგურზე შემდეგი მაქსიმალური საზღვრითი საბითუმო საგასაცემო ფასი ფრანკო—აგურის ქარხანა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლ. ტერიტორიაზე, როგორც კოოპერატიულ ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ორგანოებისათვის, ისე კერძო პირთათვის გაცემის დროს.

1 ხარისხის აგურზე—32 მანეთი—1.000 ცალი.

2) ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინა-ვაჭრობის განყოფილებას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

3) ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

4) დადგენილება ესე ძალაში შედის ა/წ. თებერვლის 13-დან.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში — **გამყრელიძე.**
საქმეთა მმართველი — **აბესაძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— დღეს 30 მარტს, საღამოს 6 საათზე წითელი თეატრის შენობაში (ზუბალაშვილის სახლი) გაიმართება **საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება:** უნდა დაესწრონ თბილისის კომიტეტის, რაიკომების და უჯრედთა ბიუროების წევრები, კავშირთა ცენტრ. გამგეობათა ფრაქციები, ადგილკომების ფრაქციების და სამხედრო უჯრედთა მდივნები. დღის წესრიგი: ამხ. **მგალობლიშვილის** მოხსენება **„საქართველოს ბიუჯეტის მდგომარეობის შესახებ".**

—დღეს, 30 მარტს, დილის 10 საათზე **თბილისის კომიტეტის სამდივნოში** გაიმართება საქ. კომპარტიის **თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

— **თბილისის კომიტეტი** წინადადებას აძლევს საბინაო - საიჯარო ამხანაგობათა გამგეობათა და სარევიზიო კომისიების წევრ — კომუნისტებს გამოცხადდენ კრებაზე პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში 1 აპრილს საღამოს 6 საათზე.

დღის წესრიგში დასმულია საბინაო - საიჯარო კოოპერატივების საქალაქო კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებული საკითხები.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **მე-2 რაიკომის** სააგიტ.-საპროპ. განყოფილება იუწყება, რომ დღეს 30 მარტს, საღამოს 5 საათზე რაიკომის ბინაზე **მოწვეულია** ყველა პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა და მამასახლისთა **თათბირი.**

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **მე-2 რაიკომის** მუშა და გლეხ - ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ სამშაბათს 30 მარტს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში (პლეხანოვის 123) მოწვეულია **ქალთა ორგანიზატორების კრება** ქალიშვილთა ორგანიზატორებთან ერთად.

ქალთა და ქალიშვილთა ყველა ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

— საქ. კომპარტიის **თბილისის კომიტეტის** საარიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. **რუბენ ლეჟავას** (სახელმწ. უნივერსიტეტის უჯრ.) გამოცხადდეს საარ..-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. **ჩარკვიანთან.**

— საქ. კომპარტიის **თბილისის კომიტეტის** საარიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. კას. ნიკოლოზის ასულს **ნაიდენოვას** გამოცხადდეს 3 დღის განმავლობაში საარიცხვო - განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. **ჩარკვიანთან.**

ვინ არის წინააღმდეგი?

— 1-ლ ქართულ **მსროლელ ლეგიონის** მე-8 ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება ა. ლ. კ. კავშირის წევრებს, კომპარტიის კანდიდატებათ გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) მოსეშვილი გიორგი ალექსანდრეს-ძე, დ) მიქამავიძე ვლადიმერ მასიკოს-ძე, 3) ვასაძე ვასილი სილოვანისძე-ძე და 4) თათარაშვილი მიხეილი იასონის-ძე. ვისაც რაიმე საწინააღმდეგო აქვს ზემოაღნიშნულ ამხანაგების პარტიაში მიღების წინააღმდეგ უნდა აცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში მე-8 ასეულის კომუჯრედს.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომი** იუწყება, რომ სამშაბათს **30 მარტს, საღამოს 6** საათზე გაიმართება **მე-4 რაიონის ქალთა სადელეგატო კრება.** ქართული ჯგუფის — ქალაქის აღმასკომის დარბაზში, რუსული—სახალხო კავშირის კლუბში (კინო „სოლეის" ქვეშ).

ოლღა ისაის ასული მიქელაძე, ელენე ვლადიმერის ასული ფავლენიშვილი, მარიამ ვლადიმერის ასული ნოვომეისკაია ქმარით, ნინა ვლადიმერის ასული ხელსი ქმრით და ანა ვლადიმერის ასული მერიტე-მორაკი ქმრით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მიმდინარე 29 მარტს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის საყვარელი და დაუვიწყარი ქმარი და მეორეთა მამა

ვლადიმერ სიმონის ძე მიქელაძე

პანაშვიდი დღეს, 30 მარტს საღამოს 6 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში
დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

ღრმა დამწუხრებაში მყოფნი: **აკაკი ანტონისძე და თამარ ნიკიფორეს ასული თუთბერიძეები** უაღრეს მადლობას უძღვნიან ნათესავებს, ნაცნობ-მეგობრებს და ყველა იმ პირთ, რომლებმაც გაიზიარეს მათი მწუხარება საყვარელ შვილის

პატარა ბელიკოს (იზაბელას)

დაკარგვის გამო
და თანაგრძნობა გამოუცხადეს მათ სამძიმარზე მოსვლის, დასაფლავებაზე დასწრების, დეპეშების გამოგზავნის თუ სხვა გზით.

1—1 ნ. 976

თავზარდაცემული, გაუბედურებული მეუღლე ვალოდია შვილებით: ნენა, კლარა და ერიკა თავართქილაძეები, მამა ანტონ, დედა მართა შვილებით: ნათელა, სილვია და გიგა მუჯირები უღრმეს მადლობას უძღვნიან ნაცნობთ, ნათესავთ და მეგობართ, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი უსაზღვრო უბედურება ძვირფასი

ანიკოს

უდროოთ დაკარგვის გამო. 2001 1—1

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ნინა ქიტიაშვილისა, შვილი სესეგო ქიტიაშვილი და სიმამრის შვილები: ნესტორი და ალექსანდრე კორინთლები თავიანთ ცოლებით: ოლღა და ლიოლია კორინთლებისა ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ 28 მარტს, გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ძვირფასი და დაუვიწყარი

სერგო იაკობის ძე ქიტიაშვილი

დაკრძალვა 31 მარტს, ოთხშაბათს ნაშუადღევის 3 საათზე, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან: თუმანოვის შესახვევი № 18. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 6 საათიდან.

1997 1—1

და—ოლღა იაკობის ასული ჯავახიშვილისა შვილებით, დედა ნინო დავითის ასული, და ვერა იაკობის ასული, ძმა ივანე იაკობის ძე ქიტიაშვილი მეუღლით და და—სოფიო იაკობის ასულიშა ქრიაშვილისა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი

სერგო იაკობის ძე ქიტიაშვილი

გამოსვენება ოთხშაბათს, 31 მარტს, დღის 3 საათზე თუმანოვის შესახვევი № 18 დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

1999 2—1

რუსთაველის თეატრი

დღეს, 30 მარტს,
დეზერტირკა
4 მოქ.
ხუთშაბათს, 1 აპრილს
ოპერა ქართულად
I. **ჯამბაზები**
საოპერო სტუდია
II. **მზეთა-მზე**
მე-3 აქტი. 972 1—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 30 მარტს,
გრიგორ პიროგოვის
გასტროლი
თავადი იგორი
პიროგოვი შეასრულებს ორ როლს
ოთხშაბათს, 31 მარტს,
სანდრო ინაშვილის გასტროლი
ოტელო
ბარერის მონაწილეობით.
ნ. 966 1—1

ქალ. ზესტაფონი
25 თებერვლის ქუჩა № 58
დაარსდა
სავაჭრო საწარმოო ამხანაგობა
„გლეხთა დახმარება"
რომელიც აწარმოებს ყოველგვარ სავაჭრო საწარმოო ოპერაციას. ამხანაგობა გატარებულია რეგისტრაციაში ქალ ზესტაფონის სახალხო ნოტარიუსთან რეესტრის № 28 ქვეშ, და შორაპნის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტში
1926 წლის 20 მარტის თარიღით № 5182
ამხანაგობა „გლეხთა დახმარება".
7—2 ნ. 961

თბ. მუშკოოპის რწმუნებულთა
მე-6 ყრილობის
ა | წ. 11—12 მარტის დადგენილების თანახმად,
მუშკოოპის გამგეობა
აცხადებს:
1. წევრად შესასვლელი გადასახადი გადიდებულია 15 კაპ. 50 კაპეიკამდე.
2. საპაიო გადასახადი დარჩენილია ისევ ძველი—5 მან.
3. საპაიო გადასახადის ვადა—განისაზღვრება 3 თვით, დღიდან წევრად ჩაწერისა.
4. ძველ წევრებზე დარჩენილი საპაიო გადასახადი შემოტანილი უნდა იქნეს 3 თვის განმავლობაში, ე. ი. 12 ივნისამდე 1926 წ.
5. წევრთა პერერეგისტრაცია დამთავრებულ უნდა იყოს ა | წ. 15 აპრილამდე, მუშკოოპის ის წევრები, რომელნიც არ გატარდებიან პერერეგისტრაციაში აღნიშნულ რიცხვამდე (ე. ი. არ გადასცვლიან ძველ წიგნაკებს—ახალზედ) იქნებიან მექანიკურად მოხსნილნი.
ნ. 973 1—1 გამგეობა.

დღეიდან, 30 მარტიდან
კინო-თეატრებში
აპოლო,
არფასტო და სოლეი
ნაჩვენები იქნება სააქციონერო საზოგადოება „საქართველოს კინო მრეწველობის" სურათი
„ნათელა"
(უტუ მიქავა)
ნათელა—ნატა ვაჩნაძე ხიტი—ა. ჟორჟოლიანი
უტუ მიქავა—ა. ხორავა ჯონდო—მ. ჭიაურელი
სიდუ—ალისა ქიქოძე ომერ-ფაშა—კ. ანდრონიკაშვილი
ჩიჩუა—დ. ყიფიანი
რეჟისორი—ა. ი. ბეკ-ნაზაროვი.
ოპერატორი—ს. პ. ზაბოზლაევი.
ნ. 949 3—3

საქართველოს კინო მრეწველობის
აქც. საზოგადოების ახალი
აპოლო არფასტო სოლეი
სურათი
„ნათელა"
(უტუ მიქავა)
რეჟისორი—ა. ი. ბეკ-ნაზაროვი
ოპერატორი—ს. ა. ზაბოზლაევი
კასა ღიაა საღ. 5 ს—დან. 1 სეანსის დასაწყისი საღ. 6 ს.
0—22 ნ. 864 გაძლიერებული სიმფონიური ორკესტრი.

გამოვიდა და იყიდება
№ 2 **ეკონომისტი** № 2
შინაარსი:
სტატიები: მ. ტ—ძე—ხუთი წლის თავზე.—დ. ლ—ძე—ხელოსანთა ორგანიზაციების მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში.
ნარკვევები და შენიშვნები: ი. ქურდიანი—შაქრის მრეწველობის საკითხი საქართველოში—მ. გაბისონია—ჩაის კულტურა საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები.—შე-შერი-ნი—საფ ნჯრე შინის წარმოება საქართველოში.
თეორეტიული საკითხები: კ. მარქსი—საჭირო შრომა და კაპიტალი.
მიმოხილვები: საქართველოს სახალხო მეურნეობა 1926 წლის იანვარში.—ს.ს.რ. კავშირის სახალხო მეურნეობა 1926 წლის იანვარში.—მსოფლიო მეურნეობის კონიუნქტურა 1926 წლის იანვარში.—მ. ტანინი—შეერთებული შტატები ეკონომიკა 1925 წელს.
ეკონომიური ქრონიკა: საქართველოში —საბჭოთა კავშირში.—ბურჟუაზიულ ქვეყნებში.—ბიბლიოგრაფია.
იყიდება ყველგან ფასი 1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველგან
1—1 ნ. 975

ა.-კ. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის
რკინის გზათა
სამმართველო
ამით აცხადებს, რომ 1926 წ. 1 აპრილს დღის 12 ს.
გზის სამსახურის მეექვსე უბნის კანტორაში
დანიშნულია
სიტყვიერი შეჯიბრება
ქალაქ თბილისში საცხოვრებელი ბინების ასაშენებლად მტკვარის ხვიშირის და გაცრილი წმინდა სილის 70 კუბ. საჟენის რაოდენობით და 25 მილიმეტრიანი ხრეშის მიწოდებაზე. ხრეშის რაოდენობა გამოცხადებულ იქნება კონკურენციაზე.
წერილობითი განცხადებების შემოტანასთან ერთად შეიძლება ფასების და პირობების სიტყვიერად წარმოდგენა. წერილობით განცხადებებზე დართულ უნდა იქნეს ორმანეთიანი საღერბო მარკა.
დაწვრილებითი ცნობები მიწოდების პირობების შესახებ მიიღება გზის სამსახურის მეექვსე უბნის უფროსის კანტორაში სამუშაო საათებში (თბილისის სადგური).
ნ. 974 1—1

ფასი 45 კაპეიკი
ავტომატიური დამთვლელი მანქანა
დაწესებულებათა, წარმოებათა, სამეურნეო დარგში მომუშავეთა, სამეცნიერო მუშაკთა, უმაღლეს სასწავლებელთა და სკოლების მოსწავლეთა, კანტორის და დახლების მუშაკთა საყურადღებოთ. ყველასათვის ადვილად მისაწვდომი ენერგიის დაუხარჯავათ; არ სჭირდება დარიგება და სწავლა. იძლევა გამრავლების, გაყოფის, პროცენტების გამოანგარიშების შედეგებს ავტომატიურად და სწრაფათ. საუხოკო სხვადასხვა ანგარიშების პრაქტიკულად და სწრაფად საწარმოებლად. გამოიგზავნება დაუყოვნებლივ შეკვეთის და 45 კაპიკის მიღებისთანავე. 3 მანეთამდე შეიძლება გამოგზავნილი იქნას მარკებით. ამანათით იგზავნება 3 მანეთზე ზევით.
—გადასაგზავნად და ჩასალაგებლად გადახდილი უნდა იქნეს 15 კაპიკი.
შეკვეთა და ფული უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: მოსკოვი, პოკროვსკის ბაღი, სახ. № 14 | 6. ბინა 8. ავტორს ა. ი. ცუკერშტეინს.
ნ. 896 8—4

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ ბედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
50—30

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, ცვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბომონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნები, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი.
ავადმყოფებ-ს მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—17

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ.
ელექტრონის კაბინეთი.
ავადმყ. მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის (ოლღას ქუჩა) 49. ტელ. 4—82
25—13

ექიმი ზ. ა. თარუმოვი
შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი.
მიღება საღამოს 5-დან 6 ნახ. საათამდე სასახლის ქ. № 12, ტელეფონი 27—59. 12—9

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ
მისამართი: მოსკოვის ქ. № 4. ყოფ. კაბინეტი რეხო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).
25—18

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—13

ექიმი
დ. ა. ბედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ბებუთოვის ქ. (ყოფ. საპიორის) № 3.
25—8

ექიმი ნ. ტურიაშვილი
სამშობიარო და ქალის სნეულებანი
მიღება საღ. 3—6, საბჭოთა (ყოფილი ჩერქეზიშვილის) ქუჩა № 22.
25—20

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღმოს.
მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად
22—17

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ უკან. 25—18

ექიმი არსენ ვადაჭკორია
ლებულობს ქალთა ავადმყოფებს და გრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღამოს 4—7 საათამდე.
(ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 35
25—11

ექიმი ი. ი. ჭიჭიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობაში იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა).
25—7

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქუჩა (ყოფ. ნიკოლოზ.) № 33. იღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და. აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.
25—17

დ. აბაშა
კბილის ექიმმა
ა. ნადარეიშვილმა
განაახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სატექნიკო ლაბორატორია, სადაც მზადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები. 25—22

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა.
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი.
სასტუმრო „ნორდ"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.
25—17

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდი.
ბებუთოვის ქ. № 38. 25—8

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.
კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).
25—19

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან).
25—7

ექიმი ნ. ა ჟანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.— 9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

თვალის ექიმი
ა. გ. მალაევი
ლებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ. საღამოს 6—7 საათ. ელისაბედის ქუჩა № 47, ტელეფ. № 5—90 თვალის სავადმყოფო.
25—12

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დილის 3—5 დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.
25—11

ექ. ვასილი ნიკიფორესძე ჩუპრინინი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.
მიღება: დილის 9—11-დე და საღამოს 4—6 საათამდე.
მისამართი: საბჭოთა (ყოფ ჩერქეზიშვილის ქ.) 87. 25—11

პროფ. გრ. მუხაძე
ავადმყოფობის შემდეგ განახლა ავადმყოფების მიღება
მიღება სწორ რიცხვებს საღამოს 5-დან—6 საათამდე კვირა დღის გარდა
მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 58, ტელეფონი № 5—77.
25—7

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან-თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). 25—25

ექიმი
ნ. გ. ახვერდოვი.
ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)
ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ. საღამოს 4—7 საათამდე, ელბაქიძის დაღმართი № 15. (ყოფილი ვერის დაღმართი). 25—1

დავკარგე პასპორტი № 382, კავშირის წიგნაკი № 1979 და მეტრიკული ამონაწერი ერმოლო ბაბუნაშვილის სახელზე, ჩ. გ.
1996 1—1

დავკარგე საბინაო დავთარი მოს გოგინაშვილის სახელზე, ჩ. გ.
1994 1—1

დავკარგე საბინაო დავთარი (მე-2 ნაზარეთის ქუჩა), იოსებ ლვაბერიძის სახელზე, ჩ. გ. 1995 1—1

დავკარგე 1925 წ. საქ. ცაკის მიერ გაცემული რკინის გზის ბილეთი თედორე დოლიძის სახელზე. ჩ. გ. უ.

დაკარგულია თბ. ქალაქის ლომბარდის ქვითარი № 3593, ჩ. გ.
1998 1—1

დავკარგე განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 1047 მარიამ იაკობის ასულის მღებრიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2000 1—1

დავკარგე სამხედრო საარიცხვო ბარათი № 651 ვარლამ მიხეილის-ძე ქარქაშაძეს სახელზე, ჩ. გ. უფ.

დავკარგე ფოთის კომუნალური ბანკის აქციის მოწმობა № 3 მიღებული მაქსიმე ხორავას სახელზე, ჩ. გ. 2002 1—1

დავკარგე სამხედრო საარიცხვო ბარათი № 6 სერგო პეტრეს-ძე გობეჯიშვილის სახელზე. 2002 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 40 და სიღარიბის მოწმობა № 14 პამფილე ძნელაძის სახელზე. ჩ. გ. 2002 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 237 და დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 685 გიორგი მელიტონის-ძე ვახეიშვილის სახელზე, ჩ. გ.
2002 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 380 საწერი მანქანის მოწმობა ვიქტორ ესართიას სახელზე, ჩ. გ.
2002 1—1

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68

ტირაჟი—25.543